საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (541)
24 - 30 ივნისი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## მშვიდობიანი კავკასია რუსეთის ინტერესებშია

11



# გამოცხადებული რეგვენობის ქრონიკა

6



ხელისუფლებამ და ოპოზიციამ პირველ მტრად გამოაცხადეს ქვეყანა, რომლიდანაც ხორბლის 90 პროცენტი შემოგვაქვს



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## საქართველოში განხორციელდა სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების კასკადი. დღეს ეს პროცესი, სამწუხაროდ, გრძელდება

7

## ამერიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ჩვენ, ქართველებს, მაინც ლიბერალიზმს გვტენიან ცხვირში

9



## ეპოქის პარადოქსები, ანუ ერთმანეთს აცდენილი აწმყო და წარსული

4-5



### მეორე მსოფლიო ომის რეალური მიზეზები

2

პუტინმა ამერიკულ ჟურნალში მეორე მსოფლიო ომზე სენსაციური სტატია გამოაქვეყნა



### ჰიტლერულ გერმანიას დასავლეთი ასაზრდოებდა

3

## კორონავირუსის მეორედ მოსვლა



რეალობა თუ ჰიბრიდული ომის ტაქტიკა?

14

## სამი ანტიუტოპია



– HOMO SAPIENS-ის გადაკეთების სამი მოდელი

16

## ევროპა გაკოტრებების ტალღის მოლოდინში



21

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## წერილი დასავლეთს

**პუტინი დასავლეთს იმასაც საყვედურობს, რომ მას შემდეგ, რაც გერმანია პოლონეთს დაესხა თავს, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არაფერი იღონეს, წინ აღდგომოდნენ ამ აგრესიას. აღსანიშნავია, რომ ამა წლის 8 მაისს პუტინმა მოითხოვა, საერთაშორისო საზოგადოებამ შეაფასოს და დაგმოს ჩეხოსლოვაკიის გაყოფა ნაცისტური გერმანიისა და პოლონეთის მიერ 1938 წელს „მიუნხენის გარიგების“ შედეგად.**

# პუტინმა ამერიკულ ჟურნალში მეორე მსოფლიო ომზე სენსაციური სტატია გამოაქვეყნა

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ხელმოწერით ავტორიტეტულ ამერიკულ გამოცემა The National Interest-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების რეალურ მიზეზებს განიხილავს და დასათაურებულია ასე — „The Real Lessons of the 75th Anniversary of World War II“ („მეორე მსოფლიო ომის 75-ე წლისთავის რეალური გაკვეთილები“). სტატიის სენსაციურობა მდგომარეობს შემდეგში:**

რუსეთის პრეზიდენტმა შეახსენა დასავლელ საზოგადოებას, რომ რუსეთმა (სსრ კავშირის სახით) თავის დროზე თვითონ გამოააშკარავა მოსკოვის 1939 წლის ხელშეკრულების (ე. წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) საიდუმლო ნაწილი და დაგმო იგი. „მაგრამ, — აღნიშნავს ვლადიმერ პუტინი, — **სხვა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, დაივიწყონ ხელშეკრულებები, რომელთა ტექსტების ქვეშ დასავლელი პოლიტიკოსებისა და ნაცისტების ხელმოწერებია და არ სურთ, მისცენ სამართლებრივი ან პოლიტიკური შეფასება ამგვარ თანამშრომლობას“, ამიტომ პუტინმა სტატიაში მოუწოდა ყველა ამ სახელმწიფოს, რომელთა ხელმძღვანელობა ჰიტლერულ გერმანიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გაასაჯაროონ შესაბამისი საარქივო დოკუმენტები, როგორც ამას რუსეთი აკეთებს დღემდე. ეს განსაკუთრებით ბრიტანულ-გერმანულ მოლაპარაკებებს ეხება, რომელთა მასალებიც დღემდე გასაიდუმლოებულია.**

„ჩვენ არ ვიცით, არსებობდა თუ არა რიგი ქვეყნების მიერ ნაცისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაიმე საიდუმლო პროტოკოლები ან დანართები. ერთადერთი, რაც ჩვენ გვრჩება, არის მათი სიტყვები, რომლებსაც უნდა ვენდოთ“, — აღნიშნა სტატიაში რუსეთის პრეზიდენტმა.

**ვლადიმერ პუტინის მოწოდება, მოხდეს არქივების გასაჯაროება და ფარდა აეხადოს ინგლის-საფრანგეთის ფარულ თანამშრომლობას გერმანიასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა.** პრეზიდენტმა სტატიაში ასევე აღნიშნა, რომ დაუშვებელია, პოლონეთს მიეცეს საშუალება, დაივიწყოს ე.წ. მიუნხენის გარიგება, როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა — დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, ჰიტლერს დაუთმეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიების დიდი ნაწილი და მალევე — ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. „ჩეხოსლოვაკიის გაყოფაში ნაცისტურ გერმანიასთან ერთად პოლონეთიც მონაწილეობდა“, — აღნიშნავს პუტინი და, ფაქტობრივად, თავდაყირა აყენებს დასავლურ პროპაგანდას, რომელიც დღემდე ჩასჩიჩინებს მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ მეორე მსოფლიო ომი გერმანია-სსრკ-ის გარიგების შედეგია და ამ გარიგების მსხვერპლი არის პოლონეთი. ჩეხოსლოვაკიაზე კი დასავლური პროპაგანდა „მოკრძალებულად“ დუმს.

**სტატიაში პუტინი დასავლეთს იმასაც საყვედურობს, რომ მას შემდეგ, რაც გერმანია პოლონეთს დაესხა თავს, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არაფერი იღონეს, წინ აღდგომოდნენ ამ აგრესიას.**

აღსანიშნავია, რომ **ამა წლის 8 მაისს პუტინმა მოითხოვა, საერთაშორისო საზოგადოებამ შეაფასოს და დაგმოს ჩეხოსლოვაკიის გაყოფა ნაცისტური გერმანიისა და პოლონეთის მიერ 1938 წელს „მიუნხენის გარიგების“ შედეგად.**

შეგახსენებთ, რომ 24 ივნისს მოსკოვში ჩატარდება ნაციზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავის აღსანიშნავი აღლუმი.

ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში რუსეთის პრეზიდენტი მხოლოდ ისტორიაზე არ ჩერდება და მოუწოდებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს, გაიმართოს ამ სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრა და გადაიდგას მსოფლიოსთვის სასარგებლო ნაბიჯები, უწინარესად, ეკონომიკის სფეროში ახალი კორონავირუსით გამოწვეული გლობალური კრიზისის დასაძლევად.

**ge.news-front.info**




**ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში რუსეთის პრეზიდენტი მხოლოდ ისტორიაზე არ ჩერდება და მოუწოდებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს, გაიმართოს ამ სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრა და გადაიდგას მსოფლიოსთვის სასარგებლო ნაბიჯები, უწინარესად, ეკონომიკის სფეროში ახალი კორონავირუსით გამოწვეული გლობალური კრიზისის დასაძლევად**

# «საბჭოთა კავშირის გარეშე ფაშიზმზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა»

## როგორ გამოეხმაურნენ რუსეთის პრეზიდენტის სტატიას აშშ-ში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში



**ვლადიმერ პუტინის სტატიამ მეორე მსოფლიო ომზე სათავე დაუდო დისკუსიას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. ამერიკის საგარეო უწყებაში აღიარეს, რომ სტატია აქტუალურია და რუსეთის ლიდერის შეთავაზებული მიდგომები რეალურად უნდა იქნას გამოყენებული.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქციაზე ისაუბრა რუსეთის ელჩმა აშშ-ში — **ანატოლი ანტონოვმა.**

**„სპეციალისტებისა და რუსეთისადმი დადებითად განწყობილი ადამიანების აზრით, რუსეთის პრეზიდენტის სტატია დროულია“,** — განაცხადა ანტონოვმა.

**ვლადიმერ პუტინმა,** რომელიც სტატიაში, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის თემას შეეხო, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებს მოუწოდა, გაიმართოს სამიტი, რათა იმსჯელონ მსოფლიოს ქვეყნების საერთო პრინციპებზე, შეიარაღების კონტროლსა და უსაფრთხოების სხვა აქტუალურ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ **იტალიამ** მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტს ფაშისტებზე სსრკ-ის გამარჯვების საკითხში. **„საბჭოთა კავშირის გარეშე ფაშიზმზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“,** — განაცხადა იტალიის სენატორმა **სილვიო ბერლუსკონის** პარტიიდან „წინ, იტალია!“ — **ლუჩო მალანმა.**

სენატორი სრულიად დაეთანხმა ვლადიმერ პუტინს მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილების შესახებ სტატიას. მისი თქმით, ყველა ხალხმა შესანიშნავად იცის, რა მძიმე განსაცდელი გადაიტანა რუსმა ხალხმა, რომელმაც მილიონობით ადამიანი დაკარგა. **„სახელდობრ, სსრკ-მა ჯერ შეაჩერა და შემდეგ დაამარცხა ნაცისტური გერმანია“,** — აღნიშნა იტალიის სენატორმა. მალანი დარწმუნებულია, რომ **დასავლეთი ვერ შეძლებდა ფაშისტურ გერმანიასთან გამკლავებას, რომ არა საბჭოთა კავშირი. და პუტინი სრულიად სამართლიანად იცავს ამ თვალსაზრისს.** მალანის აზრით, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ სიმართლე, კერძოდ ის, რა იყო ეს ომი რუსეთისთვის.

**„ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვება შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების სიმამაცის წყალობით ისტორია გადაწერა ამა თუ იმ დაინტერესებულ მხარის სასარგებლოდ, დაუშვებელია,** — განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**„დაუშვებელია ჩვენი საერთო ისტორიის გამოყენება პოლიტიკურ ინსტრუმენტად, არ შეიძლება, ის რამდენიმე სახელმწიფომ გადაწეროს თავისი ინტერესების შესაბამისად“,** — აღნიშნა ბრიტანელმა დიპლომატმა.

**„სსრკ-მა ჯერ შეაჩერა და შემდეგ დაამარცხა ნაცისტური გერმანია“, — აღნიშნა იტალიის სენატორმა. მალანი დარწმუნებულია, რომ დასავლეთი ვერ შეძლებდა ფაშისტურ გერმანიასთან გამკლავებას, რომ არა საბჭოთა კავშირი. და პუტინი სრულიად სამართლიანად იცავს ამ თვალსაზრისს. მალანის აზრით, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ სიმართლე, კერძოდ ის, რა იყო ეს ომი რუსეთისთვის**

მოამზადა
**გიორგი გახეჩილაძე**

**„პუტინს ხელი მიუწვდება რუსეთში არსებულ ყველა არქივზე. ის მარტო არ მუშაობდა ამ თემაზე და საბოლოოდ გამოამზეურა ის დეტალები, რომლებიც უცხოურ პრესაში დაიბეჭდა. ის, რაც წერილში წერია, ცნობილი იყო ყველასთვის, მაგრამ ამას დასჭირდა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მაღალი დონის მხარდაჭერა“.**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# დასავლეთის ქვეყნები ასაზრდოებდნენ ჰიტლერულ გერმანიას და ყველანაირად ცდილობდნენ, ამ ფაშისტური ქვეყნის აგრესია საბჭოთა კავშირისკენ მიემართათ

**ავტორიტეტულ ამერიკულ გამოცემა The National Interest-ში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ხელმოწერით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების რეალურ მიზეზებზეა ლაპარაკი. რუსეთის პრეზიდენტი წერს, რომ „სხვა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, დაივიწყონ ხელშეკრულებები, რომელთა ტექსტების ქვეშ დასავლეთის პოლიტიკოსებისა და ნაცისტების ხელმოწერებია დასმული და მათ არ სურთ, მისცენ სამართლებრივი ან პოლიტიკური შეფასება ამგვარ თანამშრომლობას“. რატომ გადაწყვიტა ზესახელმწიფოს ლიდერმა ამ თემაზე საუბარი ახლა და რა შედეგებს მოიტანს მისი კატეგორიული მოთხოვნა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**



მიუნხენის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ — ჩემბერლენი, დალადიე, ჰიტლერი და მუსოლინი

— რუსეთის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ სურს, დასავლურ პრესაში გამოაქვეყნოს სტატია მეორე მსოფლიო ომის თემაზე.

დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, გადაიხედოს მეორე მსოფლიო ომის ისტორია, რასაც თანამედროვე რუსეთის წინააღმდეგ იყენებენ. დასავლეთს არ აქვს მყარი და სამართლიანი პოზიცია ამ ომების ისტორიის მიმართ, მაგრამ **დიპლომატიურად ცდილობს, რუსეთი პროპაგანდისტულად დაასუსტოს. ისტორიის გადახედვამ უნდა შეცვალოს რუსეთის პოზიცია — რუსეთი საბჭოთა კავშირის ერებთან ერთად არის ევროპის განმათავისუფლებელი და ნაციზმის დამმარცხებელი. თუკი ეს ფაქტი დადგება ეჭვქვეშ და ყველა დაიჯერებს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომი საბჭოთა კავშირმა გამოიწვია, რუსეთი დაიღუპება.**

**— ვლ. პუტინი თავის წერილში დასავლეთს ამხელს იმაში, რომ, მათი ვერსიით, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის გარიგების საფუძველზე დაიწყო ომი...**

— ამ თემაზე საუბარი 1980-იან წლებში დაიწყო იმჟამინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ და დაუშვა შეცდომა თუ დანაშაული, რაც გინდათ ის დაარქვით, — მათ თქვეს, რომ ეს ომი დანაშაული იყო.

**1939 წელს სტალინსა და საბჭოთა კავშირს არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რაც იმჟამინდელ მსოფლიოში არ ხდებოდა და ნაცვლად იმისა, ხაზი გაესვას, რომ საბჭოთა კავშირმა ყველაზე ბოლოს მოაწერა ხელი ნაცისტებთან რაიმე სახის ხელშეკრულებას, აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ჰიტლერსა და სტალინს შორის მოხდა შეთანხმება და ეს შეთანხმება აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის საწინდარი. ეს არის სწორედ ის ინტერპრეტაცია, რომელიც ამახინჯებს ისტორიას და ომის სურათს ცვლის.**

ამჟამინდელ რუსეთის პრეზიდენტს ეს, დიდი ხანია, აწუხებს და ამიტომაც დაწერა ეს სტატია. **პუტინს ხელი მიუწვდება რუსეთში არსებულ ყველა არქივზე, ის მარტო არ მუშაობდა ამ თემაზე და საბოლოოდ გამოამზეურა ის დეტალები, რომლებიც უცხოურ პრესაში დაიბეჭდა. ის, რაც წერილში წერია, ცნობილი იყო ყველასთვის, მაგრამ ამას დასჭირდა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მაღალი დონის მხარდაჭერა.** ვლადიმერ პუტინის ნათქვამს უნდა მიეცეს უფრო ფართო გასაქანი და არეალი, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს, მისი ხელმოწერილი ეს წერილი არის კიდეც ამ დონის, სხვა შემთხვევაში, პრეზიდენტი ამას მეცნიერებსა და ისტორიკოსებს დააწერინებდა. პუტინი ამ ფორმით უმაღლესი დონის დისკუსიაში ჩაერთო. პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— ჩვენ ახლა ვსაუბრობთ ისტორიის გაყალბებაზე, რასაც გამუდმებით სჩადის დასავლეთი. რისთვის სჭირდებათ დასავლეთში ისტორიის გაყალბება?**

— ისტორიის გაყალბების მავნებლურ ტენდენციაზე, თუ არ ვცდები, ყოფილ საბჭოთა სივრცეში პირველმა წამოიწყო საჯარო საუბარი ჩვენმა თანამემამულემ, პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ, როცა ერთ-ერთ რუსულ გამოცემაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „Нужна правда истории“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს არ არის ახალი თემა და ყველა ჩვენგანს, ვინც საბჭოეთში დავიბადეთ, აწუხებს. უბრალოდ, პუტინი ელოდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელების ცნობიერებაში... მკითხველს შევახსენებ 2010 წელს, როდესაც ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, პოლონეთთან დათბობის პოლიტიკა უნდა განხორციელდესო. ზუსტად მაშინ შემოაგდეს ამერიკელებმა „მტკიცებულებები“, რომ **სტალინმა** და **ბერიამ** გასცეს „უმანკო“ პოლონელი ოფიცრების დახვრეტის ბრძანება კატინში. მომხდარი გამოკვლეულია და ეჭვს იწვევს აღნიშნული დოკუმენტების ავთენტურობა. არავინ იცის, ვის რისთვის დასჭირდა ოფიცრების დახვრეტა; არ იციან, რატომ მოხდა ეს ამბავი მაინცდამაინც კატინში, ვის რას უშავებდნენ ეს ოფიცრები ან რა საფრთხეს წარმოადგენდნენ სსრკ-ისთვის. ამ თემაზე საუბარი თვითონ რუსეთმა დაიწყო. ამან ძალიან გაათამამა პოლონეთი. სწორედ ამის შემდეგ მოხდა სმოლენსკში ის ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც პოლონეთის თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტა დაიღუპა. მოკლედ, კატინთან დაკავშირებული ყველა გაუგებრობა თვით რუსეთის იმდროინდელმა ხელისუფლებამ წამოიწყო.

**მიხეილ გორბაჩოვის** მმართველობის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა და რუსეთმა დაიწყო თავზე ნაცრის დაყრა — თავის დადანაშაულება. სწორედ ამაზე საუბრობს რუსეთის პრეზიდენტი წერილში, როდესაც ამბობს, რომ რუსეთმა გახსნა არქივები და მოითხოვს, სხვებმაც მიბაძონ მას, მაგრამ **არქივებს არავინ გახსნის, რადგან დასავლეთის ქვეყნებს ხელს არ აძლევთ სიმართლის გამომზეურება.**

სიმართლე ცნობილია და გითხარით, რომ მეცნიერები და პოლიტოლოგები, ისეთები, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა, ამ სიმართლეზე მუდმივად საუბრობენ. **საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰიტლერსა და მუსოლინისთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პრემიერმინისტრების — ნევილ ჩემბერლენისა და ედუარ დალადიეს — ხელმოწერებია ჩეხოსლოვაკიის გაყოფის დოკუმენტზე. ეს საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ ვთქვათ — დასავლეთის ქვეყნები ასაზრდოებდნენ ჰიტლერულ გერმანიას და ყველანაირად ცდილობდნენ, ფაშისტური გერმანიის აგრესია მიემართათ საბჭოთა კავშირისკენ.** ესაა მთავრი თემა და ამიტომაც გადადგა ეს ნაბიჯი რუსეთის პრეზიდენტმა.

რუსეთს, მართალია, დაშვებული აქვს პროპაგანდისტულ ომში შეცდომები, მაგრამ ამ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია უფრო ჯენტლმენურია, რადგან თვითონ გახსნეს არქივები, ამოიღეს დოკუმენტები, თავის თავზე დაიბრალეს ბევრი რამ. ყველას ეგონა, სტალინ-ბერიას შეახოცავდნენ ხელს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა... რუსეთი ელოდა საპასუხო ნაბიჯს დასავლეთისგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ... პირიქით, ამას მოჰყვა ანტირუსული რეფლექსების გაზრდა და მეტი სიყალბის ნიაღვარი.

ვლადიმერ პუტინი თვლის და დააკანონა კიდეც, რომ ისტორიის გაყალბება ექსტრემიზმია, რადგან ისტორიის გაყალბება პოლიტიკური იარაღია.

**— ამავე წერილში რუსეთის პრეზიდენტი გაეროს მუდმივ წევრ ქვეყნებს ერთ მაგიდასთან ეპატიჟება და სურს, რომ მათთან განიხილოს პანდემიის შემდგომი ნაბიჯები ეკონომიკასთან და სხვა ბევრ საკითხთან დაკავშირებით...**

**— ვლადიმერ პუტინის სტატიაში მთავარი არის ის, რომ რუსეთის პრეზიდენტი არ არის დაინტერესებული, ისტორიის ქექვით მოთხოვნები წაუყენოს ვინმეს. პუტინს შეეძლო, ეს სტატია გამოექვეყნებინა ათი წლის წინათ, მაგრამ გამოაქვეყნა დღეს...**

დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული პროპაგანდისტული ომი შორს წავიდა, უკვე შორს შეტოპეს — ყველა სიწმინდეზე, ყველა პრინციპზე, ყველანაირ ადამიანურზე თქვეს უარი... დაიწყეს ჩეხეთში სიტუაციის გამწვავება. მაშინვე, როგორც კი რუსეთი და ჩეხეთი დაახლოებისკენ წავიდნენ და როგორც კი დაინახეს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის შეიძლებოდა მოლაპარაკება გამართულიყო, მაშინვე ჩამოაგდეს პრაღისა და ჩეხეთის განმათავისუფლებლის, მარშალ **ივანე კონევის** ძეგლი. სამი დიდი მხედართმთავარი — **ივანე კონევი, კონსტანტინე როკოსოვსკი** და **გიორგი ჟუკოვი** სამ ფრონტზე იბრძოდნენ. ახლა **ჩეხებს კონევი დამპყრობლად გამოაყვანინეს და უაზრო ბრალდებები წამოაყენეს. ეს ამერიკელების პოლიტიკაა, მათ სურთ, არ დაუშვან რუსეთთან არანაირი დიალოგი, ზუსტად ისე, როგორც საქართველოს უშლიან რუსეთთან დალაპარაკებას. ამერიკა ცდილობს ჩეხეთშიც, პოლონეთშიც და ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც ჩაახშოს რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკების სურვილი.**

როცა აგრესია ჯერ კიდევ არ იყო ასე შორს წასული, რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა: **ბუში** არ იქნება, **ობამა** გადადგამს ნაბიჯებს ვითარების სტაბილიზაციისკენ, ობამა არ იქნება, **ტრამპი** გააკეთებს რამეს... ასე გავიდა დრო, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ დასავლეთის პოლიტიკაში არაფერი იცვლება, პირიქით — უფრო მეტი აგრესია მოდის, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ თვითონ გააქტიურდეს, ელაპარაკონ და გააგებინონ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რა არის სიმართლე. მინდა, გითხრათ, რომ მართლაც არ იცის მსოფლიომ, რა არის სიმართლე. **დასავლეთის ბევრ ქვეყანაში გაყალბებულია მეორე მსოფლიო ომის ისტორია. იქ ბევრს მართლა ჰგონია, რომ ამერიკამ გაათავისუფლა ევროპა ფაშიზმისგან, საბჭოთა კავშირი კი მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა და იყო დამპყრობელი, ტოტალიტარული ქვეყანა, ხოლო სტალინი — სისხლიანი დიქტატორი. აი, ასეთი პრიმიტიული, ასე ვთქვათ, ნარატივებით აბრიყვებენ საკუთარ ხალხსაც და სხვასაც.**

**— რა შეიძლება მოჰყვეს პუტინის ამ წერილს?**

— ვიღაც რაღაცას გაიგებს, დოკუმენტებს არავინ გამოამზეურებს, მაგრამ საკითხის დასმა მაინც დადებითი მოვლენაა. ამ წერილს უკვე მოჰყვა გამოხმაურება ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. ისინი ამბობენ: რუსეთი მაინც არ აღიარებს, რომ დამპყრობელიაო. არადა, პუტინი თავის სტატიაში ამბობს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც რესპუბლიკები თავიანთი მთავრობებით და შემდეგ გაკომუნისტურდნენ. გერმანიამ ამ ქვეყნებში, როდესაც შეიჭრა, საერთოდ მოსპო სუვერენიტეტის ნიშნები, საბჭოთა კავშირს კი შენარჩუნებული ჰქონდა. მაგალითად, **ლიტვის ამჟამინდელი დედაქალაქი ვილნიუსი პოლონეთის შემადგენლობაში იყო და ლიტვას ის სტალინმა დაუბრუნა. მანამდე ლიტვის დედაქალაქი პატარა კაუნასი იყო,** მაგრამ დღეს ამის აღიარება არ უნდათ. პოლონეთმაც სტალინის წყალობით მიიღო დიდი ტერიტორია, რომელიც გერმანიას ჩამოეჭრა. ეს სტალინის სამართლიანი გეოპოლიტიკა გახლდათ და დიდი ნაძირალა უნდა იყო, ამაზე არ ისაუბრო.

მიხარია, რომ თქვენი გაზეთი ამ სამართლიანობის აღდგენაზე ხშირად საუბრობს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეორე მსოფლიო ომი იდეოლოგიათა ომი იყო, სადაც საბჭოთა კომუნისტურ იდეოლოგიას დასავლური ბურჟუაზიული იდეოლოგია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ამ დაპირისპირებაში სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა. რომ არა სოციალისტური სისტემა, ვერც სტალინის გენია და ვერც საბჭოთა ხალხის გმირული თავგანწირვა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების საწინდარი ვერ გახდებოდა. ამ ომში ვინმემ ან რამემ სასწაული თუ მოახდინა, ეს, პირველ რიგში, კომუნისტური იდეოლოგია და სოციალისტური სისტემა იყო.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

მეათე გადაცემა

# ეპოქის პარადოქსები, ანუ ერთმანეთს აცდენილი აწმყო და წარსული



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

გათენდა 2020 წლის 24 ივნისი — 75-ე წლისთავი მოსკოვში, წითელ მოედანზე 1945 წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად გამართული ისტორიული აღლუმისა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამ ისტორიულ თარიღს საგანგებო სტატია მიუძღვნა. სტატიაში დოკუმენტურად, საარქივო მასალებზე დაყრდნობით მხილებულია თანამედროვე დასავლეთის მიერ აღებული გეზი ისტორიის თავხედური ფალსიფიკაციისკენ. რუსეთის პრეზიდენტი მკითხველებს განუმარტავს, რა მოტივითაა განპირობებული მისი ისტორიული ექსკურსი.

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — Пишу об этом без малейшего намерения взять на себя роль судьи, кого-то обвинить или оправдать... Однако многие наши партнёры пока не готовы к совместной работе. Напротив, преследуя свои цели, они наращивают против нашей страны количество и масштаб информационных атак, хотят заставить оправдываться, испытывать чувство вины, принимают насквозь лицемерные политизированные декларации.

**ვალერი კვარაცხელია:** — პრეზიდენტ პუტინს ამის შემდეგ ნათქვამის დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითები მოჰყავს.

**ვლადიმერ პუტინი:** — Так, например, одобренная 19 сентября 2019 года Европейским парламентом резолюция „О важности сохранения исторической памяти для будущего Европы“ прямо обвинила СССР – наряду с нацистской Германией – в развязывании Второй мировой войны.

**ვალერი კვარაცხელია:** — ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. რამე წინასწარი მიზანდასახულება თუ არ გამოძრავებს, როგორ შეიძლება, დასავლური ფაშიზმი და მისი მესაფლავე კომუნისტური საბჭოთა კავშირი ერთი მასშტაბის უბედურებად განიხილო?! **ეს ყველაფერი ერთ დიდ, არცთუ კეთილშობილ მიზანს ემსახურება — სტალინის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის უარყოფითად წარმოჩენას.** რუსეთის პრეზიდენტი ამ ფაქტს ძალიან მკაცრად, მაგრამ ობიექტურად აფასებს.

**ვლადიმერ პუტინი:** — Считаю, что подобные «бумаги», не могу назвать эту резолюцию документом, при всём явном расчёте на скандал несут опасные реальные угрозы. Ведь её принял весьма уважаемый орган. И что он продемонстрировал? Как это ни печально – осознанную политику по разрушению послевоенного мироустройства.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიახ, **მათ მიზანს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის უარყოფითად წარმოჩენა, არამედ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგის ნგრევა წარმოადგენს, რადგან სწორედ ესაა ის, რაც პლანეტაზე გაბატონებასა და თავისუფლად პარპაშში ხელს უშლით. ისინი არაფრის წინაშე არ იხევენ უკან. ვინაიდან არ გააჩნიათ მორალი; თვალის დაუხამხამებლად შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ის, რაც იყო, არ ყოფილა და ის, რაც არ ყოფილა, იყო. მათთვის არც ის წარმოადგენს სიძნელეს, რომ გერმანული ფაშიზმის დამარცხება ისე მიიწერონ, საბჭოთა კავშირი არც ახსენონ.**

**ვლადიმერ პუტინი:** — Помимо угрозы для фундаментальных принципов миропорядка есть здесь и моральная, нравственная сторона. Глумление, издевательство над памятью – это подлость. Подлость бывает намеренной, лицемерной, вполне осознанной, когда в заявлениях по поводу 75 летия окончания Второй мировой войны перечисляются все участники антигитлеровской коалиции, кроме СССР.

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს სამარცხვინო საქციელი პრეზიდენტმა ტრამპმა ჩაიდინა. ამ „подлость“-ს და მის სახესხვაობებს პრეზიდენტი პუტინი შესანიშნავად ხსნის. იგი გერმანიაში ფაშისტური სულისკვეთების ჩამოყალიბების ისტორიულ საფუძვლებსაც სწვდება და საკუთარ ვერსიასაც აყალიბებს. პუტინი, მართალია, გერმანელ ხალხში ომის სულისკვეთების ჩამოყალიბების ქვეცნობიერ იმპულსს „ვერსალის ზავის“ კაბალურ პირობებში ეძებს, მაგრამ არც ის რეალობა რჩება ყურადღების მიღმა, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე „ჩაგრული ერის“ ფსიქოლოგიური კომპლექსები და ქვეცნობიერი იმპულსები. **საბჭოთა კავშირთან ომისკენ ჰიტლერს აქეზებდნენ ისეთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ და არიან დიდი ბრიტანეთი და აშშ. ჰიტლერთან თანამშრომლობით ისინი მათ მიერ მართულ იმ დემონს ქმნიდნენ, რომელსაც საბჭოთა კავშირი უნდა დაეჩოქებინა.**

**ვლადიმერ პუტინი:** — Парадоксально, но этому прямо или косвенно способствовали западные государства, прежде всего Великобритания и США.

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს ისტორიული ფაქტია და ამ ნათქვამში ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში პირდაპირ ადებს ხელს კონკრეტულ სახელმწიფოებს, რომლებიც მსოფლიო დემოკრატიის ბურჯობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ეს არის ახალი და მრავლისმთქმელი.

სტატიაში პუტინი ყვება მიუნხენის შეთქმულების შესახებ, რომელშიც **ჰიტლერსა** და **მუსოლინისთან** ერთად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებიც მონაწილეობდნენ და, სადაც ჩეხოსლოვაკიის დანაწევრება მოხდა. აი, აქ პრეზიდენტი პუტინი უაღრესად საინტერესო დასკვნას აკეთებს.

**ვლადიმერ პუტინი:** — Отмечу в связи с этим, что в отличие от многих тогдашних руководителей Европы, Сталин не запятнал себя личной встречей с Гитлером.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიახ, **სტალინი** ერთადერთი აღმოჩნდა ევროპის გავლენიან სახელმწიფოთა ლიდერებს შორის, ვინც **ჰიტლერთან** შეხვედრა არ იკადრა. მან საკუთარ პიროვნებას ჩრდილი არ მიაყენა. პუტინის საბოლოო დასკვნა მისი მსჯელობის ამ ნაწილისთვის ზუსტია.

**ვლადიმერ პუტინი:** — Мюнхенский сговор показал Советскому Союзу, что западные страны будут решать вопросы безопасности без учёта его интересов, а при удобном случае могут сформировать антисоветский фронт.

**ვალერი კვარაცხელია:** — ამის შემდეგ პუტინი ყვება, როგორ ცდილობდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, გამოეყენებინა ნებისმიერი შანსი ანტიჰიტლერული კოალიციის შესაქმნელად. მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1939 წელს, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკებების პარალელურად მიმდინარეობდა კულუარული საუბრები (დააკვირდით! — ვ.კ.) დიდ ბრიტანეთსა და ფაშისტურ გერმანიას შორის.

**ვლადიმერ პუტინი:** — Приведу в связи с этим документ из британских архивов – это инструкция британской военной миссии, которая прибыла в Москву в августе 1939 года. В ней прямо говорится, что делегация должна „вести переговоры очень медленно“; что „правительство Соединённого Королевства не готово брать на себя подробно прописанные обязательства, которые могут ограничить нашу свободу действий при каких либо обстоятельствах“.

**ვალერი კვარაცხელია:** — ბრიტანელ დიპლომატებს დავალება ჰქონდათ, მოლაპარაკებები განგებ გაეჭიანურებინათ, რომ ისეთი შეთანხმება, რომელსაც შემდგომ ფაშისტურ გერმანიასთან ერთობლივი მოქმედებების განხორციელებაში შეიძლებოდა ხელი შეეშალა, არ შემდგარიყო. ეს ერთობლივი მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ომი უნდა ყოფილიყო, ანუ ატყუებდნენ საბჭოთა ხელმძღვანელობას — თან დიალოგში შედიოდნენ, თან შეთანხმებაზე არ მიდიოდნენ. დროც გაჰყავდათ იმ ვითარებაში, როდესაც ომი კატასტროფული სიჩქარით ახლოვდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ სტალინს ერთადერთი გზა რჩებოდა, რომლის შესახებაც განსახილველ სტატიაში რუსეთის პრეზიდენტი ასე მსჯელობს.

**ვლადიმერ პუტინი:** — В сложившейся ситуации Советский Союз подписал Договор о ненападении с Германией, фактически сделал это последним из стран Европы. Причём на фоне реальной опасности столкнуться с войной на два фронта – с Германией на западе и с Японией на востоке.

**ვალერი კვარაცხელია:** — ამიტომაც, ვლადიმერ პუტინის აზრით, საბჭოთა კავშირის დადანაშაულება მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში უპატიოსნო საქციელია.

**ვლადიმერ პუტინი:** — Поэтому нечестно утверждать, что двухдневный визит в Москву нацистского министра иностранных дел Риббентропа – главная причина, породившая Вторую мировую войну.

**ვალერი კვარაცხელია:** — რა თქმა უნდა, **მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში საბჭოთა კავშირს წვლილი არ მიუძღვის. არც შეიძ-** ▶

**მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში საბჭოთა კავშირს წვლილი არ მიუძღვის. არც შეიძლება რამე წვლილი მიუღვოდეს თუნდაც იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გააჩაღეს. ომის გამჩაღებელთა შორის კი ფაშისტური გერმანია მარტო არ ყოფილა. რუსეთის პრეზიდენტი ამ საკითხებზე შემთხვევით არ ალაპარაკდებოდა. ეს საუბარი იმის შედეგია, რომ ამერიკა და ევროპა მსოფლიოში ახალი დესტაბილიზაციის წინაპირობებს ქმნიან, თანაც, ისტორიას თავხედურად აყალბებენ და ცდილობენ, საბჭოთა ხალხსა და მის ბრძენ წინამძღოლს ფაშიზმის დამარცხებაში შეეცილონ**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საბჭოთა კავშირთან ომისკენ ჰიტლერს აქეზებდნენ ისეთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ და არიან დიდი ბრიტანეთი და აშშ. ჰიტლერთან თანამშრომლობით ისინი მათ მიერ მართულ იმ დემონს ქმნიდნენ, რომელსაც საბჭოთა კავშირი უნდა დაეჩოქებინა.

**ლება რამე წვლილი მიუძღვოდეს თუნდაც იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გააჩაღეს. ომის გამჩაღებელთა შორის კი ფაშისტური გერმანია მარტო არ ყოფილა. რუსეთის პრეზიდენტი ამ საკითხებზე შემთხვევით არ ალაპარაკდებოდა. ეს საუბარი იმის შედეგია, რომ ამერიკა და ევროპა მსოფლიოში ახალი დესტაბილიზაციის წინაპირობებს ქმნიან, თანაც, ისტორიას თავხედურად აყალბებენ და ცდილობენ, საბჭოთა ხალხსა და მის ბრძენ წინამძღოლს ფაშიზმის დამარცხებაში შეეცილონ,** მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა ყველას თავისი ადგილი მიუჩინა.

**ვლადიმერ პუტინი:** — В разгром нацизма – что бы сейчас ни пытались доказать – основной, решающий вклад внёс Советский Союз.

**ვალერი კვარაცხელია:** — საბჭოთა კავშირის სიძულვილით შეპყრობილი, ფაშისტებთან კოლაბორაციონისტულად გარიგებული და, საბოლოოდ, ჰიტლერის ფეხქვეშ განრთხმული ევროპა საბჭოთა არმიამ იხსნა. არა მხოლოდ იხსნა, ფეხზე წამოაყენა და მებრძოლი სულიც შთაბერა, მაგრამ ფაშიზმის ალაგმვის მთელმა სიმძიმემ საბჭოთა კავშირზე გადაიარა, რომელმაც მსოფლიო ფიზიკური და მორალური კატასტროფისგან იხსნა.

ეს საკითხის ერთი მხარეა, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კი მსოფლიოს მოწყობის ის სისტემაა, რომელიც საბჭოთა კავშირმა თავის მოკავშირეებთან ერთად მომავალ თაობებს დაგვიტოვა და რომლის თავხედურ რევიზიასაც ახლა დასავლეთი ცდილობს.

**ვლადიმერ პუტინი:** — Державы-победительницы оставили нам систему, которая стала квинтэссенцией интеллектуальных и политических исканий нескольких столетий. Серия конференций – Тегеранская, Ялтинская, Сан Францисская, Потсдамская – заложили основу того, что мир вот уже 75 лет, несмотря на острейшие противоречия, живёт без глобальной войны.

**ვალერი კვარაცხელია:** — სტატიაში ვლადიმერ პუტინი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შეახსენებს 2020 წლის იანვარში, იერუსალიმში, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმზე მის მიერ გაკეთებულ მოწოდებას, რომ შეიკრიბონ და იმსჯელონ მსოფლიო წესრიგის შესახებ, რომლის ბედი ახლა ბეწვზე ჰკიდია.

**ვლადიმერ პუტინი:** — Предлагаемая Россией повестка предстоящего саммита „пятёрки“ исключительно важная и актуальная как для наших стран, так и для всего мира. И по всем пунктам у нас есть конкретные идеи и инициативы.

**ვალერი კვარაცხელია:** — რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთნათქვამი, ვლადიმერ პუტინის ეს სტატია უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, **მაგრამ...** ისიც უნდა ითქვას, რომ, **მიუხედავად აქტუალობისა, ფაქტების სისწორისა და ლოგიკური ანალიზისა, სტატია ეპოქის სულისკვეთებას ჩამორჩენილი და რევოლუციურ გაქანებას მოკლებულია, რომლის მოთხოვნილება ახლა მთელ მსოფლიოში ასე საგრძნობია.** სტატტია (ესეც პირდაპირ უნდა ითქვას) დაწერილია **ხრუშჩოვის, გორბაჩოვის, ელცინის** ეპოქათა სულისკვეთების გამოძახლით. **რუსეთის პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უპირისპირდება და ამხელს დასავლეთის გაქნილ, მზაკვრულ და სიცრუით გაჯერებულ პოლიტიკას, ვერ გაურბის დასავლეთისათვის ხარკის გადახდის დამკვიდრებულ ტრადიციას, გვერდს ვერ უვლის სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირსა და რუსეთში დამკვიდრებულ საერთაშორისო შაბლონებს, რომლებმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაანგრია, ახლა კი რუსეთის საფუძვლებს არყევს.**

მაგალითად: რომ არა დამკვიდრებული სტერეოტიპების გავლენა, სტატიაში, სადაც არა ბოლომდე, მაგრამ მაინც მხილებულია დასავლეთის ძველი და ახალი ვერაგობები, რა ჩასაკვეხებელი იყო კონტექსტიდან ამოვარდნილი და სრულიად ზედმეტი ეს პასაჟი?!

**ვლადიმერ პუტინი:** — Сталин и его окружение заслуживают многих справедливых обвинений. Мы помним и о преступлениях режима против собственного народа, и об ужасах массовых репрессий.

**ვალერი კვარაცხელია:** — დასავლეთისათვის ხარკის გადახდის ამ მიუტევებელი ჟესტით გამაოგნებელი დისონანსია შემოტანილი სხვა მხრივ სრულიად საწინააღმდეგო პათოსით გაჟღენთილ სტატიაში.

სტალინის წინააღმდეგ სამართლიანი ბრალდებებიო?

**თუ კი დასავლეთი, როგორც ამას პუტინი სამართლიანად ბრძანებს, თურმე ყველაფერში ტყუის, რაღა სტალინის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებშია სამართლიანი?! ევროპა, რომელიც, რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებით, თავხედურად ტყუის, როდესაც ომის გამჩაღებლებად ფაშისტურ გერმანიასა და მისთვის აღვირის ამომდებ საბჭოთა კავშირს თანაბარ ბოროტებად გვისახავს და იმ შემთხვევაშიც ტყუის, როდესაც მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამომწვევ მიზეზად ასახელებს, რაღა მაშინ არის ცამდე მართალი, როდესაც სტალინს ტირანად და სისხლისმსმელად წარმოაჩენს?! და თუკი შენ, სსრკ-ს სამართალმემკვიდრე, სტალინის ეპოქას რეჟიმს უწოდებ და ამბობ, რომ ის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადიოდა, რატომ არაა შენი ეს „აღიარება“ დასავლეთისთვის მისი ცრუ ბრალდებების გამამართლებელი არგუმენტი?**

# სტატიაში, რომელშიც საბჭოთა კავშირსა და წითელ არმიას ფაშიზმისაგან ევროპისა და მსოფლიოს განმათავისუფლებლად სახავ, როგორ უნდა ილაპარაკო სტალინის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე?! როგორ, პიროვნება, რომელიც ევროპასა და მთელ მსოფლიოს ფაშისტური ჭირისგან ათავისუფლებდა, საკუთარ ხალხს ებრძოდა და მის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადიოდა?! თუ ასე იყო, სტალინის სახელით ტანკებს რატომ უვარდებოდნენ, ამას რაღა ვუყოთ?

სტატიაში, რომელშიც საბჭოთა კავშირსა და წითელ არმიას ფაშიზმისაგან ევროპისა და მსოფლიოს განმათავისუფლებლად სახავ, როგორ უნდა ილაპარაკო სტალინის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე?! როგორ, პიროვნება, რომელიც ევროპასა და მთელ მსოფლიოს ფაშისტური ჭირისგან ათავისუფლებდა, საკუთარ ხალხს ებრძოდა და მის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადიოდა?! რა, მთელ კაცობრიობაზე შესტკიოდა გული და მხოლოდ საკუთარი ხალხის სისხლს სვამდა? თუ ასე იყო, სტალინის სახელით ტანკებს რატომ უვარდებოდნენ, ეს ხომ ცნობილი მოვლენა იყო ფრონტზე, ამას რაღა ვუყოთ? რა გამოდის პუტინის ნათქვამიდან, თუკი სტალინი ყველა სხვა ხალხის ფაშისტური ჭირისგან ხსნას ლამობდა, მაგრამ საკუთარ ხალხს ფაშისტებთან ერთად ანადგურებდა, საბჭოთა ხალხი ამას იმსახურებდა?

**რეპრესიებიო, სასაცილოა პირდაპირ. პრეზიდენტი პუტინი თვითონ წერს, აშშ, დიდი ბრიტანეთი და მთელი ევროპა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერის გვერდით იდგნენ, მას აფინანსებდნენ და აიარაღებდნენო. ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გარეთ თუ ამდენს აკეთებდნენ, შიგნით, თავიანთ „მეხუთე კოლონას“ უყურადღებოდ დატოვებდნენ?! ჰოდა, რა უნდა ექნა სტალინს, მოახლოებული საშინელი ომის წინ ქვეყანა დასავლეთის ჯაშუშ-მსტოვრებისგან არ გაეწმინდა?!**

გამარჯვებიდან 75 წლის შემდეგ, წითელ მოედანზე იმ ისტორიული დღისადმი მიძღვნილ აღლუმს რომ იბარებ, ისიც ხომ უნდა აღიარო, რომ ის დიადი გამარჯვება 1937 წლის მოვლენების გარეშე ვერ დადგებოდა!

აი, კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი.

**ვლადიმერ პუტინი:** — Советский Союз дал правовую и моральную оценку так называемому Пакту Молотова-Риббентропа. В постановлении Верховного Совета от 24 декабря 1989 года официально осуждены секретные протоколы как „акт личной власти“, никак не отражавший „волю советского народа, который не несёт ответственности за этот сговор“.

**ვალერი კვარაცხელია:** — გასაოცარია, აბა, რა არის?! რომელ დოკუმენტს იშველიებს პრეზიდენტი პუტინი, — **გორბაჩოვისა** და მისი უმაღლესი საბჭოს მიერ სტალინის გადაწყვეტილების დაგმობას?! იმ გორბაჩოვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირიც, სოციალისტური მონაპოვარიც და ყველაფერი ის, რის დაცვასაც ათეულობით მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მიწასთან გაასწორა, როგორ შეიძლება, რომ დიდი სამამულო ომის პერიპეტიებზე მსჯელობისას არგუმენტად მოიხმო?! გარდა ამისა, ამ პასაჟამდე ცოტა ადრე თავისივე წერილში არგუმენტირებულად არ ამართლებს ამ ნაბიჯს? იმას არ ბრძანებს, სხვა ყველაფერთან ერთად, სსრკ წავიდა ამაზე, რათა აეცილებინა ომი ორ ფრონტზე — დასავლეთით გერმანიასთან და აღმოსავლეთით — იაპონიასთანო?

**პრეზიდენტი პუტინი, ნაცვლად იმისა, რომ თავს სტალინის ისტორიულად გრანდიოზული და ცამდე მართალი პიროვნების მემკვიდრედ აცხადებდეს, ნებსით თუ უნებლიეთ, ხრუშჩოვის, გორბაჩოვისა და ელცინის გვერდით დგება? სამწუხაროდ, ასე გამოდის!**

ამავე სტატიაში პრეზიდენტ პუტინის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სახელმწიფოს ლიდერების მიმართ მსოფლიო წესრიგის გადასარჩენად შეხვედრისკენ მოწოდება დაგვიანებული მგონია. **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგი, ამერიკელთა მონდომებითა და სტალინის შემდგომი პერიოდის საბჭოთა და რუსეთის ლიდერთა ხელისშეწყობით უკვე დაინგრა. ახლა მსოფლიო წესრიგის ახალი შინაარსი და ახალი ფორმაა საძებნი. ამისთვის ძველი რუდიმენტების მსხვრევაა საჭირო. დღეს, როდესაც დასავლურ კაპიტალიზმს ყველა მხრიდან ცეცხლი უკიდია და მოახლოებული რევოლუციის გრიგალი გლეჯს, მის გადარჩენაზე ზრუნვა კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კართაგენის დანგრევაზე“ ფიქრია საჭირო. მეტსაც მოგახსენებთ: რუსული კაპიტალიზმის „კართაგენიც“ დასანგრევია, ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის გარდაუვალი აღსასრულის ჟამს რუსეთში ოლიგარქიულ-კაპიტალისტური სისტემის მშენებლობა სრული ანაქრონიზმი და გაუგებარი ისტორიული ატავიზმი მგონია.**

განსახილველი სტატიის უმთავრესი ნაკლი არის ის, რომ ავტორმა უყურადღებოდ დატოვა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი. **მეორე მსოფლიო ომი იდეოლოგიათა ომი იყო, სადაც საბჭოთა კომუნისტურ იდეოლოგიას დასავლური ბურჟუაზიული იდეოლოგია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ამ დაპირისპირებაში სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა. რომ არა სოციალისტური სისტემა, ვერც სტალინის გენია და ვერც საბჭოთა ხალხის გმირული თავგანწირვა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების საწინდარი ვერ გახდებოდა. ამ ომში ვინმემ ან რამემ სასწაული თუ მოახდინა, ეს, პირველ რიგში, კომუნისტური იდეოლოგია და სოციალისტური სისტემა იყო.**

დასკვნის სახით იმის თქმა შემიძლია, რომ ის პოზიტიური ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ამ სტატიას უნდა ჰქონოდა, დასავლური პოლიტიკური შაბლონების ასე თვალშისაცემი გავლენების გამო, პრაქტიკულად, ავტორის ხელითვე გადაიხაზა და წაიშალა.

ეშმაკს, ასევე არ წაიშალოს ვლადიმერ პუტინის ხანგრძლივი მოღვაწეობა რუსეთის ხელისუფლების სათავეში, რომელიც კარგად დაიწყო, მაგრამ შეიძლება ცუდად დამთავრდეს, ვინაიდან რუსეთში კაპიტალიზმის მშენებლობას ისტორიული პერსპექტივა არ აქვს. ამიტომაცაა, რომ ლოგიკას მოკლებულ ხელოვნურ მოვლენად გამოიყურება, როცა კაპიტალისტურ რუსეთში მთავარ იდეოლოგიურ საყრდენად საბჭოთა კავშირის მიერ დასავლურ ფაშიზმზე მოპოვებულ გამარჯვებას აცხადებენ, მით უმეტეს, თუკი მას მიზანმიმართულად აცლიან ისტორიულ კონტექსტს და ლენინის მავზოლეუმით თანამედროვე კონტექსტით ფუთავენ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვიტყვი: **ორიოდე დღის წინათ, როდესაც ლენინის მავზოლეუმს სააღლუმოდ ფუთავდნენ და მალავდნენ, ხოლო ევროპასა და ამერიკაში ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლის აზარტი პიკს აღწევდა, გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში პროლეტარიატის დიდი ბელადის ძეგლი საზეიმოდ გახსნეს.**

ასეთია პარადოქსები, რომლებსაც მოულოდნელობებით აღსავსე ეს ეპოქა გულუხვად გვთავაზობს.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

# დღეს, როდესაც დასავლურ კაპიტალიზმს ყველა მხრიდან ცეცხლი უკიდია და მოახლოებული რევოლუციის გრიგალი გლეჯს, მის გადარჩენაზე ზრუნვა კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, «კართაგენის დანგრევაზე» ფიქრია საჭირო. მეტსაც მოგახსენებთ: რუსული კაპიტალიზმის «კართაგენიც» დასანგრევია, ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის გარდაუვალი აღსასრულის ჟამს რუსეთში ოლიგარქიულ-კაპიტალისტური სისტემის მშენებლობა სრული ანაქრონიზმი და გაუგებარი ისტორიული ატავიზმი მგონია

**P.S.** დღეს, 24 ივნისს დასავლურ ფაშიზმზე გამარჯვებისა და ისტორიული აღლუმის 75-ე წლისთავს მოსკოვში, წითელ მოედანზე პომპეზურად აღნიშნავენ, მაგრამ დღესასწაულის ოფიციალური ნაწილი ამჟამადაც სტალინისა და კომუნისტური იდეის ხსენების გარეშე ჩაივლის, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების დღეს, რეალურად, შინაარსი ამოცლილი აქვს.

ამგვარ ვითარებაში ამ დღის მასშტაბური აღნიშვნა წარსულის თვალსაზრისით თუ ჯერ კიდევ გასაგებია, აწმყოს თვალსაზრისით სრულიად უსარგებლო ხდება, ვინაიდან თანამედროვე რუსეთს საბჭოთა წარსულიდან, გამარჯვების აღლუმის გარეგნული ფორმის გარდა, არაფრის აღება არ სურს. ჯერჯერობით რუსეთის აწმყო და წარსული ერთმანეთს აცდენილია...

ვალერი კვარაცხელია

გამოცხადებული ჩეგვენობის ქრონიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ იყიდა მერიამ წყალი და პირბადეები 20 ივნისის აქციის მონაწილეებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან?! დედაქალაქის ბიუჯეტი ჩემი და თქვენი გადასახადებით რომ ივსება, არ უნდა ეკითხათ: ხალხო, იმ ასი, ორასი თუ სამასი კაცის პროტესტის გამო თქვენს ფულს ვხარჯავთ და წინააღმდეგი ხომ არ ხართო? რატომ უნდა დალიოს ვიღაცამ ჩემი ფულით ნაყიდი წყალი და თანაც იმან, ვისაც არც მხარს ვუჭერ, არც ვიცნობ და, საერთოდ, მგონია, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა?!**

# ხელისუფლებამ და ოპოზიციამ პირველ მტრად გამოაცხადეს ქვეყანა, რომლიდანაც ხორბლის 90 პროცენტი შემოგვაქვს

**პანდემია მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას შეეხო. საზღვრების ჩაკეტვამ, მრეწველობის გაჩერებამ, პროდუქტების გაძვირებამ დიდი სახელმწიფოები მილიარდობით დოლარით დააზარალა, პატარები — შედარებით ნაკლებად, თუმცა მათ მყიფე ეკონომიკის პირობებში რეალურად გაცილებით მეტი ზარალი მიადგათ.**

2020 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,8 პროცენტით ნაკლებია. **ექსპორტი** 1,23 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (16,2 პროცენტით ნაკლები), ხოლო **იმპორტი** — 2,97 მლრდ-ს (17,0 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-მაისში, საბოლოო ჯამში, 1,7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41,2 (!) პროცენტია. ამ ციფრებიდანაც კარგად ჩანს, რა დაემართა საქართველოს ეკონომიკას და, სავარაუდოდ, წინ უმძიმესი პერიოდი გველის. სამწუხაროდ, ეს არ არის რამდენიმეთვიანი კრიზისი, ეს გრძელვადიანი პროცესი იქნება. **საქართველოს საგარეო ვალმა მაისში 767 842 000 ლარით მოიმატა, ანუ, თითქმის მილიარდი ლარი ვისესხეთ უცხოელებისგან. სხვა საკითხია, სად წავიდა ეს თანხა და რისთვის ხარჯავს ხელისუფლება. იმედია, წლის ბოლოს მაინც გვეტყვიან.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყანა რუსეთი იყო. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში **ექსპორტი 157.1 მლნ დოლარი,** ხოლო **იმპორტი 336.882 მლნ** იყო. რუსეთიდან შემოტანილ პროდუქტებს შორის პირველი ადგილი **ნავთობს** უკავია, მეორე — **ხორბალს.** ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული. როგორც უნდა ვატრიალოთ, დღევანდელი მონაცემებით, ექსპორტის მიხედვით, საქართველოს პარტნიორ ტოპ-სამ ქვეყანას შორის რუსეთი მეორეა. პირველ ადგილზე ჩინეთი გახლავთ, ზუსტად ისე, როგორც ნებისმიერ სხვა განვითარებად ქვეყანაში. ჩინური საქონელი ცუდი, მაგრამ იაფია და ამიტომ განვითარებადი ქვეყნები მას უფრო ეტანებიან. არ დაგვავიწყდეს, რომ **ჩინეთიდან შემოტანილ პროდუქციაში, პრაქტიკულად, არ არის საკვები, იქიდან მზა პროდუქცია (რეზინები, სათამაშოები, ხელსაწყოები) შემოგვაქვს, ხოლო საქართველოდან ფერადი ლითონები და... ღვინო გადის.** სხვა სიტუაციაა რუსეთის მიმართ. **საკვები პროდუქტების მხრივ თითქმის მთლიანად რუსეთზე ვართ მიბმული და მათ შორის პირველ ადგილზე ხორბალია. პური, რომელსაც ყოველდღიურად მოვიხმართ, 90%-იანი სიზუსტით, რუსული ხორბლისგანაა დამზადებული.** არ დაგვავიწყდეს, რომ **1 ივლისამდე ევრაზიული კავშირის არაწევრ ქვეყნებზე რუსეთი ხორბალს აღარ ყიდის. თუ ეს გადაწყვეტილება 1 ივლისის შემდეგ არ შეიცვლება, ხორბლის გარეშე დავრჩებით; თუ შეიცვლება, სხვა ქვეყნებისთვის და მათ შორის ჩვენთვისაც, სპეციალური ფასი იქნება, ანუ იმაზე ძვირი, ვიდრე ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყნებისთვის ღირს. ახლა ისე არ გაიგოთ, ევრაზიულ კავშირში გაწევრებას ვთხოვდეთ მთავრობას, მაგრამ, რასაც ვთხოვთ და მოვითხოვთ, ეს არის ქვეყნის ხორბლით მომარაგების უზრუნველყოფა.** ხელისუფლებაში ყველაზე კარგად იციან, რომ რუსეთს იქით საშველი არ არის, რომ არც ერთი ქვეყანა თანახმა არ იქნება, ძველ პარტნიორებს უგანოს და საქართველოში დაიწყოს ხორბლის ექსპორტი იმ ოდენობით, ჩვენ რომ გვჭირდება და თუ დაიწყებენ, ფასი რუსულთან შედარებით სამმაგი მაინც იქნება. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ თუ ოპოზიციამ პირველ მტრად სწორედ რუსეთი გამოაცხადა, ქვეყანა, რომლისგანაც საქართველოს მოსახლეობა ხორბლის 90 პროცენტს ღებულობს.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, გავიხსენოთ, რომ საქართველო საშველს მტკნარი წყლების გაყიდვაში ეძებს. ამბობენ კიდეც, გლობალური დათბობის პირობებში სასმელ წყალს ნავთობზე მეტი ფასი დაედება და საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანააო. **ჰოდა, საქართველოდან ექსპორტირებული მინერალური და მტკნარი წყლების 41,3% რუსეთზე მოდის. 2020 წლის იანვარ-მაისში რუსეთში 17.702 მლნ დოლარის ღირებულების 31 082 ტონა წყალი გავიდა. მეორე ადგილზე 18 ათასი ტონა წყლითა და 8-მილიონიანი შემოსავლით უკრაინაა. არ გაინტერესებთ, ჩვენი პარტნიორი ამერიკა და ევროპის სხვა დიდი ქვეყნები რომელ ადგილზე არიან, ანუ როგორ ეხმარებიან ქართულ ეკონომიკას, როგორ უწევენ პოპულარიზაციას იმას, რაც მართლა კარგი და ხარისხიანი გვაქვს? ამერიკა ამ მხრივ მეშვიდე ადგილზეა 762 ათასი დოლარით,** ევროპა კი... **ლიეტუვა** მესამე ადგილზეა, **ბულგარეთი** — მეოთხეზე, შემდეგ კი საბჭოეთის ყოფილი რესპუბლიკები მოდიან — **ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა.** ათეულში, საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარდა, მხოლოდ ამერიკა, ისრაელი და ბულგარეთი არიან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ **ქართული პროდუქციისთვის საუკეთესო ბაზარი სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცეა, რომელშიც ჩვენს პროდუქციას იცნობენ, მაგრამ ჩვენ ხომ ევროპა და ამერიკა გვირჩევნია, ამიტომ იქ ვამტვრევთ დახურულ კარს და ღია კარში შესვლა ცოცხალი თავით არ გვინდა.**




**რუსეთი 1 ივლისამდე ევრაზიული კავშირის არაწევრ ქვეყნებზე ხორბალს აღარ ყიდის. თუ ეს გადაწყვეტილება 1 ივლისის შემდეგ არ შეიცვლება, ხორბლის გარეშე დავრჩებით; თუ შეიცვლება, სხვა ქვეყნებისთვის და მათ შორის ჩვენთვისაც, სპეციალური ფასი იქნება, ანუ იმაზე ძვირი, ვიდრე ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყნებისთვის ღირს. ახლა ისე არ გაიგოთ, ევრაზიულ კავშირში გაწევრებას ვთხოვდეთ მთავრობას, მაგრამ, რასაც ვთხოვთ და მოვითხოვთ, ეს არის ქვეყნის ხორბლით მომარაგების უზრუნველყოფა**

გასულ კვირას ოპოზიციამ 20 ივნისი იზეიმა, სწორედ რომ იზეიმა. აქაოდა, დამოუკიდებლობის ათვლა სწორედ შარშან დავიწყეთო. უფრო მეტიც, **ლევან ბერძენიშვილმა** ისიც თქვა, შარშან პირველად მოხდა, რომ ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობა დაარბიაო და **ნაციონალებს 7 ნოემბერი ცალკე „გაუპრავა", ცალკე — 26 მაისი.** ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **20 ივნისის აქციის მონაწილეებს მერიის სამსახურები ეხმარებოდნენ — წყალს ურიგებდნენ, პირბადეებს, სადეზინფექციო ხსნარს. იმ სტიკერების დაკვრაშიც დაეხმარნენ, რომლებსაც თითქოს დისტანციის დაცვაში უნდა შეეწყო ხელი აქციის მონაწილეებს შორის, სტიკერებზე კი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახე იყო გამოსახული და მთავარი მიზანიც ეს იყო — ვლადიმერ პუტინის სახეს ფეხით უნდა შემდგარიყვნენ.**

პირველ რიგში, ის გვაინტერესებს, **რატომ იყიდა მერიამ წყალი და პირბადეები 20 ივნისის აქციის მონაწილეებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან. დედაქალაქის ბიუჯეტი ჩემი და თქვენი გადასახადებით რომ ივსება, არ უნდა ეკითხათ: ხალხო, იმ ასი, ორასი თუ სამასი კაცის პროტესტის გამო თქვენს ფულს ვხარჯავთ და წინააღმდეგი ხომ არ ხართო? რატომ უნდა დალიოს ვიღაცამ ჩემი ფულით ნაყიდი წყალი და თანაც იმან, ვისაც არც მხარს ვუჭერ, არც ვიცნობ და, საერთოდ, მგონია, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა?!** გამოდის, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ ნავში სხედან და ნიჩბებსაც ერთნაირი მონდომებით უსვამენ, მაგრამ რამე რომ მოხდეს, ოპოზიცია ხელს მაშინვე ხელისუფლებას შეაწმენდს და თითსაც გაიშვერს: ჩვენ ვაფრთხილებდით, მათ კი არ დაგვიჯერესო.

**ბოლო პერიოდში რატომღაც წესად დამკვიდრდა, რომ პოლიტიკურ სპექტრში ყველამ ერთხმად უნდა აგინოს რუსეთს, შეურაცხყოს ამ ქვეყნის პრეზიდენტი, სანაცვლოდ კი რუსეთმა ხმა არ უნდა ამოიღოს. ქართველმა პოლიტიკოსებმა საჯარო მოწოდებები უნდა გააკეთონ, რუსეთის პირველმა პირებმა კი დაიჩოქონ მათ წინაშე (?!) და სანაცვლოდ იქიდან ჩვეულებრივად უნდა მოგვაწოდონ ყველა პროდუქტი, რომლებსაც ამჟამად ვიღებთ, და იმათაც ჩვეულებრივ უნდა იყიდონ ყველაფერი, რასაც ყიდულობდნენ.** ეს რატომ არავის აწუხებს? იმიტომ, რომ შეგვრჩა ერთხელ, ორჯერ, ათჯერ... თუ მოხდა ისე, რომ პოლიტიკოსების განცხადებებით შეურაცხყოფილმა რუსეთმა გადაწყვიტა ჩვენთვის სანქციების დაწესება, რომ არც ხორბალი მოგვყიდოს, არც ქართული პროდუქტები შეუშვას თავის ბაზარზე და, საზოგადოდ, ჩვენთან ვაჭრობა აკრძალოს, გამოსავალი აქაც ნაპოვნია — **მაშინვე ვიყვირებთ, რომ რუსეთი მტერია, მეზობელი ქვეყანა შიმშილისთვის გაიმეტაო. მერე შემოვა ბათუმის ან ფოთის პორტში ამერიკული გემი, ჩვენ გაგვიხარდება, იქიდან გადმოტვირთავენ წყალს და პამპერსებს (სიტუაციის შესაბამისად, პირბადეებსაც), დაგვამშვიდებენ, შემოგვძახებენ აბა, ჰეს და აბა, ჰოს და... და არც არაფერი, საერთაშორისო სანქციებს დაუწესებენ რუსეთს, თანაც საბაბად ჩვენ გამოგვიყენებენ, ანუ ხელს ისევ ჩვენ შეგვაწმენდენ: თქვენ გამო ვსჯით, თორემ ჩვენ ინტერესი არ გვაქვსო.**

საპარლამენტო არჩევნები მოდის და უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ რუსეთის ხელისუფლება თურმე ამ არჩევნებში არ უნდა ჩაერიოს. უფრო მეტიც, თაკო ჩარკვიანმა ისიც თქვა, არჩევნებზე პუტინმა არც ერთი ხმა არ უნდა მიიღოსო. მაჟორიტარად ჯერ არ დაუსახელებიათ პუტინი და, თუ დაასახელებენ, აი, მტკიცებით ფორმაში ვიტყვით, რომ ჩარკვიანზე მეტ ხმას ნამდვილად აიღებს. მანამდე კი, არჩევნებში ჩაურევლობას თუ ითხოვთ, ეს დასავლელ ელჩებს მოჰკითხეთ, ჩარევას კი არა, კონსტიტუციას, როგორც სურთ, ისე რომ გვაწერინებენ და გვეუბნებიან, მომდევნო წლებში როგორ უნდა ვიცხოვროთ. პრინციპში, ეგ ჩარევაც აღარ არის, **როდის იყო, მონათმფლობელი მონის საქმეში ერეოდა, ის, უბრალოდ, ბრძანებდა, მონა — ასრულებდა.**

**საპარლამენტო არჩევნები მოდის და უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ რუსეთის ხელისუფლება თურმე ამ არჩევნებში არ უნდა ჩაერიოს. უფრო მეტიც, თაკო ჩარკვიანმა ისიც თქვა, — არჩევნებზე პუტინმა არც ერთი ხმა არ უნდა მიიღოსო. მაჟორიტარად ჯერ არ დაუსახელებიათ პუტინი და, თუ დაასახელებენ, აი, მტკიცებით ფორმაში ვიტყვით, რომ ჩარკვიანზე მეტ ხმას ნამდვილად აიღებს. მანამდე კი, არჩევნებში ჩაურევლობას თუ ითხოვთ, ეს დასავლელ ელჩებს მოჰკითხეთ, ჩარევას კი არა, კონსტიტუციას, როგორც სურთ, ისე რომ გვაწერინებენ და გვეუბნებიან, მომდევნო წლებში როგორ უნდა ვიცხოვროთ**

**ბესო ბარბაქაძე**

„დასავლეთი უკვე საჯაროდ აცხადებს, რომ საქართველოში უნდა აღიზარდოს ახალი პოლიტიკური კლასი, ხელი შეეწყოს მესამე სექტორის განვითარებას და ეს ყველაფერი მიმართული უნდა იყოს ე.წ. რუსული პროპაგანდის დასათრგუნავად, ანუ საქართველო-რუსეთის პოტენციური დაახლოების ყველანაირი შესაძლებლობის აღმოფხვრისკენ“.

ანტიქართული რეფორმაცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# საქართველოში განხორციელდა სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების კასკადი. დღეს ეს პროცესი, სამწუხაროდ, გრძელდება

# საქართველო — ევროკავშირის საიდუმლო პოლიტიკურ-სოციალური ექსპერიმენტების არენა

**ევროპარლამენტის მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ“ 20 ივნისს მიღებულ რეზოლუციაში, რომელსაც 507-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 119 კი წინააღმდეგი იყო, ყურადღება საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასაც დაეთმო. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამივე ქვეყანას, ინდივიდუალური მიდგომის ფარგლებში, თანამშრომლობის გაფართოებული სტრატეგია უნდა შესთავაზონ.**

რეზოლუციის მხარდამჭერმა ევროპარლამენტარებმა მოუწოდეს ევროპის საბჭოს, რომ აუცილებელია შესაბამისი პროგრამების ამოქმედება, რათა ამ ქვეყნებში კიდევ უფრო წახალისდეს „პოლიტიკური ფონდების მუშაობა, გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები და აღიზარდოს პოლიტიკური ლიდერების მომავალი თაობა...“. დოკუმენტის თანახმად, ეს ნაბიჯები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სახელმწიფოების ინტეგრირებას დასავლურ გეოპოლიტიკურ ოჯახში; მეორე მხრივ, მათ საშუალებას მისცემს, გააჯანსაღოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და დ განაგრძონ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

ცნობისთვის: აღნიშნულ დოკუმენტში, რომლის სრულად გავრცელებისგან ქართულმა ლიბერალურმა მედიამ თავი მიზანმიმართულად შეიკავა, ხაზგასმულია, რომ „მჭიდრო პოლიტიკური პარტნიორობისა და ფინანსური დახმარების მისაღებად მთავარი პარამეტრები ქმედითი და მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტები, მედიის თავისუფლება და ადამიანის უფლებების დაცვაა...“, თუმცა დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმაზე, კონკრეტულად რას უნდა გულისხმობდეს ეს პროცესი. ასევე არაფერია ნათქვამი, რას ნიშნავს „ახალი პოლიტიკური ლიდერების აღზრდის ხელშეწყობა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება“...

**რა გზავნილია საქართველოსთვის ევროპარლამენტის რეზოლუცია და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ პოლიტიკურ დღის წესრიგში ამ დოკუმენტის კვალდაკვალ? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ევროპარლამენტის მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ“ 20 ივნისს მიღებულ ვრცელ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, სხვადასხვა პოლიტიკური ფონდის მუშაობის წასახალისებლად და, რაც მთავარია, პოლიტიკური ლიდერების ახალი თაობის აღსაზრდელად. რა შეიძლება იგულისხმებოდეს „პოლიტიკური ლიდერების აღზრდაში?“**

— შემთხვევით არ არის შერჩეული სამი ქვეყანა — საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ეს სამი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ერთად განიხილებოდა, როგორც გეოსტრატეგიული მიზანი, რომელიც დასავლეთის გაფართოებას გულისხმობდა აღმოსავლეთით, თუმცა საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამო სწორედ აქ განხორციელდა სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების კასკადი, რომელმაც სამოქალაქო დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანა. დღეს ეს პროცესი, სამწუხაროდ, გრძელდება და მეტიც, **დასავლეთი უკვე საჯაროდ აცხადებს, რომ საქართველოში უნდა აღიზარდოს ახალი პოლიტიკური კლასი, ხელი შეეწყოს მესამე სექტორის განვითარებას და ეს ყველაფერი მიმართული უნდა იყოს ე.წ. რუსული პროპაგანდის დასათრგუნავად, ანუ საქართველო-რუსეთის პოტენციური დაახლოების ყველანაირი შესაძლებლობის აღმოფხვრისკენ.** როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კრემლის წინააღმდეგ დასავლეთის სტრატეგიულ მიზნებსა და მოქმედებებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუბარი არ არის მხოლოდ რუსეთის ფედერაციაზე, აქ **ლაპარაკია თავის დროზე გამოთქმული საინტერესო კონცეფციის საწინააღმდეგო პროცესზე, რომელიც გულისხმობს რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთის სამკუთხედს. აი, ეს არის მათი მთავარი ამოსავალი წერტილი და აქედან იწყება ყველაფერი, იმიტომ, რომ დასავლეთს ძალიან ეშინია რუსულ-ჩინური ალიანსის.** სხვათა შორის, არც ბოლო პერიოდში ნატოს გარკვეული შეიარაღებული კონტინგენტის გადასროლაა შემთხვევითი ბალტიის ქვეყნებისკენ. ეს კიდევ უფრო აძლიერებს დასავლეთის პლაცდარმს აღმოსავლეთით და არა მხოლოდ. **რაც შეეხება საქართველოს და იმ განცხადებას, რომ აქ უნდა აღიზარდოს პოლიტიკური ლიდერების ახალი თაობა, ვფიქრობ, ახალი არაფერი ხდება, იმიტომ, რომ საქართველოში პოლიტიკური კლასის აღზრდა, წლებია, მიმდინარეობს. მოახლოებული არჩევნებისთვის კი მათ სჭირდებათ გარკვეული აქტიურობა და ოქტომბერში ამას, ალბათ, კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ.** მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ცდილობენ, ხელისუფლების ფორმირების მორიგ დასავლურ გეგმას ხორცი შეასხან...

**— რას მოიტანს ეს გეგმა, ანუ რა კონკრეტულ შედეგს მივიღებთ არჩევნების შემდეგ?**

— ვფიქრობ, **ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ დარჩენის პერსპექტივას დასავლეთი არ განიხილავს რეალისტურად და შეეცდება, რომ რევანშისტულ ოპოზიციას, წინა ხელისუფლების სახით, შესაძლებლობა მისცეს, 2012 წლის 1 ოქტომბერს შეწყვეტილი პოლიტიკური პროცესიდან გააგრძელოს ესტაფეტა.** ჩემი აზრით, ეს არის მათი ჩანაფიქრი და **მიხეილ სააკაშვილის** ბოლოდროინდელი პოლიტიკური ვოიაჟიც საქართველოში პროცესების დაჩქარებას ემსახურება...

**— დავუბრუნდეთ ევროპარლამენტის რეზოლუციას. როგორ ფიქრობთ, ის განცხადებები, რომ აქ კიდევ უფრო მეტად უნდა წახალისდეს გარკვეული ფონდების მუშაობა, ხელი შეეწყოს პოლიტიკური ლიდერების ახალი თაობის აღზრდას და ა.შ., ნიშნავს თუ არა იმას, რომ რეალური მესამე ძალის ჩამოყალიბების პერსპექტივა, რაც საზოგადოების უმთავრესი მოთხოვნაა, პრაქტიკულად უნდა გამოირიცხოს?**

— არათუ ნიშნავს, **ეს არის ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გაკეთებული განცხადება, რომ ამ ქვეყანაში არავითარი თავისუფალი პოლიტიკური სივრცე არ უნდა არსებობდეს. ეს ქვეყანა მათ მიერ არის ნაყიდი მილიარდიანი საგარეო ვალებით, გრანტებით და ვითომ დახმარების სხვადასხვა პაკეტით, რომელთა სანაცვლოდაც მუდმივად უნდა ვიყოთ მათ პოლიტიკურ მორჩილებაში.** აი, ეს არის რეალურად ნათქვამი და, როგორც ჩანს, ახლაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული ფინანსური ინექციებით კიდევ უფრო გამყარდეს ჩვენი პოლიტიკური მიჯაჭვულობა მათთან. საერთოდ, **დასავლეთს საქართველოში ახალი პოლიტიკური კლასი სჭირდება იმისთვის, რომ, რაც ვერ განახორციელა წინა ხელისუფლებამ ან თუნდაც დღევანდელმა, განახორციელოს სხვამ. ბევრი რამაა ასეთი და ეს ყველამ ვიცით.** თავის დროზე სააკაშვილმა ვერ გაბედა უამრავი საკანონმდებლო ცვლილების გატარება ხალხის რისხვის შიშით, ვერ ბედავს „ოცნებაც“, მიუხედავად იმისა, რომ სანაცვლოდ დასავლეთიდან დაპირებული პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური დივიდენდების გამო ეს ყველაფერი სულით და გულით უნდა...

**— რას გულისხმობთ, რა ვერ განახორციელეს წინა და მოქმედმა ხელისუფლებებმა და რა უნდა განახორციელოს ახალმა პოლიტიკურმა კლასმა?**

— მაგალითად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება, იუვენალური იუსტიცია, რომელიც ნაწილობრივ უკვე მოქმედებს ე.წ. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახით, მაგრამ ეს მაინც არ არის ლიბერალური დიქტატის ის ფორმა, რომელიც მათ სურთ. სხვათა შორის, ეს ყველაფერი ჩადებულია ასოცირების ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებში, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 120-ს შეადგენს და ეს მუხლები დღემდე საჯარო არ არის. იქ ლაპარაკია მიგრაციის შესახებ მსოფლიო კონცეფციის განხორციელებაზე, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სოციალურ ექსპერიმენტზე და ა.შ.

> **«ეს ყველაფერი ჩადებულია ასოცირების ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებში, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 120-ს შეადგენს და ეს მუხლები დღემდე საჯარო არ არის. იქ ლაპარაკია მიგრაციის შესახებ მსოფლიო კონცეფციის განხორციელებაზე, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სოციალურ ექსპერიმენტზე და ა.შ.»**

**— როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს დღეს ქვეყანაში რეალურ ოპოზიციურ ფლანგს, ვგულისხმობ კონსერვატიულ ძალებს, რომლებსაც საზოგადოების მხარდაჭერა გააჩნიათ, მაგრამ ორგანიზება აკლიათ?**

— პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ დიდი რესურსი იხარჯება რეალური ეროვნული იდეების მქონე პოლიტიკური ბანაკის დასაქსაქსავად; ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეროვნული ძალების გაერთიანება ვერ მოხერხდეს. მიუხედავად ყველაფრისა, მინდა, მჯეროდეს, რომ, სანამ საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავა, გონს მოვეგებით. სხვანაირად არ და ვერ გამოვა ვერანაირი შედეგი, რომელიც სჭირდება რეალურ პოლიტიკურ ცვლილებებს.

**— კონსერვატიული ბანაკის დაქსაქსვა ახსენეთ და თქვით, რომ ძალიან დიდი რესურსები იხარჯება ამაში. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ჩართულია ამ პროცესში? „ოცნება“ ამაყობს, რომ თავისუფალი და ჯანსაღი პოლიტიკური გარემო შექმნა...**

— სიჯანსაღის რა მოგახსენოთ, მაგრამ, რადგან არჩევნებზე ვსაუბრობთ, მინდა გაგახსენოთ **კახა კალაძის** მიერ გაკეთებული ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც სწორედ არჩევნებსა და საარჩევნო კონკურენციას ეხებოდა. მან თქვა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება, არ დააყენონ კანდიდატები იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ძირითადი ფრთისა და მისი დანამატების გარდა დანარჩენი ოპოზიციის ნებისმიერ წარმომადგენელს ან დამოუკიდებელ კანდიდატს ექნება გამარჯვების რეალური შანსი. საუბარია იმაზე, რომ კონკურენცია არ გაუწიონ ორგანიზაციულად სუსტ, მაგრამ ავტორიტეტის მქონე სუბიექტებს. ვფიქრობ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება და საინტერესოა, რჩება თუ არა ის ძალაში. თუ რჩება და მართლა გადადგამენ ამ ნაბიჯს, დარწმუნებული ვარ, რომ პირველი — მოსახლეობის აქტივობა იქნება გაცილებით მაღალი, ვიდრე წინა არჩევნებზე; და მეორე — არაერთ საარჩევნო ოლქში ნაცები და მათი განაყოფი ევრონაცები უშანსოდ დარჩებიან. ახლა რა არის ჩემი არგუმენტი ამ შემთხვევაში, რომელზე დაყრდნობითაც მივმართავ ხელისუფლებას, რომ არ დამიყენოს კონკურენტი საბურთალოს ოლქში **თაკო ჩარკვიანის** წინააღმდეგ, რომელიც ამაყად აცხადებს: „არც ერთი ხმა პუტინს“, და გულისხმობს საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად რუსულ-ქართული ურთიერთობების გადატვირთვაზე მომუშავე პოლიტიკოსებს. **თბილისის მერის 2014 წლის არჩევნებში ვიყრიდი კენჭს და გაგახსენებთ, რომ მაშინ იმაზე მეტი ხმა მივიღე, ვიდრე ოპოზიციის დანარჩენმა 11-მა კანდიდატმა.** საუბარია ხმების 13%-ზე. თუ ხელისუფლებას მართლა სურს, ორგანიზაციულად სუსტ, მაგრამ ავტორიტეტულ პოლიტიკურ ჯგუფებს გზა გაუხსნას, მაშინ მოგვცეს ამის რეალური საშუალება; მაგალითად, მე **არ დამიყენოს თავისი კანდიდატი საბურთალოს ოლქში და ვანახვებ ქალბატონ ჩარკვიანს, როგორ „არ უნდა“ ხალხს ხელისუფლებაში რუსულ-ქართული ურთიერთობების გადატვირთვაზე მომუშავე პოლიტიკოსების ხილვა.** საზოგადოებას სხვა არაფერი არ უნდა, გარდა იმისა, რომ გაჩნდეს თუნდაც მინიმალური პერსპექტივა ცვლილებების რეალურ პოლიტიკურ დონეზე და არა კოსმეტიკურად, როცა დასავლეთის ერთი ყურმოჭრილი მონის ადგილს მეორე იკავებს და მერე მომდევნო არჩევნებამდე მთელი პოლიტიკური სპექტრი მათი სამარცხვინო კინკლაობის ასპარეზადაა გადაქცეული...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დიდად საწყენია, რომ ფაშიზმზე გამარჯვების იუბილეზე აშშ-ის პრეზიდენტი ანტიჰიტლერულ კოალიციაში გამარჯვების მთავარ ავტორს (როგორმე ამერიკული კონსერვების გარეშეც გავიმარჯვებდით) — სსრკ-ს საერთოდ არ ახსენებს. ამას ისტორიის გაყალბებას უწოდებთ, მაგრამ იმაზე არ დაფიქრებულხართ, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიის გაყალბებას თვითონ უწყობთ ხელს, როდესაც არც ერთ საქებარ სიტყვას არ ძრავთ კაცზე, რომლის სახელითაც საბჭოეთის გმირები ტანკებს უვარდებოდნენ...**

# აპარტეიდი უკუღმა თუ კულტურული კაცობრიობის დასასრულის დასაწყისი?

**ამ ერთი კვირის განმავლობაში, რაც „აღარ შევხვედრივართ“, იმდენი რამ მოხდა საქართველოსა თუ უცხოეთში, რომ მკითხველი უეჭველად ირწმუნებს, სათაური საკუთარი ინტელექტით იაფფასიანი კეკლუცობიდან კი არა, იქიდან მომდინარეობს, რასაც დიდმა ქართველმა მწერალმა გურამ დოჩანაშვილმა „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“ უწოდა. ჩემი მხრივ კი, გავკადნიერდები და დიდი ქართველი მწერლის ნათქვამ გენიალურ ფრაზას 1923 წელს პარიზში ემიგრირებული სიმონიკა ბერეჟიანის ჯიგრის დამწველი ფრაზით გავამდიდრებ: „თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო“...**



ამერიკაში თეთრკანიანი ფეხსაცმელზე კოცნის შავკანიანს

**ჩვენი «სტრატეგიული პარტნიორები» უკრაინა-საქართველოს შესახებ მხოლოდ მოჩვენებით «ბაზრობენ» გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, აშშ-ის კონგრეს-სენატში — მოკლედ, მსოფლიოს ყველა მაღალი ტრიბუნიდან. ასეთი ყასიდად ლაპარაკის ბრალია ის, რა დღეშიც არის «დასავლეთის მეგობარი» საქართველო. ხსენებულმა ორგანიზაციებმა ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი იმდენი რეზოლუცია-განცხადება მიიღეს, რომ, თუ გამოგვიგზავნიან, ტუალეტის ქაღალდის პრობლემას მაინც გადავჭრით, რომელმაც კორონავირუსის პანდემიის პირობებში აქა-იქ იჩინა თავი**

ვიცი, ზემოხსნებული დიდი ქართველების ფეხჩილადაც არ ღირს ჩემი „შემოქმედება“, მაგრამ იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომ მეც მათნაირად მესმის (მხოლოდ მესმის და ამით მთავრდება ჩვენი მსგავსება), რა არის ის, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“ — მრავალტანჯული, „ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმული“ სამშობლო ჩვენი, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო, რომელიც ჩვენმა გმირმა წინაპრებმა მრავალი საუკუნის განმავლობაში ხმალთა კვეთებით, ავად თუ კარგად, ჩვენამდე მოიტანეს; დროთა განმავლობაში შაგრენის ტყავივით დაპატარავებული, მაგრამ მაინც ჩვენი სამყოფი, მართლმადიდებელი, ე.ი., ეროვნული თვითმყოფადობაშენარჩუნებული საქართველო, რომელსაც ხმლით მოსულმა მტერმა ვერაფერი დააკლო, მაგრამ ულირსი შთამომავლობის (ანუ ჩვენი) ხელში გადაგვარების გზაზე დგას...

დაინტერესებულ და ყურადღებიან მკითხველს უთუოდ ემახსოვრება „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ანტისემიტიზმი რუსოფობიამ ჩაანაცვლა“. სტატიის ლაიტმოტივი იყო ის, რომ **ადოლფ ჰიტლერის** იდეოლოგიის მიხედვით, ყველაფერი, რაც ცუდი ხდებოდა გერმანიასა და, საერთოდ, მსოფლიოში, ებრაელების ბრალი იყო. ახლა ებრაელები რუსებმა ჩაანაცვლეს და ყველაფერი რუსების ბრალია, ოღონდ, თუ უქომაგო ებრაელებს გაზის კამერებში ხოცავდნენ, ზესახელმწიფო სსრკ-სა და მის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციას უბატონოდ ხმას ვერ სცემდა და სცემს „დემოკრატიული დასავლეთი“... **პუტინის** რუსეთს ვგულისხმობ, თორემ სსრკ-ის ნგრევის პროცესი, რომელიც **გორბაჩოვმა** დაიწყო, წარმატებით გრძელდებოდა **ელცინის** რუსეთში და რომ არა, მართლაც ღვთით მოვლენილი ვლადიმერ პუტინი, დღეს რუსეთი, სრულიად ლიბერასტულ დასავლეთთან ერთად, ერთი დიდი ლგბტ ბორდელი იქნებოდა.

ჰიტლერის ანტისემიტიზმისა არ იყოს, ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ მეც ანტილგბტ ვირუსი შემეყარა, რადგან სტატიას ვერ იპოვით ჩემს „შემოქმედებაში“, რომელშიც გაკვრით მაინც არ ვახსენებ ლგბტ სექტას, როგორც ყოველივე ბოროტების სათავეს...

მეორე დიდი შოკი 2014 წელს მიიღეს მსოფლიოს მმართველმა ნეოლიბერასტებმა (პირველი დიდი შოკი 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე მიიღო დასავლეთმა, როდესაც ვლადიმერ პუტინმა რუსეთის გეოპოლიტიკაში დაბრუნება ამცნო მსოფლიოს), როდესაც რომელიღაც დასავლელი ჟურნალისტის აშკარა პროვოკაციულ შეკითხვაზე, რატომ არ არის რუსეთში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება დაშვებული, რუსეთის პრეზიდენტმა მშვიდი ტონით განაცხადა, რომ ოჯახი ქალისა და კაცის ერთობაა და რუსეთში სხვა ვარიანტები არც კი განიხილებაო. უფრო მეტიც, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად მიიღო კანონი არასრულწლოვანთა შორის გეიპროპაგანდის 99 წლით (იუმორის გრძნობაც ჭარბად ჰქონიათ ოკუპანტებს) აკრძალვის შესახებ, რაც, ჰომოსექსუალთა ქორწინებების აკრძალვასთან ერთად, თავისთავად ნიშნავს, რომ რუსეთში „უწყინარი“ გეიაღლუმებიც არასოდეს გაიმართება.

საქართველოში მოქმედი, დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული ასოების (არასამთავრობო ორგანიზაციების) მეცადინეობით, დიდი ალბათობით, საქართველოშიც დაუშვებენ ჯემალასა და ჯუმბერას ქორწინებას, მაგრამ ხმელეთის 1/6-ზე გადაჭიმული სახელმწიფოს პრეზიდენტს, რომ იტყვიან, „ძალაც შესწევს ქადილისა“ და მსოფლიო პედერასტული დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს...

ეს ყველაფერი, ვიმეორებ, 2014 წლამდე ხდებოდა და ზოგიერთ ავტორიტეტულ პოლიტოლოგ-ექსპერტთა აზრით, რუსეთისთვის უკრაინაში შექმნილი პრობლემების ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მიზეზი ლგბტ სექტის წინააღმდეგ მიმართული დემარშია, სექტის, რომლის წარმომადგენლებიც უმრავლესობაა ბევრი ქვეყნის სახელისუფლო ვერტიკალში.

მიუხედავად ამისა, რუსეთმა მაინც იხეირა და სამუდამოდ მიიერთა ყირიმი, რომელიც, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, მას შემდეგ, რაც **ეკატერინე** დიდის ფავორიტმა **გრაფმა პოტიომკინმა** 1783 წელს ყირიმელ თათრებს წაართვა, ეს ნახევარკუნძული შემოქმედებითი კერა იყო — მხოლოდ პუშკინის „ბახჩისარაის შადრევანი“ რად ღირს, რომ არაფერი ვთქვათ **დოსტოევსკიზე, აივაზოვსკიზე, ჩეხოვსა** და სხვებზე, რომელთა შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელა დიდი რუსული კულტურა (ისე, ცნობისთვის: იმ წლებში, როდესაც ყირიმში რუსული კულტურის შედევრებს ქმნიდნენ, ამ ნახევარკუნძულის მთავარი პოლიცმაისტერი იყო „რუსეთის მონა“, ქართველი **დუმბაძე**).

ამიტომაც პრეზიდენტმა პუტინმა ყირიმის თემა სამუდამოდ დახურულად გამოაცხადა და მსოფლიოს ვერც ერთი სახელმწიფოს ლიდერი ყირიმის თემაზე მოჩვენებითაც კი ვერ ბედავს პუტინთან ლაპარაკს. **„მსოფლიოს თანამეგობრობაც“ მოსკოვის კეთილი ნების გარეშე ისევე ველარასოდეს იხილავს კიევის იურისდიქციაში ყირიმსა და დონბას-ლუგანსკს, როგორც თბილისის იურისდიქციაში — სოხუმ-ცხინვალს. ეს ჩემი მხრიდან კოლაბორაციონიზმი კი არა, ფაქტების ანალიზის შედეგია. ეს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც, განსაკუთრებით — რუსოფობიით მოწამლულ, გაუნათლებელ, ურაპატრიოტ ახალგაზრდობას, რომლებიც, საბედნიეროდ, თუ „გავრილოვის ღამის“ წლისთავის აღნიშვნის კადრებით ვიმსჯელებთ, არც ისე ბევრნი ყოფილან.**

ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ უკრაინა-საქართველოს შესახებ მხოლოდ მოჩვენებით „ბაზრობენ“ გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, აშშ-ის კონგრეს-სენატში — მოკლედ, მსოფლიოს ყველა მაღალი ტრიბუნიდან. ასეთი ყასიდად ლაპარაკის ბრალია ის, რა დღეშიც არის „დასავლეთის მეგობარი“ საქართველო. ხსენებულმა ორგანიზაციებმა ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული მთლინობის მხარდამჭერი იმდენი რეზოლუცია-განცხადება მიიღეს, რომ, თუ გამოგვიგზავნიან, ტუალეტის ქაღალდის პრობლემას მაინც გადავჭრით, რომელმაც კორონავირუსის პანდემიის პირობებში აქა-იქ იჩინა თავი. იმ პროცესებზეც უნდა ვთქვათ, რომლებსაც აპარტეიდი უკუღმა დავარქვი... აი, როგორ განმარტავს ამ სიტყვას ლექსიკონი:

აპარტეიდი — რასობრივი დისკრიმნაციის ყველაზე სასტიკი ფორმა, რომელიც რასობრივი ნიშნით გამორჩეული გარკვეული ჯგუფებისთვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთაში გამოიხატება. სამხრეთაფრიკულ აპარტეიდს საბოლოოდ 1994 წელს მოეღო ბოლო, როდესაც პრეზიდენტმა დე კლერკმა პირველი თავისუფალი არჩევნები ჩაატარა, რომლის შედეგად იგი ამ პოსტზე ნელსონ მანდელამ შეცვალა.

აი, ამ დღიდანაა შურისმგებლური აპარტეიდი უკუღმა, ანუ, როდესაც თეთრკანიანი მოსახლეობა, ბურები, განიცდიდნენ დაკანონებულ შურისძიებას, სასამართლო თუ სხვა დავებში საკმარისი იყო, პირს შავი ფერის კანი ჰქონოდა და გამარჯვებული იყო. თეთრების მასობრივი მკვლელობებიც გახშირდა, ამიტომაც დაიწყეს თეთრკანიანებმა ქვეყნიდან გაქცევა. წერა-კითხვის უცოდინარი შავკანიანების ხელში დარჩენილი ერთ დროს აყვავებული ეკონომიკა, ძირითადად, სოფლის მეურნეობა, ლამის სრულიად დაინგრა.

**სხვათა შორის, სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში განიხილებოდა საქართველოში ბურების ჩამოსახლება, რაც, სხვა ჯიშის მიგრანტებისგან განსხვავებით, ქართველი კაცისთვის მიუღებელი არ იყო — ისინი ქრისტიანები მაინც არიან, მაგრამ ეს პროექტი ჩავარდა. ალბათ, „ატკატი“ ეცოტავათ ნაცებს და ქართველისთვის მიუღებელი ჯიშ-ჯილაგით გაავსეს საქართველო.**

ახლა — რამდენიმე სიტყვა დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 75 წლისთავის და ამ თარიღთან დაკავშირებული ვლადიმერ პუტინის შესანიშნავი წერილის შესახებ.

დიდ სამამულო ომში გამარჯვება საკრალურ, ლამის რელიგიის რანგში აიყვანეს რუსებმა და მართებულადაც — გამარჯვებულის სულისკვეთებით იზრდებიან სამშობლოს პატრიოტები. ხსენებული სტატია ისეთი მასშტაბური და საინტერესოა, რომ ცალკე წერილის წერის სურვილი აღმიძრა. ახლა კი მხოლოდ ერთს ვიტყვი...

თქვენო უმაღლესობავ, რუსეთის პრეზიდენტო! ევროპარლამენტის მიერ შარშან მიღებულ რეზოლუციას რომ აპროტესტებთ და სამართლიანადაც, რომლის მიხედვითაც მეორე მსოფლიო ომი ვითომ **სტალინმა** და **ჰიტლერმა** დაიწყეს, დასავლეთში რატომ არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ 1941 წლის 10 მაისს, ანუ სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმამდე 1 თვით ადრე, ადლოფ ჰიტლერის მარჯვენა ხელი — **რუდოლფ ჰესი** რა მისიით გაფრინდა ლონდონში **უინსტონ ჩერჩილთან?**

ეს არის ჩემთვის ერთ-ერთი სანტერესო კითხვა, რომელზეც პასუხი ბრიტანეთის საიდუმლო არქივებშია და რომელთა გახსნასაც ითხოვთ, ამაშიც გეთანხმებით. ისიც დიდად საწყენია, რომ ფაშიზმზე გამარჯვების იუბილეზე აშშ-ის პრეზიდენტი ანტიჰიტლერულ კოალიციში გამარჯვების მთავარ ავტორს (როგორმე ამერიკული კონსერვების გარეშეც გავიმარჯვებდით) — სსრკ-ს საერთოდ არ ახსენებს. ამას ისტორიის გაყალბებას უწოდებთ, მაგრამ იმაზე არ დაფიქრებულხართ, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიის გაყალბებას თვითონ უწყობთ ხელს, როდესაც არც ერთ საქებარ სიტყვას არ ძრავთ კაცზე, რომლის სახელითაც საბჭოეთის გმირები ტანკებს უვარდებოდნენ...

თუ არ გახსოვთ, ვინ არის ეს კაცი, შეგახსენებთ: გენერალისიმუსი **იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი — სტალინი!**

**დავით მხეიძე**

**P.S. და მაინც, ბატონო პრეზიდენტო! იმას, რაც ახლა ამერიკაში და, საზოგადოდ, დასავლეთში ხდება ადამის მოდგმის დასასრულის დასაწყისი ჰქვია და კულტურულ კაცობრიობას თქვენი იმედი აქვს — მსოფლიოს 1/6-ზე მაინც შეინარჩუნეთ ისეთი სამყარო, როგორიც ღმერთმა შექმნა; სადაც დედას — დედიკოს, მამას — მამიკოს, ბებიას ბებოს ეძახიან!..**

**5%-ზე ნაკლები ადამიანების აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 95 %-ის და ეს არის დემოკრატია? სწორედ ამის წინააღმდეგ გაიბრძოლა ამერიკაში ტრამპმა და ქვეყანა ცეცხლის ალში გახვიეს. ანალოგიური საფრთხის წინაშე ჩვენც ვდგავართ და, როგორ გგონიათ, საქართველოში მყოფმა შავკანიანმა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს რომ უთხრას: დაიჩოქე, ბოდიში მომიხადე და ფეხსაცმელზე მაკოცეო, რა მოხდება?**

ფაშიზმი ლიბერალიზმის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ჩვენ, ქართველებს, მაინც ლიბერალიზმს გვტენიან ცხვირში

**დაახლოებით ათი წლისწინანდელი საუბარი უნდა გაგახსენოთ. იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმჟამინდელ პრემიერ ნიკა გილაურთან ერთად საბაჟოზე მივიდა და საბაჟოს უფროსს გაესაუბრა.**

**სააკაშვილი:** — საფრანგეთში ხართ ნამყოფი?
**საბაჟოს უფროსი:** — არა.
**სააკაშვილი:** — ინგლისში?
**საბაჟოს უფროსი:** — კი.
**სააკაშვილი:** — რამდენჯერ?
**საბაჟოს უფროსი:** — ორჯერ.
**სააკაშვილი:** — საზღვარზე რამდენჯერ გაუხსნიათ ჩანთა?
**საბაჟოს უფროსი:** — არც ერთხელ.
**სააკაშვილი:** —არც ერთხელ! კარგი, ნიკა, ირლანდიაში სწავლობდი, ხომ? რამდენჯერ შესულხარ ირლანდიაში?
**გილაური:** — ძალიან ბევრჯერ.
**სააკაშვილი:** — რამდენჯერ გაუხსნიათ შენი ჩანთა?
**გილაური:** — თითქმის არც ერთხელ.
**სააკაშვილი:** — მაშინ ჩვენ ზანგები ვართ თუ რა?! რატომ ვიქცევით ველურებივით?!

მიხეილ სააკაშვილს იმხანად პასუხი არავინ აგებინა. არც ევროპელებმა თქვეს რამე და არც ამერიკელებმა, რომლებსაც მაშინ პრეზიდენტად, სააკაშვილის თქმით, „ზანგი“ ჰყავდათ არჩეული. ეს იმიტომ, რომ სააკაშვილი და საქართველო ძალიან სჭირდებოდათ ანტირუსულ პლაცდარმად და არ ჩათვალეს საჭიროდ, რომ მიშა დაესაჯათ. მით უმეტეს, იმხანად მიშა „ზანგს“ ემონებოდა და ეს ყველამ კარგად იცოდა.

ის, რაც დღეს ამერიკაში ხდება, ლიბერალიზმის მიმდევართა რევოლუციის მცდელობაა. პოლიციას შავკანიანი მამაკაცი შემოაკვდა და ტალღაც აგორდა. აი, **სანდრო გირგვლიანი** რომ წამებით მოკლეს პოლიციის მაღალჩინოსნებმა, ეგ არაფერი, თეთრკანიანის მკვლელობა დასაშვებია თურმე, მაგრამ, თუ კანის ფერი განსხვავებული გაქვს, მაშინ შეიძლება მთელი სამყარო აიყოლიო. **ვერ გეტყვით, თავიდანვე იცოდა ამერიკის პრეზიდენტმა ტრამპმა თუ მერე მიხვდა, რომ ლიბერალიზმის ასე მიშვება არ შეიძლებოდა, მაგრამ ფაქტია: ის, პრაქტიკულად, ერთადერთია, ვინც აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ლიბერალებს და ქვეყნის კურსს რადიკალურად ცვლის; ყოველ შემთხვევაში, მის შეცვლას ცდილობს და ამერიკაში მცხოვრები შავკანიანები უკვე იმუქრებიან: მომავალ არჩევნებზე ტრამპს შანსი არ აქვსო. მათ მხარს უჭერენ შტატებში მცხოვრები მექსიკელები, ლგბტ თემის წარმომადგენლებიც და რა გამოდის? — ტრამპს** ერჩის ყველა, ვისაც არ ეზარება და, რაც მთავარია, ერჩიან იმიტომ, რომ ამერიკას პატრიოტული მოტივებით ემსახურება. **პატრიოტიზმია ის, როცა ხმამაღლა ამბობ: მნიშვნელობა არ აქვს კანის ფერს, ყველა თანაბარია და ამიტომ, ყველას უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული და იმის გამო, რომ ვიღაც შავკანიანია, უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს. უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს ლგბტ თემის წარმომადგენელს და, თუ თანასწორობა უნდა, ნუ დაიწყებს მანჭვა-გრეხვას, — მე მეტი პრივილეგია და უფრო მაღალი ხელფასი მინდა, იმიტომ, რომ უკ...ლს ვათამაშებო.** შარშან არ იყო, ბრიუსელის ცენტრში ვიდეოთვალი რომ დააყენეს სპეციალურად იმისთვის, კონკრეტულად რამდენი თეთრკანიანი და რამდენი ფერადკანიანი გაივლიდა მის წინ? სურდათ, ერთგვარი სტატისტიკური მონაცემები მოეპოვებინათ. ერთი საათის განმავლობაში კამერის წინ ჩავლილი ადამიანების 100% ფერადკანიანი იყო. და რომელ ჩაგვრაზეა საუბარი? ის არ არის ჩაგვრა, ამერიკაში თეთრკანიანები შავკანიანებს რომ უჩოქებენ, პატიებას რომ სთხოვენ, ფეხზე რომ კოცნიან... რისთვის? ვისთვის? ადამიანმა უფლისა და მშობლების წინაშე შეიძლება დაიჩოქოს, ამისთვის არავინ დაძრახავს, მაგრამ ვიღაცის წინაშე დაჩოქება და მისი ჭუჭყიანი ფეხსაცმლის ლოკვა რა უმსგავსობაა? თუ ასე გაგრძელდება, ლგბტ თემი მალე მოითხოვს, — უკანალები დაგვიკოცნეთ, ასეა საჭიროო, და გვერწმუნეთ, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამას გააკეთებენ.

საინტერესო კი ის არის, რომ **ამერიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ჩვენ, ქართველებს, მაინც ლიბერალიზმს გვტენიან ცხვირში. გვეუბნებიან, უფრო მეტად შემწყნარებლები უნდა იყოთო და ვის მიმართ, ხალხო? მათ მიმართ, ვინც ამერიკა ლამის ომისგან გაპარტახებულ ქვეყანას დაამსგავსა? თუ მათ მიმართ, ვინც თეთრკანიანებს დაჩოქებასა და ფეხზე კოცნას აიძულებს? ჰო, აიძულებენ, რადგან ამას ბევრი შიშით აკეთებს, იმის შიშით, რომ უკონტროლო სიტუაციის გამო, შესაძლოა, ღამით შინ მიუვარდნენ, ოჯახი ამოუწყვიტონ და სახლი გადაუწვან. და ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვს, ყველაფერი დემოკრატია-ლიბერალიზმის სახელით გაკეთდება.**

ლიბერალიზმია ის, რომ საქართველომ კარი გაუღო ყველას, ვისაც აქ შემოსვლა და გარყვნილი ცხოვრება მოუნდა. **საქართველოში შემოსულია ათეულობით ადამიანი (ძირითადად აზიური ქვეყნების წარმომადგენლები), რომლებიც თავიანთ ქვეყნებში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამო იდევნებიან და ახლა ისინი საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ არა მხოლოდ თავშესაფარს, არამედ პრივილეგიებსაც და მხოლოდ იმიტომ, რომ უკულმართები არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, ვისაც მიგვაჩნია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის კავშირია, რომ ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა და მამა და არა მამები ან დედები?! ჩვენ რომ მოვითხოვოთ პრივილეგია, გამოდის, დისკრიმინაციას ვეწევით, მაგრამ, ისინი რომ ითხოვენ, ჩვეულებრივი ამბავია?!**



ის? **5%-ზე ნაკლები ადამიანების აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 95%-ის და ეს არის დემოკრატია? სწორედ ამის წინააღმდეგ გაიბრძოლა ამერიკაში ტრამპმა და ქვეყანა ცეცხლის ალში გახვიეს. ანალოგიური საფრთხის წინაშე ჩვენც ვდგავართ და როგორ გგონიათ, საქართველოში მყოფმა შავკანიანმა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს რომ უთხრას, — დაიჩოქე, ბოდიში მომიხადე და ფეხსაცმელზე მაკოცეო, რა მოხდება?** რა მოხდება და ასიდან ას შემთხვევაში საკადრის პასუხს მიიღებს და ატყდება ამბავი, საქართველო არალიბერალური ქვეყანაა, შავკანიანებს ავიწროებსო.

ვერ გეტყვით, რით დამთავრდება ამერიკაში მიმდინარე მოვლენები, რადგან ლიბერალთა გარშემო კოლოსალური რაოდენობის ფული ტრიალ-

**თუ ლიბერალიზმმა გაიმარჯვა, ეს ჩვენზე პირდაპირ იქონიებს გავლენას. უკვე რეკომენდაციებს კი აღარ მოგვცემენ, არამედ გვაიძულებენ, მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოში აუცილებლად გვყავდეს ლგბტ თემის რამდენიმე წარმომადგენელი და, რაც მთავარია, პრივილეგირებულ პირობებში. მერე ამას მომავალი თაობა დაინახავს, მიხვდება, რომ წარმატებისთვის ერთი ადგილის თამაშიც კმარა და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ კატასტროფამდე**

პანდემიის ფონზე ეს ყველაფერი ერთ დიდ შეთქმულებას ჰგავს. თითქოს ლიბერალებმა საბოლოოდ და მძლავრად გაილაშქრეს მთელი სამყაროს წინააღმდეგ, გადაწყვიტეს, რომ ან ახლა, ან არასოდეს და შეუტიეს არა მხოლოდ ერთ-ერთი მძლავრი ქვეყნის სტაბილურობას, არამედ პატარა ქვეყნებსაც. **ლამის ყველგან შეიმჩნევა არეულობების სულისჩამდგმელი არასამთავრობოებისთვის თანხების გადაირცხვა. ეს ერთგვარი აჯანყება და იმის მტკიცებაა, რომ მსოფლიოს სწორედ ლიბერალიზმი მართავს. ტერმინიც კი წაართვეს ლიბერალებმა სამყაროს. ლიბერ ლათინურად თავისუფლებას ნიშნავს, მაგრამ დღევანდელი გაგებით ის სხვა მნიშვნელობით იხმარება და თავისუფლების სახელით კონკრეტულმა ადამიანებმა მახინჯი ფორმების დამკვიდრება დაიწყეს.**

ლიბერალიზმი ზღუდავს რელიგიას, აცხადებს, რომ რელიგიური ჩარჩოები ადამიანებისთვის ზედმეტია, რაც ქართულ სინამდვილეში პირდაპირი იერიშია მართლმადიდებელ ეკლესიაზე. სწორედ ლიბერალების მონდომებით განხორციელდა რამდენიმე დარტყმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომელსაც ერთგვარი რევოლუცია უნდა მოჰყოლოდა და პატრიარქი შეცვლილიყო, მაგრამ არ გამოუვიდათ, ვერ აჯობეს ბრძენ პატრიარქს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერალებმა განზრახვაზე ხელი აიღეს. პირიქით, ახალ შეტევას ამზადებენ და საამისოდ ყველა წინაპირობაა. მხოლოდ იმის თქმაც საკმარისია, რომ ლიბერალიზმის მეხოტბე და დამფინანსებელი ჯორჯ სოროსია, კაცი, რომელიც საქართველოში (და არამხოლოდ) ყველაფერ ცუდთან ასოცირდება.

სხვათა შორის, რუსეთის ფედერაციაში ჯერ სიტყვით, შემდეგ კი საკანონმდებლო დონეზე ლიბერალიზმს ლაგამი ამოსდეს. მართალია, მსოფლიო ლიბერალებმა რუსეთის პირველი პირი ამის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, მაგრამ მას მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. შესაბამისად, რუსეთში ლგბტ თემის წარმომადგენელთა შეკრება ოფიციალურად არის აკრძალული და ისჯება, აკრძალულია სექტანტების შეკრება და გაურკვეველი დაჯგუფებების მსვლელობაც. **როგორ გგონიათ, ასეთი რამ საქართველოშიც რომ მოხდეს, ცუდი იქნება? მაგრამ მერე დასავლელი პარტნიორები განრისხდებიან, — როგორ გაბედეთ და მშვიდობიან(?!) ლგბტ თემის წარმომადგენლებს შეკრების უფლება არ მიეცითო?!** რეალურად, ასეთ აკრძალვებს საქართველოს მოსახლეობის 95%-ზე მეტი დაუჭერს მხარს, მაგრამ რად გინდა, დასავლელ პარტნიორებს არ ვაწყენინებთ და ამიტომ ასეთ კანონს ამჟამინდელი ხელისუფლება ნამდვილად არ მიიღებს. რა გამოდის და, **თუ ლიბერალიზმმა გაიმარჯვა, ეს ჩვენზე პირდაპირ იქონიებს გავლენას. უკვე რეკომენდაციებს კი აღარ მოგვცემენ, არამედ გვაიძულებენ, მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოში აუცილებლად გვყავდეს ლგბტ თემის რამდენიმე წარმომადგენელი და, რაც მთავარია, პრივილეგირებულ პირობებში. მერე ამას მომავალი თაობა დაინახავს, მიხვდება, რომ წარმატებისთვის ერთი ადგილის თამაშიც კმარა და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ კატასტროფამდე.**

ჰო, კატასტოფამდე. თუ კატასტროფა მძიმე სიტყვად გეჩვენებათ, ამერიკაში მიმდინარე მოვლენებს მიადევნეთ თვალი და მიხვდებით, რომ იმას, რაც იქ ხდება, სხვა სიტყვა არ შეესაბამება.

**ბესო ბარბაქაძე**

**P. S. ქართველი ლიბერალების ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ რამდენიმე დღის წინათ მოწყობილ საჯარო ლექციაზე განაცხადა: „ყველაფერს აქვს დასაწყისი, შუაგული და დასასრული, ქრისტიანობაც დამთავრდება, თავის დროზე საქართველოც დამთავრდება. უსასრულო არაფერი არ არის“. აი რაზე ოცნებობენ ქართველი ლიბერალები.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გარდა იმისა, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოები ანგარიშს ანგარიშზე წერენ, ატარებენ წვრთნებს და ე.წ. ლიბერალურ მედიასთან ერთად 24-საათიან რეჟიმში მოქმედებენ საზოგადოების ცნობიერებაზე, სერიოზული პროპაგანდისტული ბრძოლა მიდის საგანმანათლებლო სფეროშიც. ისტორიის სახელმძღვანელოებში, მათ შორის თანამედროვე ენციკლოპედიებში, ფაქტებია დამახინჯებული, რათა მომავალ თაობას აკადემიური ლიტერატურის სახით მიაწოდონ სიცრუე და ამ ფორმით მოახდინონ მასზე გავლენა“.



გურამ ნიკოლაიშვილი:

# გერმანიაში ფაშისტების მიერ დახვრეტილი ჰომოსექსუალების ხსოვნის მემორიალი დადგეს, ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ფაშისტებთან ბრძოლაში დაღუპული 300 ათასი ქართველი გმირი არ არისო

**რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გავლენიან ამერიკულ გამოცემა The National Interest-ში გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც კრემლის მესვეურმა მეორე მსოფლიო ომის წინმსწრები მოვლენები სიღრმისეულად მიმოიხილა და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით დასავლეთის მიერ გერმანიის ფაშისტური ხელისუფლების წაქეზებასა და მისთვის გაწეულ ფინანსურ დახმარებებზე გაამახვილა ყურადღება, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, მათ შორის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეც, მწვავე რეაქცია მოჰყვა. შეშფოთებული დასავლელი მაღალჩინოსნების ერთმა ნაწილმა წერილს კრემლის მხრიდან ისტორიული სინამდვილის დამახინჯების მცდელობა უწოდა და ოფიციალურ მოსკოვს კიდევ ერთხელ ანტიდასავლური განწყობების მიზანმიმართულად გაღვივებაში დასდო ბრალი; მეტიც, ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში უკმაყოფილება უმაღლეს სახელისუფლო დონეზეც გამოითქვა. ეს, განცხადებებთან ერთად, იმაშიც გამოიხატა, რომ სამივე ქვეყანაში საგარეო საქმეთა სამინისტროებმა რუსეთის ელჩები გამოიძახეს (პარალელურად ქუჩაში აქციაც გაიმართა). როგორც აღნიშნული სამინისტროების მიერ მოგვიანებით გავრცელებულ ცნობაში იყო განმარტებული, მათი შეშფოთება განსაკუთრებით ერთმა ფაქტმა გამოიწვია. კერძოდ, საუბარი იყო წერილის იმ მონაკვეთზე, რომელიც მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს შეეხებოდა და რომელიც, მათივე შეფასებით, ისტორიული სინამდვილის რევიზიონიზმის გამოვლენაა.**

ცნობისთვის: წერილში, რომელიც The National Interest-ში 18 ივნისს გამოქვეყნდა, ვლადიმერ პუტინი კონკრეტულ ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ფაშისტური გერმანია ომამდე გარკვეული გარე ძალებისგან კოლოსალურ დახმარებას იღებდა. მისი შეფასებით, ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ნაცისტებმა უმოკლეს დროში უმძლავრესი სამხედრო ინდუსტრია შექმნეს, თუმცა საპირისპირო მოსაზრებებია თანამედროვე „დემოკრატიულ დასავლეთში“. მათ მიაჩნიათ, რომ ჰიტლერის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირმა შეუწყო ხელი (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის სახელწოდებით ცნობილი „დანაშაულებრივი შეთანხმებით“, თუმცა ასეთი შეთანხმება, სხვებისგან მალულად, ევროპის ყველა მაშინდელ სახელმწიფოს სსრკ-ზე ადრე ჰქონდა გაფორმებული ჰიტლერთან).

**რა მიზანს ემსახურება პროპაგანდა, რომ თავის დროზე ევროპაში ფაშიზმის გაძლიერებას საბჭოთა კავშირმა შეუწყო ხელი და რას გულისხმობდა მოლოტოვ-რიბენტროპის მიერ ხელმოწერილი ისტორიული დოკუმენტი — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, დასავლური პროპაგანდა აქტიურად ცდილობს, საზოგადოებაში დაამკვიდროს აზრი, რომ ევროპაში ფაშიზმის გაძლიერებას საბჭოთა კავშირმა შეუწყო ხელი. საქართველოში არსებული ე.წ. ლიბერალური ძალებიც ხშირად იმეორებენ ამას. რა მიზანს ემსახურება დისკურსი, რომ, თურმე, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი იყო დანაშაულებრივი შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის, რომელმაც ჰიტლერის პოზიციები გააძლიერა?**

— ისტორიული დოკუმენტების ხელშეუხებლობა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა ისტორიის ფალსიფიკაციის რაღაც ტენდენციები ჩნდება, მის უკან დგას გარკვეული პოლიტიკური, ხშირად ვიწრო პარტიული ამოცანა, რომელიც კონკრეტული ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება. საქართველოც, სამწუხაროდ, ამის მაგალითია. რაც შეეხება მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, რომელიც ხშირად არის გარკვეული პოლიტიკური და პროპაგანდისტული მანიპულაციების საგანი, ამ თემაზე საუბრისას უმთავრესი არის ის, რომ გლობალურ პოლიტიკაში ცუდი და კარგი, კეთილი და ბოროტი არ არსებობს. **პოლიტიკაში არის სტრატეგიული ინტერესები, რომელიც შეიძლება კონიუქტურასთან ერთად შეიცვალოს და რაღაც მომენტში მტრები გახდნენ მოკავშირეები. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებაში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებული ადამიანებისთვის სიახლე ნამდვილად არ არის.** მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ნაკარნახევი იყო იმჟამინდელი საერთაშორისო გეოპოლიტიკური დღის წესრიგით და არა იმით, რომ, ვთქვათ, საბჭოთა კავშირი იყო ბოროტი და მას ცუდი უნდოდა აღმოსავლეთ ევროპისთვის.

ახლა რა ხდება კონკრეტულად ბალტიისპირეთის შემთხვევაში. სამი სახელმწიფო— ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, უკვე წლებია, განსაკუთრებით აქტიურობს იმ თვალსაზრისით, რომ მოხდეს საბჭოთა კავშირის წვლილის დაკნინება ფაშიზმის დამარცხებაში. ეს კეთდება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე და კეთდება ისეთი ამაზრზენი ფორმებით, რომ, პრაქტიკულად, თავდაყირა აყენებენ, სულ რაღაც, 70-80 წლისწინანდელ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც დოკუმენტურადაა დადასტურებული. წარმოიდგინეთ, მიდის პროპაგანდა, რომ **თურმე ფაშიზმი ევროპელებს და ამერიკელებს დაუმარცხებიათ და საბჭოთა კავშირს, რომელსაც 10 მილიონამდე მარტო ჯარისკაცი დაეღუპა, საერთო მსხვერპლსა და კოლოსალურ ფინანსურ ზარალზე არაფერს ვამბობ, ბევრი არაფერი გაუკეთებია. პირიქით, თურმე, საბჭოთა კავშირი იგივე ფაშისტური გერმანია იყო და იდეოლოგიური თვალსაზრისით დიდი განსხვავება ნაცისტებსა და კომუნისტებს შორის არ ყოფილა. ისე, საინტერესოა, თუ ასე ძალიან ზარავდათ ბალტიისპირელებს საბჭოთა კავშირში შესვლა და ეს იგივე ნაციზმის ბატონობის ქვეშ ყოფნას ნიშნავდა, რატომ არ იბრძოლეს და არ გაწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა, როცა გაასაბჭოეს?**

— რას ემსახურება ისტორიული სინამდვილის გაყალბება?

— **თუნდაც ის ფაქტი, რომ 2009 წელს ევროპარლამენტმა 23 აგვისტო — მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების დღე, ნაციზმისა და სტალინიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოაცხადა, ყველაფერს ააშკარავებს. ეს არის ლიბერალური დასავლეთის პოლიტიკური დღის წესრიგიდან წამოსული ერთ-ერთი იდეოლოგიური პოსტულატი, რომლის მიზანიც რუსეთის დისკრედიტაციაა.**

რაც შეეხება იმას, რომ ამ დღეებში ბალტიისპირეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა რუსეთის ელჩები გამოიძახეს, **ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც დასავლეთს აშფოთებს და ამის ფონზე ცდილობს, რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყოს მოკავშირე ქვეყნები, არის ის, რომ ბალტიისპირეთში დღითიდღე იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება ევროკავშირისადმი.** ეს განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საზღვრები ჩაკეტა და ბალტიისპირეთში ეკონომიკურმა სირთულეებმა იჩინა თავი.

**— თქვით, რომ ცალკეულ ქვეყნებში დასავლეთია ამ პროცესისთვის ბიძგის მიმცემი. საქართველოში რა დგას მსგავსი მცდელობების უკან, აქაც დასავლეთი აფინანსებს ამ ყველაფერს?**

— რასაკვირველია! **ის შეშფოთება და განგაში, რომ თურმე ქვეყანაში რუსული პროპაგანდა ძლიერდება, ამაზეა გათვლილი. პანიკას ტეხენ იმისთვის, რომ მერე გამოყონ გრანტები. ახლახან 127 მილიონი დოლარი გამოიყო.** ახლა რა სტრატეგიით მოქმედებენ ისინი და როგორ ახერხებენ ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაციას: **გარდა იმისა, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოები ანგარიშს ანგარიშზე წერენ, ატარებენ წვრთნებს და ე.წ. ლიბერალურ მედიასთან ერთად 24-საათიან რეჟიმში მოქმედებენ საზოგადოების ცნობიერებაზე, სერიოზული პროპაგანდისტული ბრძოლა მიდის საგანმანათლებლო სფეროშიც. ისტორიის სახელმძღვანელოებში, მათ შორის თანამედროვე ენციკლოპედიებში, ფაქტებია დამახინჯებული, რათა მომავალ თაობას აკადემიური ლიტერატურის სახით მიაწოდონ სიცრუე და ამ ფორმით მოახდინონ მასზე გავლენა.** სხვათა შორის, ეს არის იმ ტიპის ზეგავლენა ადამიანზე, როცა ის შეიძლება ვერც კი ხვდება ამ ყველაფერს. ჰგონია, მიიღო განათლება და სინამდვილეში პროპაგანდის ბრმა მსხვერპლად იქცა...

**— რა საშუალებები უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ საზოგადოება დაუპირისპირდეს ამ პროცესს?**

— რთული სათქმელია. ეს შორს მიმავალი პროცესია, მაგრამ თეორიულად, ალბათ, გამოსავალი არის ის, რომ საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ჯანსაღი ინტელიგენცია, მეცნიერები და პოლიტიკოსებიც ფაქტებით უნდა დაუპირისპირდნენ ამ ყველაფერს. ფაქტია, მაგალითად ის, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოს ჰყავდა 150-ზე მეტი გმირი და მათგან 66 იყო თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული. ფაქტია, მაგალითად ის, რომ საქართველომ 300 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგა ამ ომში... სხვათა შორის, იმ გმირების საფლავების უმრავლესობა საშინელ მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ კაციშვილი არ არის ყურადღების მიმქცევი... სამაგიეროდ **ჯონ მაკეინია** გმირად გამოცხადებული, მაკეინი, რომელმაც **სააკაშვილი** წააქეზა, წამოაგო პროვოკაციზე, საომარი მოქმედებები დააწყებინა 2008-ში და მერე რაც დაგვემართა, ყველამ ვიცით... თუ ბალტიისპირელებს ისტორიული სამართლიაონობა აინტერესებთ, უნდა ახსოვდეთ, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა საბჭოთა ჯარისკაცები ფაშისტებს ებრძოდნენ, ლატვიასა და ესტონეთს ეს-ეს-ის დივიზიები ჰქონდათ შექმნილი და გერმანელებს ეხმარებოდნენ. ეს ერთი. და მეორე — საბჭოთა კავშირში ეს ქვეყნები ცეცხლითა და მახვილით არ შეუყვანიათ და სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მეტი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ.

**— რა პრივილეგიებით?**

— მაგალითად. იმით, რომ დოტაციები ჰქონდათ: აუშენეს უამრავი ქარხანა, სამრეწველო ობიექტი, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტში მშპ-ს მხოლოდ 20% შეჰქონდათ, მაშინ, როცა რუსეთი 60 %-ს, ხოლო დანარჩენი რესპუბლიკები 40-40%-ს იხდიდნენ. სხვათა შორის, ისინი გამოსვლითაც ყველაზე მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირიდან.

**— ისევ ისტორიის გაყალბებისკენ მიმართულ პროპაგანდაზე გკითხავთ. „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც წლების წინათ დაიწყო საინფორმაციო ბრძოლა ამ პროცესის წინააღმდეგ. ქვეყნდებოდა დოკუმენტები, ინტერვიუები, რეგულარულად იბეჭდებოდა პოლიტილოგ ალექსანდრე ჭაჭიას წერილებიც, რომლებშიც ამ ყველაფერს ამხელდა... შედეგად მივიღეთ ის, რომ 2009 წელს ორჯერ დაგვირბიეს რედაქცია, თუმცა სრულყოფილად გამოძიებაც არ ჩატარებულა. დღევანდელ ვითარებაში, როცა ლიბერალურ დღის წესრიგს ისევ სრული მონოპოლია აქვს ქვეყანაში, არის თუ არა საფრთხის შემცველი ისტორიული სინამდვილის დასაცავად ბრძოლა?**

— უმთავრესი არის ის, რომ იმედის მომცემია, როცა ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, რისკის ფასად დაუპირისპირდნენ ნებისმიერ ყალბ და ქვეყნისთვის მავნე პროპაგანდას. მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტოლოგია ის, მეცნიერი თუ ხელოვანი, ასეთი ადამიანები დასაფასებელია. რაც შეეხება საფრთხეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდ საფრთხეს შეიცავს გაბატონებული პოლიტიკური კლასისა თუ იდეოლოგიის წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ, მეორე მხრივ, არის რეალობა, რომელიც არჩევანს არ გიტოვებს... წარმოიდგინეთ, გერმანიაში ფაშისტების მიერ დახვრეტილი ჰომოსექსუალებისა და ბოშების ხსოვნის მემორიალი დადგეს და ჩვენ გვეუბნებიან, რომ 300 ათასი ქართველი, რომელიც ფაშისტებთან ბრძოლაში დაიღუპა, გმირი არ არის... ეს ხომ ისტორიის თავდაყირა დაყენების მცდელობაა, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ საკუთარი წარსული შეგაძულონ... ამის წინააღმდეგ ბრძოლა მარტივი არ არის, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, არჩევანი არ არსებობს.

**«ის, რომ 2009 წელს ევროპარლამენტმა 23 აგვისტო — მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების დღე, ნაციზმისა და სტალინიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოაცხადა, ყველაფერს ააშკარავებს. ეს არის ლიბერალური დასავლეთის პოლიტიკური დღის წესრიგიდან წამოსული ერთ-ერთი იდეოლოგიური პოსტულატი, რომლის მიზანიც რუსეთის დისკრედიტაციაა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**დასავლური დაფინანსება და ამ დაფინანსებით განპირობებული დაკვეთები ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფო პროექტების განხორციელებისას, დასავლეთს ჩვენი ბიუროკრატიული სისტემის არსებითი ნაწილი ჰყავს კმაყოფაზე აყვანილი და, შესაბამისად, უხილავი ბორკილებით ზღუდავს ამ სისტემის ფუნქციონირებას რეალური სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ დასავლეთის ასეთი დაკვეთის შედეგია ის, რომ საქართველოში დღემდე არავინ ზრუნავს ეროვნული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მოქნილი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნაზე, ბანკების გავლენის შეზღუდვასა და სხვაზე, რადგან ეს ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხს აამაღლებს, დამოუკიდებელი ქვეყანა კი ნაკლებად იქნება დასავლეთის მონა-მორჩილი.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მშვიდობიანი კავკასია რუსეთის ინტერესებშია

**„რუსეთი ოკუპანტია!“ — გაჰკივიან ნაცები და ქოცები, ისე, რომ ვერ ხვდებიან ან არ უნდათ გაგება, რომ ეს ლოზუნგიც კი არ არის, ეს პრიმიტიული შეძახილია, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს პოლიტიკური აზროვნების ჩახშობა და იმ აზრის გამორიცხვა, რომ რუსეთთან ორივე მხარისთვის სასარგებლო დიალოგი სხვადასხვა საკითხზე შესაძლებელი და აუცილებელიცაა.**



საქართველოში არ ხდება გლობალური და რეგიონული პოლიტიკური პროცესების ანალიზი, სხვადასხვა სახის მონაცემების გადამოწმება და პროგნოზების მომზადება. არ არსებობს ასეთი ანალიტიკურ-კვლევითი ცენტრები არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორში. თუკი მსგავსი რამ ფუნქციონირებს სახელმწიფო ან არასახელმწიფო სტრუქტურებში, ყველა ფინანსდება და, შესაბამისად, კონტროლდება დასავლეთის სახელმწიფოების, პირველ რიგში, შეერთებული შტატების მიერ.

სწორედ ამ ტოტალური უცხოური გავლენა-კონტროლის შესუსტებასა და საკუთარი სუვერენული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე უნდა ზრუნავდეს თავმოყვარე, საკუთარი ხალხის მომავალზე ორიენტირებული სახელმწიფო, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა — სრული თავისუფლება აქვთ უცხოეთიდან დაფინანსებულ, არა საქართველოს ინტერესებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, ასევე მასმედიას. მეტიც, **დასავლური დაფინანსება და ამ დაფინანსებით განპირობებული დაკვეთები ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფო პროექტების განხორციელებისას, დასავლეთს ჩვენი ბიუროკრატიული სისტემის არსებითი ნაწილი ჰყავს კმაყოფაზე აყვანილი და, შესაბამისად, უხილავი ბორკილებით ზღუდავს ამ სისტემის ფუნქციონირებას რეალური სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ დასავლეთის ასეთი დაკვეთის შედეგია ის, რომ საქართველოში დღემდე არავინ ზრუნავს ეროვნული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მოქნილი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნაზე, ბანკების გავლენის შეზღუდვასა და სხვაზე, რადგან ეს ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხს აამაღლებს, დამოუკიდებელი ქვეყანა კი ნაკლებად იქნება დასავლეთის მონა-მორჩილი.** საქართველოს გაუჩნდება სურვილი, აწარმოოს გონივრული, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად — როგორც ეკონომიკურის, ისე ტერიტორიულის. **ხომ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და რეინტეგრაციის გზა რუსეთზე გადის, რუსეთის გარეშე შეუძლებელია, როგორც ეკონომიკური აღმავლობა, ისე კონფლიქტების დარეგულირება. აი სწორედ ასეთი მსჯელობისას აქტიურდება შეძახილი „რუსეთი ოკუპანტია!“ და პოლიტიკური დასავლეთის მიერ მართული არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, სხვადასხვა ჯურის პარტიები ხმაურობენ იქამდე, სანამ ლანძღვას ვეღარ დაუპირისპირებ და მთელი ნააზრევი კონსტრუქციულიდან დესტრუქციულში არ გადავა.**

არადა, რუსეთს კავკასიაში სამშვიდობო მიზნები გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე დესტრუქციისა და დაძაბულობისკენ მიმართული. რუსეთი უფრთხილდება თავის ურთიერთობებს სომხეთთან — კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრთან; სომხეთის ტერიტორიაზე რუსეთს მძლავრი სამხედრო ბაზა აქვს განლაგებული და სომხეთის ჯარს საზღვრების დაცვაშიც აქტიურად ეხმარება, მაგრამ, ამასთანავე, რუსეთი კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს სომხეთთან დაპირისპირებულ აზერბაიჯანთან, ამ ქვეყნის ლიდერ **ილჰამ ალიევთან.** რუსეთი გარკვეულ ეკონომიკურ პრეფერენციებს ანიჭებს აზერბაიჯანს, ფართოდ უხსნის კარს ამ ქვეყნიდან რუსეთში ჩასულ მუშახელს, რაც ძალზე სერიოზული დახმარებაა აზერბაიჯანის ეკონომიკისთვის. რუსეთი არ იშურებს ძალ-ღონეს მინსკის ეუთოს ჯგუფის ფარგლებშიც, როგორც თანათავმჯდომარე ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში, რათა მოხდეს ბაქოსა და ერევანს შორის პოზიციების დაახლოება.

ამერიკელების მცდელობები ყოველთვის მიმართულია იქით, რომ მოხდეს ასეთი ფორმატების დისკრედიტაცია და გადასვლა ისეთ ფორმატზე, რომელიც ვითარებას უფრო დაძაბავს. ყარაბაღი იქით იყოს და, აბა, კარგად დავფიქრდეთ: ვინ და რატომ უგულებელყოფს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ნათქვამს (თანაც არაერთხელ), რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეცადოს, დიალოგი აწარმოოს აფხაზებსა და ოსებთან?

**ამერიკელების მცდელობები ყოველთვის მიმართულია იქით, რომ მოხდეს ასეთი ფორმატების დისკრედიტაცია და გადასვლა ისეთ ფორმატზე, რომელიც ვითარებას უფრო დაძაბავს. ყარაბაღი იქით იყოს და, აბა, კარგად დავფიქრდეთ: ვინ და რატომ უგულებელყოფს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ნათქვამს (თანაც არაერთხელ), რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეცადოს, დიალოგი აწარმოოს აფხაზებსა და ოსებთან? რუსეთის პრეზიდენტმა ხომ ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნა იმაზე, რომ რუსეთი არ არის საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგი, თუკი ამაზე დავიყოლიებთ აფხაზებსა და ოსებს, ბუნებრივია, მშვიდობიანი გზით და ნებაყოფლობით?! პასუხი ერთია — ამ საკითხის წინსვლას აბრკოლებს არა რუსეთი, არამედ დასავლეთი თავისი სატელიტების მეშვეობით**

რუსეთის პრეზიდენტმა ხომ ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნა იმაზე, რომ რუსეთი არ არის საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგი, თუკი ამაზე დავიყოლიებთ აფხაზებსა და ოსებს, ბუნებრივია, მშვიდობიანი გზით და ნებაყოფლობით?! პასუხი ერთია — ამ საკითხის წინსვლას აბრკოლებს არა რუსეთი, არამედ დასავლეთი თავისი სატელიტების მეშვეობით.

ამიტომ **აუცილებელია, დაისვას საკითხი არა მხოლოდ არასამთავრობო სექტორის უცხოური დაფინანსების გაკონტროლების და, ხშირ შემთხვევაში, დაუშვებლობის, არამედ საკუთრივ სახელმწიფო აპარატის გაწმენდის შესახებ.** მაგალითად, ბოლო პერიოდამდე „შერიგების მინისტრად“ მუშაობდა **ქეთევან ციხელაშვილი,** რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არანაირი შერიგება არ მომხდარიყო. რუსეთის გამუდმებით ლანძღვა, „ოკუპანტია“-ს ძახილი და პარალელურად თვალთმაქცი ღიმილი აფხაზების და ოსების მიმართ — აი ის მაქსიმუმი, რაც მინისტრმა შეძლო, შეძლო საქმის გაფუჭება. თავიდანვე **ხომ ცხადია, რომ აფხაზები და ოსები ანტირუსული პოლიტიკის გამტარებელ საქართველოს არ დაელაპარაკებიან?!.. ახლა, როცა ქალბატონმა ციხელაშვილმა თავისი დესტრუქციული ფუნქცია შეასრულა, ელჩად გადაიყვანეს ავსტრიაში. ეს ქალი, რომლის ფუნქციებში ვენაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (პირველ რიგში, ეუთოსთან) ურთიერთობებიც შედის, აწი ავსტრიაში ეცდება ქართული საქმის გაფუჭებას...**

რუსეთი ემხრობა მშვიდობიანი კავკასიის იდეასა და დიალოგს ყველა კონფლიქტურ მხარეს შორის, სამაგიეროდ, დასავლეთს ხელს არ აძლევს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგი, რადგან ასეთი დიალოგი მხოლოდ რუსეთის კეთილი ნებითა და მხარდაჭერით არის შესაძლებელი, ამიტომაც დასავლეთმა შემოაგდო თავისი პროექტი — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ვითომ საგანმანათლებლო საკითხებში აფხაზებისა და ოსების დახმარებას ითვალისწინებს. მაგრამ ეს პროექტიც წლების განმავლობაში ისევე არაეფექტიანი რჩება, როგორც აქამდე განხორციელებული სხვა პროექტები, ვინაიდან მათი მიზანი არ არის ხალხების დაახლოება და ნდობის ჩამოყალიბება. დასავლეთს აფხაზები და ოსები რუსეთის წინააღმდეგ ასამოქმედებლად სჭირდება, მაგრამ ეს მცდელობებიც განწირულია.

რუსეთის ხელისუფლება მიესალმება საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, რაც, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა საღად მოაზროვნე ქართველი პოლიტოლოგების მიერ, არ მოასწავებს თბილისის მხრიდან სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის ცნობას. ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება და დიპლომატიური ურთიერთობებია ამის საწინდარი. სამწუხაროდ, საქართველოს არასუვერენულ ხელისუფლებას ამის გაგება არ სურს, ამიტომაც არის იგი მეორეხარისხოვანი, ამერიკელი კონგრესმენების საბურთაოდ გადაქცეული!

ასევე ყრუა ჩვენი ხელისუფლება იმ ინიციატივების მიმართ, რომლებსაც რუსეთთან ერთად ანტიტერორისტული თანამშრომლობა ჰქვია. ჭირმა თავი არ დამალა და **ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ენაზე აღზრდილი ახალგაზრდები ისლამისტ ტერორისტებად ყალიბდებიან, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. რუსეთი იდეალური ბუნებრივი მოკავშირეა ტერორისტების ასალაგმავად, მაგრამ ისევ დასავლეთი არ აძლევს ჩვენს ხელისუფლებას უფლებას, რომ ასეთი თანამშრომლობა შედგეს. პირიქით, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიას დასავლური სპეცსამსახურები იყენებდნენ რუსეთის მოწინააღმდეგე ტერორისტების ტრანზიტისთვის, რაც საფრთხეს უქმნიდა არა იმდენად რუსეთს, რამდენადაც საქართველოს.** დღევანდელ ვითარებაში ასეთი მცდელობები გამოიწვევს რუსეთის მხრიდან ძალზე კონკრეტულ და ხისტ პასუხს, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით, ამიტომ დასავლეთს არ უნდა მივცეთ რაიმე პროვოკაციის მოწყობის საბაბი.

**ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ ენაზე აღზრდილი ახალგაზრდები ისლამისტ ტერორისტებად ყალიბდებიან, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. რუსეთი იდეალური ბუნებრივი მოკავშირეა ტერორისტების ასალაგმავად, მაგრამ ისევ დასავლეთი არ აძლევს ჩვენს ხელისუფლებას უფლებას, რომ ასეთი თანამშრომლობა შედგეს. პირიქით, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიას დასავლური სპეცსამსახურები იყენებდნენ რუსეთის მოწინააღმდეგე ტერორისტების ტრანზიტისათვის, რაც საფრთხეს უქმნიდა არა იმდენად რუსეთს, რამდენადაც საქართველოს. დღევანდელ ვითარებაში ასეთი მცდელობები გამოიწვევს რუსეთის მხრიდან ძალზე კონკრეტულ და ხისტ პასუხს, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით, ამიტომ დასავლეთს არ უნდა მივცეთ რაიმე პროვოკაციის მოწყობის საბაბი**

**გოჩა რეხვიაშვილი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სტალინის ნეშტი, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, მავზოლეუმიდან გამოასვენეს და კუბოში ჩაასვენეს, ნიკიტასვე ბრძანებით, გენერალისიმუსის მუნდირს ექვსი დიდი და თორმეტი პატარა ოქროს ღილი ააჭრეს და თუნუქის ღილები დააკერეს; ოქროს სამხრეები და გმირის ოქროს ვარსკვლავიც ბუტაფორიით შეუცვალეს კაცს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ნახევარ მსოფლიოს მართავდა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №20-22, 2020 წ.

# სტალინი და სახელმწიფო

**არცთუ დიდი ხნის წინათ რუსეთში გამოსცეს „გაზპრომის“ „ინიციატივით“ შედგენილი დიდი ფორმატის წიგნი: „სტალინი. მთავარი დოკუმენტები 1878-1953 წწ.“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეს წიგნი პირველი მცდელობაა, საზოგადოება გაეცნოს მეტ-ნაკლებად მთავარ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავს სტალინის სახელმწიფოებრივ აზროვნებას, მისი მუშაობის სტილს და ზოგად წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს სტალინის ფენომენზე. მიმდინარე წლის დასაწყისში მოსკოვში დაიწყო სერიოზული მუშაობა სწავლება „Сталинские Чтения“-ს სწორად წარსამართავად. ეს ორი ფაქტი და მსოფლიოს დიდ და პატარა სახელმწიფოებში სტალინის ფენომენის შესწავლის აქტიური ფაზა მიგვანიშნებს, რომ მართლდება არა მხოლოდ სტალინის სიტყვები მის საფლავზე ნაგვის მიტანისა და ისტორიის ქარისაგან მისი გადახვეტის თაობაზე, არამედ საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის გამონათქვამი: „სტალინი წარსულში კი არ გადაბარგდა, მომავალში გაიბნა“.**



მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური ვითარება საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ სტალინი ბრუნდება. რა იყო მისი წასვლის მიზეზი? — იკითხავენ ადამიანები. ამ შეკითხვაზე მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანები სხვადასხვანაირად პასუხობენ და უპასუხებენ მომავალში. წარსულში, აწმყოშიც და მომავალშიც მართალი იქნება გენიალური „ფაუსტის“ გენიოსი ავტორი, როცა წერს:

**„მოქმედების შემსრულებელს სინდისი არ აქვს, სინდისი აქვს მხოლოდ დამკვირვებელს“.**

სტალინი გამონაკლისი არ არის მსოფლიოს გამოჩენილ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს შორის. ასე წავიდა (თუმცა დროებით) ისტორიიდან **ნაპოლეონი, კეისარი, ფრიდრიხ დიდი** და სხვ. თუ სტალინის გამორჩეულობაზე ვისაუბრებთ, მას, რა თქმა უნდა, აქვს გარკვეული უპირატესობა ზემოჩამოთვლილებთან შედარებით. სტალინმა იცოდა, რომ მისი აშენებული იმპერია დაინგრეოდა. ეს იცოდა **შარლ დე გოლმა, ჰარიმანმა, ენტონი იდენმა,** აგრეთვე, სტალინის ზოგიერთმა საზღვარგარეთელმა თანამედროვემ:

*** „მე ვერ ვფიქრობ სტალინის შემდგომ რუსეთზე“, — შარლ დე გოლი.**

*** „ჩვენ გვჯერა სტალინის და ვენდობით მას, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება სტალინის შემდეგ“, — ავერელ ჰარიმანი.**

*** „სტალინს მხრებზე აწევს სიმძიმე, რომლის მსგავსიც ხუთასი წლის განმავლობაში არავის დააწვება“, — ენტონი იდენი.**

სტალინმა ხელისუფლების სათავეში ყოფნის 30 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ახსენა ნიკოლოზ მეფე და ისიც მოკლე ფრაზით: „სუსტი მეფე იყო, რუსეთისთვის შეუფერებელი“. როცა საქმე ეხებოდა რუსეთის იმპერიას და რუს ხალხს, ასეთ შემთხვევაში, თვით მარქსიზმის კლასიკოსი, თავისი მასწავლებელი **ფრიდრიხ ენგელსიც** არ დაინდო და მასზე გამანადგურებელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდაში“.

* 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებში სტალინმა სამხედრო პატივით შემოატანინა თავის სამუშაო კაბინეტში **ალექსანდრე სუვოროვისა** და **მიხეილ კუტუზოვის** მხატვრული ტილოები და საპატიო ადგილზე დაკიდა. 1943 წელს ქება-დიდებით მოიხსენია რუსული არმია და მისი ტრადიციული სამხედრო წოდებები აღადგინა. სტალინმა, როდესაც ფრონტზე რუსი ჯარისკაცის ულუფას გაეცნო, განაცხადა: „ნამდვილმა გრაფმა კუტუზოვმა, რომელიც ახლოს იცნობდა თავისი ჯარისკაცების საბრძოლო მდგომარეობას, იცოდა, რით და როგორ უნდა გამოეკვება ისინი, დღევანდელმა მოგონილმა გრაფმა არ იცის, როგორ უნდა კვებოს მებრძოლები და ყინვისგან გაქვავებული პროდუქტებით ამარაგებს ჯარს“.

* ყველაზე დიდ საბრძოლო ოპერაციას სტალინმა დიდი რუსი მხედართმთავრის, ბაგრატიონის, სახელი უწოდა, ხოლო მარშალ **კონსტანტინე როკოსოვსკის** ასე მიმართავდა — „ჩემი ბაგრატიონი“. საკავშირო რადიოს უკანასკნელი ცნობების გადაცემა შეაწყვეტინა, როდესაც ერთ-ერთი ბრძოლის გამარჯვების აღსანიშნავ სალუტის მიცემის ბრძანებაში დიქტორმა ფრონტის სარდლის გვარი არ დაასახელა.

* ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინმა თავი ლენინის მოწაფედ გამოაცხადა და მაღლა ასწია მისი დროშა და დაუხრელად ატარა სიცოცხლის ბოლომდე.

**რისი გამოხატვა სურდა ყოველივე ამით სტალინს?**

* უნდოდა ვერაგობის, ურთიერთღალატის, შურისა და მტრობის ფესვები ამოეძირკვა და ნამდვილი სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობა დაემყარებინა. შეძლო კი ამის გაკეთება და დანერგვა თავის ქვეყანაში ყოვლისშემძლე სტალინმა? — ვერ შეძლო.

**სტალინმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ შიში და კრძალვა საკმარისი არ იყო ქვეყნის აღმშენებლობისა და სახელმწიფოებრიობის დანერგვისთვის. საჭირო იყო რწმენა საბჭოთა წყობილების, პარტიისა და მისი იდეოლოგიის მიმართ.** სტალინის აზრით, პიროვნების კულტი რაც უნდა სასარგებლო ყოფილიყო, ვერ იქნებოდა საკმარისი და მყარი საფუძველი მრწამსის, შეგნების, კულტურის და მოვალეობის განსამტკიცებლად. 1946 წლის ოქტომბერში იდეოლოგიურ თათბირზე განრისხებული ტონით მიმართა „აგიტპრომის“ თანამშრომლებს: **„კერპთაყვანისმცემლებს ზრდით, იმის ნაცვლად, რომ ხალხს ცნობიერება გაუღვიძოთ!“**

სტალინი სსრ კავშირში დემოკრატიის სიმცირეს ხალხში კულტურის ნაკლებობას მიაწერდა: **„სანამ ქვეყანაში კულტურა არ განვითარდება, სოციალური საკითხები არ გადაწყდება, სანამ ქვეყნის საზღვრებზე ბომბები სკდება და ხალხი მილიტარიზებულია, დემოკრატიაზე საუბარი სასაცილოა“.** ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა მემკვიდრეობის ჩამოყალიბებაზე ახალშექმნილ საბჭოეთში. ერთხელ გაზეთ „პრავდის“ რედაქტორს განუცხადა:

„თუ არ გარდავქმნით ჩვენს იდეოლოგიას და მას სწორად არ წარვმართავთ, ჩვენი ქვეყნის სიკვდილი გარდაუვალია“.

**ვთქვათ და, სტალინი მართლაც „ცივილიზაციისთვის უვარგისი“ (ფრანგი მოგზაური მარკიზ დე კიუსტინი) ხალხში ცდილობდა რწმენის ჩანერგვას და არ გამოუვიდა, მაგრამ იქ, სადაც კულტურა „თავზესაყრელი“ იყო, მაგალითად, საფრანგეთში, რატომ ვერ შექმნა მემკვიდრეობა ნაპოლეონმა? ნაპოლეონს არ სწამდა კოლექტივიზმის და მისი საქმიანობა დამოკიდებული იყო ბრძანებებსა და დეკრეტებზე.** არსებობს ბრძანების ორი სახე: ცივი, რომელიც დავალების შესრულებაზეა მიმართული, და რომლის ხელოვნებას ფლობდა ნაპოლეონი. ის თითქმის ყველაფერს თავისივე ხელით აკეთებდა.

**რა დაკარგა კაცობრიობამ სტალინის დაკარგვით? დაკარგა ის, რასაც დღეს მსოფლიო ხალხები ასე გაფაციცებით დაეძებენ — თავისუფლება! თავის დახსნა იმ ერთი მუჭა მილიარდერებისაგან, რომელთა ხელშიცაა დედამიწის საერთო შემოსავლების 97% და, გარდა ამისა, ყოვლის შემძლე ვირუსი, რომელსაც ნებისმიერ დროს ფარულად გამოიყენებენ ატომური ქობინებით აღჭურვილ საკონტინენტთაშორისო რაკეტებისგან განსხვავებით**



ნაპოლეონის ბრძანება არ იძლეოდა სხვა საშუალებას, გარდა დავალების შესრულებისა, და მან არსებობა შეწყვიტა სწორედ მაშინ, როდესაც ბრძანების ადამიანური რესურსი ამოწურა. და ისტორიიდანაც წავიდა. სტალინის ფრაზა — „ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი ლომს“ — შეიძლება ისე არ მიესადაგებოდეს **ჰიტლერსა** და **ნაპოლეონს,** როგორც ნაპოლეონსა და სტალინს.

სტალინის ბრძანება არ არის ცივი და ცალმხრივი. სტალინის ბრძანება, როგორი მკაცრიც უნდა იყოს ის, უწინარესად, პროზაული ლირიკაა, რომელიც თანაბრად ეხება, როგორც მიზნის შესრულების აუცილებლობას, ისე ადამიანური იმპულსის ამაღლების საქმეს და უპირველსს ხდის თავის ბრძანებაში არა მიზანს, არამედ მის აღმსრულებელს. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოთ 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმზე წარმოთქმული სიტყვა-მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

**„თქვენ შემოგყურებთ, როგორც თავიანთ განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობელთა უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებლის მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსი“,** — სტალინი ომში მიმავალ მებრძოლებს, როლებსაც წითელი მოედნიდან 20 კმ-ში ელოდებოდა კბილებამდე შეიარაღებული უძლიერესი ევროპული არმია, ქებით უხსნის, რომ მათ წილად ხვდათ განმათავისუფლებლის საამაყო მისია.

აღსანიშნავია სტალინის 127-ე ბრძანება, რომელიც უმკაცრესი ბრძანებაა მსოფლიო ომების ისტორიაში. ამ ბრძანებამ მებრძოლთა აღფრთოვანება გამოიწვია სამხედრო ნაწილებში, გარდატეხა შეიტანა სამხრეთის ფრონტზე. **ქრისტე** ისე ამაღლდა, ვერ დატოვა ამქვეყნიური სამოთხე, მაგრამ მისმა მოძღვრებამ საუკუნეებს გაუძლო და იქნება მანამ, სანამ პლანეტა იარსებებს და მასზე — ადამიანები. ეს, ალბათ, იმ ბედუკუღმართი ეპოქის ბრალი იყო, რომელშიც **ბარაბას** მოდგმას ფესვი ჰქონდა გადგმული დედამიწაზე. ისტორიიდან სტალინის წასვლა (დროებით) ამავე პრინციპზეა აგებული. სტალინის ანდერძი, რომელიც **ალექსანდრა კოლონტაიმ** თავის დღიურში ჩაიწერა, იმ შორსმჭვრეტელობის უტყუარი მაგალითია, რომელსაც დროდადრო წარმოაჩენს ისტორიის მკვეთრი მოსახვევები. სტალინმა ფიზიკურად ვერ დატოვა ტრადიციის სრულყოფილი ფორმა, მაგრამ დატოვა თარგი, რომელზეც, ადრე თუ გვიან, გამოიჭრება ის ფორმა, რომელიც კაცობრიობას მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილ სახეს მისცემს.

**სტალინმა ხელმძღვანელობისა და სახელმწიფოების ისეთი სახე და ფორმა შექმნა, რომელსაც ანტიკურ ეპოქაში ადამიანები ღმერთს დაარქმევდნენ, მაგრამ მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ იმ „უღმერთო“ ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, ფარულად თუ ხილულად, სტალინს კრემლში მობინადრე ღმერთსაც უწოდებდნენ.**

რა დაკარგა კაცობრიობამ სტალინის სახით? ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე დიდ საბრძოლო ოპერაციას სტალინმა დიდი რუსი მხედართმთავრის, ბაგრატიონის, სახელი უწოდა, ხოლო მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის ასე მიმართავდა — „ჩემი ბაგრატიონი“; საკავშირო რადიოს უკანასკნელი ცნობების გადაცემა შეაწყვეტინა, როდესაც ერთ-ერთი ბრძოლის გამარჯვების აღსანიშნავ სალუტის მიცემის ბრძანებაში დიქტორმა ფრონტის სარდლის გვარი არ დაასახელა.

◀ დაკარგა ის, რასაც დღეს მსოფლიო ხალხები ასე გაფაციცებით დაეძებენ — თავისუფლება! თავის დახსნა იმ ერთი მუჭა მილიარდერებისაგან, რომელთა ხელშიცაა დედამიწის საერთო შემოსავლების 97% და, გარდა ამისა, ყოვლის შემძლე ვირუსი, რომელსაც ნებისმიერ დროს ფარულად გამოიყენებენ ატომური ქობინებით აღჭურვილ საკონტინენტთაშორისო რაკეტებისგან განსხვავებით. ამასთანავე, სტალინმა თავისი სიკვდილით გაცილებით მეტი დაანგრია, ვიდრე თავისი ცხოვრების განმავლობაში ააშენა. მან ქვეყანას დაანახვა, რა არის თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა დედამიწაზე, განა იოლად შეიძლება ამის მიღწევა? მაგრამ ვერ დაგვიტოვა ის გზები, ხერხები და მეთოდები, რომლებითაც უნდა მივიდეთ აღთქმულ სამოთხემდე, რომლის გამოც დღეს ინგრევა და პარტახდება პლანეტა დედამიწა, ქაოსსა და გაუგებრობაშია მოქცეული 7 მლრდ-ზე მეტი ადამიანი.

**სტალინის სიკვდილმა პლანეტაზე უზარმაზარი სიცარიელე შექმნა, რომლის შევსებაც, ნახევარ საუკუნეზე მეტია, შეუძლებელია.**

დედამიწაზე არავინ დამარხულა ისეთი გლოვითა და დიდებით, როგორც სტალინი, და არც ერთი დამნაშავე დედამიწაზე არ გალანძღულა ისე, როგორც ასეთი დიდებით დამარხული ადამიანი. როდესაც ნათელია ის კეთილისმყოფელი სულიერი ძალა, რომელიც დღესაც ცოცხლობს და მალე „მკვდრეთით აღდგება“, რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი **ვლადიმერ ჟირინოვსკი** ან რას ამბობს სტალინის შესახებ: **„სტალინი უცოდინარი იყო, მას სემინარიაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. მე კი მეცნიერებათა დოქტორი ვარ. მას არ ჰქონდა სამხედრო ცოდნა და არც შესაბამისი ჩინი, მე კი ნამდვილი სამხედრო პოლკოვნიკი ვარ. მან არ იცოდა არც ერთი უცხო ენა, მე კი რამდენიმე უცხოურ ენას ვფლობ. მაშ, ვინ არის ეს არამზადა სტალინი, რომ მის სახელს დღესაც მოიხსენიებენ?“**

ვთქვათ და, ერთი კაცი მართლაც გასულელდა, მაგრამ ერთმა სულელმა, გაურკვეველი წარმომავლობის პარანოიკმა, როგორ უნდა გაასულელოს რუსი საზოგადოების თუნდაც 10%? ანდა, რა იცის ჟირინოვსკიმ სტალინზე — წიგნი მას არ წაუკითხავს და სხვისი მოსმენა მან არ იცის.

**უამრავმა ადამიანმა დამირეკა და შემაგულიანა, — უპასუხეო ჟირინოვსკის ამ სისულელეს. ვფიქრობ, სულელს რომ უპასუხო, შენც სულელი უნდა იყო, ამიტომ არ მსურს, პასუხი გავცე მას, მაგრამ გადავწყვიტე, მივმართო დიდ რუს ხალხს: დროულად მოიცილეთ გაურკვეველი წარმომავლობისა და სხვადასხვა მასონურ ლოჟაში გაწევრებული ვაიპოლიტიკოსები.**

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში არის თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით მსოფლიოში სახელგანთქმული მუზეუმი, რომელშიც, ძირითადად, გამოფენილია ეგვიპტის ფარაონის, 22 წლის **ტუტანხამონის** (რომელიც მეღორემ თავში კომბლის ჩარტყმით მოკლა) საფლავიდან ამოღებული ყველა ნივთი. ეს ნივთები ფარაონის სასახლეს ამშვენებდა და ნაპოვნი იქნა პლანეტის ყველაზე დიდ აკროპოლისში — ტუტანხამონის სახელზე აშენებული პირამიდის ქვესკნელებში ჩამარხულ საიდუმლო საცავებში. საკვირველია, როგორ შეელია სახელმწიფო თავის განძს — **ბრილიანტს, ოქროს, პლატინასა და უძვირფასეს ქვებს, რომლებიც ტახტზე მხოლოდ 3 წლით ნამყოფ და მეღორის მიერ მოკლულ ფარაონს საფლავში ჩააყოლეს... როდესაც სტალინის ნეშტი, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, მავზოლეუმიდან გამოასვენეს და კუბოში ჩაასვენეს, ნიკიტასვე ბრძანებით, გენერალისიმუსის მუნდირს ექვსი დიდი და თორმეტი პატარა ოქროს ღილი ააჭრეს და თუნუქის ღილები დააკერეს; ოქროს სამხრეები და გმირის ოქროს ვარსკვლავიც ბუტაფორიით შეუცვალეს კაცს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ნახევარ მსოფლიოს მართავდა.**





სტალინი სამხედრო აღლუმზე. მოსკოვი, 1941 წლის 7 ნოემბერი

როდესაც 1956 წლის 25 თებერვალს გამართულ სკკპ XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის მარშლებსა და სახალხო კომისრებს, პოლიტბიუროს წევრებს სტალინზე თავის პასკვილს უკითხავდა, მთელი დარბაზი დუმდა. ახლა კი თავს იმართლებენ და წერენ: იმ დარბაზს კვლავ მოჰყვებოდა სტალინური სუსხი, შიში და ამიტომაც ერთმმართველი ნიკიტას ნათქვამი სიტყვის შეუბრუნებლად მიიღეთო. **უინსტონ ჩერჩილი**, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი, სტალინთან შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავდა:

**„მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს... მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ურთიერთობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც მხოლოდ რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“.**

სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, 1959 წლის 21 დეკემბერს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში უინსტონ შერჩილმა აღნიშნა: **„ბატონებო, თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით — გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი საუკუნის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება, სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას.** სტალინს, უწინარესად, იუმორის, სარკაზმისა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა. თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ აქვს... როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. ის ღრმა სიბრძნეს ფლობდა. იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს აჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. უჩვეულო და რთული პიროვნება გახლდათ. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა. გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“.

1942 წელს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის ოპერაცია „ტორჩის“ განხილვისას სტალინის გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩერჩილზე, რომელიც თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მეორე მსოფლიო ომი“ წერს: **„მე ზუსტად განვმარტავდი, ვხსნიდი ოპერაცია „ტორჩს“. როცა ლაპარაკი დავასრულე, სტალინმა ინტერესი გამოიჩინა. მან, ეტყობა, მაშინვე შეაფასა „ტორჩის“ სტრატეგიული უპირატესობები და ჩამოთვალა 4 ძირითადი მათგანი: პირველი — გენერალ რომელს, გერმანიის ჯარების სარდალს, ჩრდილოეთ აფრიკაში ზურგიდან დაარტყამს, მეორე — დააფრთხობს ესპანეთს; მესამე — გამოიწვევს ბრძოლას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში; მეოთხე — იტალიას უშუალო დარტყმის ქვეშ აყენებს“.**

**სტალინის ნათქვამმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ჩანდა, რომ რუსეთის დიქტატორი სწრაფად და სრულად დაეუფლა პრობლემას, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტას თუ შეეძლო, რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში. მან ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით შეაფასა“.**

1942 წლის მაისში აშშ-ის 32-ე პრეზიდენტმა **ფრანკლინ რუზველტმა** სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ **ვიაჩესლავ მოლოტოვთან** შეხვედრისას განაცხადა, რომ სურს, აწმყოსა და მომავლის საკითხების განსახილველად შეხვდეს თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს, რაც აქამდე ვერ შეძლო, მაგრამ სჯერა, რომ ისინი მაინც შეხვდებიან ერთმანეთს...

წერილს კი რუსეთის სირცხვილის, ჟირინოვსკის, სიტყვებით დავასრულებ: „სტალინი უცოდინარი იყო, მას სემინარიაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. მე კი მეცნიერებათა დოქტორი ვარ. მას არ ჰქონდა სამხედრო ცოდნა და არც შესაბამისი ჩინი, მე კი ნამდვილი სამხედრო პოლკოვნიკი ვარ. მან არ იცოდა არც ერთი უცხო ენა, მე კი რამდენიმე უცხოურ ენას კარგად ვფლობ. მაშ, ვინ არის ეს არამზადა სტალინი, რომ მის სახელს დღესაც მოიხსენიებენ?“

**გრიგოლ ონიანი**

**«თქვენ შემოგყურებთ, როგორც თავიანთ განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობელთა უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებლის მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსი», — სტალინი ომში მიმავალ მებრძოლებს, რომლებსაც წითელი მოედნიდან 20 კმ-ში ელოდებოდა კბილებამდე შეიარაღებული უძლიერესი ევროპული არმია, ქებით უხსნის, რომ მათ წილად ხვდათ განმათავისუფლებლის საამაყო მისია**

**სტალინი სსრ კავშირში დემოკრატიის სიმცირეს ხალხში კულტურის ნაკლებობას მიაწერდა: «სანამ ქვეყანაში კულტურა არ განვითარდება, სოციალური საკითხები არ გადაწყდება, სანამ ქვეყნის საზღვრებზე ბომბები სკდება და ხალხი მილიტარიზებულია, დემოკრატიაზე საუბარი სასაცილოა». ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა მას მემკვიდრეობის ჩამოყალიბებაზე ახალშექმნილ საბჭოეთში. ერთხელ გაზეთ «პრავდის» რედაქტორს განუცხადა: «თუ არ გარდავქმნით ჩვენს იდეოლოგიას და მას სწორად არ წარვმართავთ, ჩვენი ქვეყნის სიკვდილი გარდაუვალია»**

ოცდამეხუთე გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბაქტერიები, მოგეხსენებათ, სიკვდილის ბიოლოგიური მანქანებია, რომლებიც შთანთქავს ნახშირბადს, მათთვის სულერთია, როგორია იმუნიტეტი, რა წამლებს იყენებენ. მთავარია, რომ ორგანიზმში არის ნახშირბადი...**

**სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, ჯერ გავარკვიოთ კოვიდ-19 ბუნებრივი წარმონაქმნია თუ ადამიანის ხელით შექმნილი ვირუსი. თუ მეორე ვარიანტზე შევჩერდებით, მაშინ უნდა გავარკვიოთ, ვინ და რა მიზნით შექმნა კორონავირუსი, რომელმაც მსოფლიო კალაპოტიდან ამოაგდო. ОРТ-ს ტელეწამყვანმა ანდრეი შეინინმა ეთერში იხუმრა, — ბოლო პერიოდში პოლიტოლოგებიდან ვირუსოლოგებად გადავკვალიფიცირდითო, სპეციალისტების ნაფიქრ-ნააზრევს ჩვენად ვასაღებთო. ინტერნეტში ცხვირჩაყოფილი ასეთი ექსპერტის იარლიყი თავიდან რომ ავიცილო, მკითხველს ამთავითვე ვეუბნები: მასალაში, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჩემი ფანტაზიის გრამიც არ არის, თარგმანია მხოლოდ და ალაგ-ალაგ შინაარსის გადმოცემა.**

# კორონავირუსის მეორედ მოსვლა

## რეალობა თუ ჰიბრიდული ომის ტაქტიკა?




### „სინტია“ – სიკვდილის დედოფალი

ცნობილი რუსი ჟურნალისტი **ანდრეი ყარაულოვი** ესაუბრება მსოფლიოში აღიარებულ ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერ-ბიოლოგს — **ირინა ერმაკოვას.**

უწინარეს ყოვლისა, მოსაუბრენი შეთანხმდებიან, რომ ნებისმიერი ჩარევა ბუნებაში, თუნდაც გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოქმნა, რომლებსაც იყენებენ საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიებში (დანამატები ნამცხვრებში, იოგურტებში, კანფეტებში და ა.შ.), ნებისმიერ ხელოვნურ ჩარევას ბუნებაში კვალდაკვალ მიჰყვება გაუგებარი ვირუსების წარმოქმნა, მათ შორის კორონავირუსებისაც, დამახასიათებელი პანდემიით და ა.შ.

— როდის დამთავრდება დღეს ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება, ამაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გავარკვევთ, „საიდან იზრდება ფეხები“, რომელი ფესვებიდან ამოიზარდა, როგორ დაიწყო, — ამბობს ერმაკოვა.

**— ხელქმნილი ვირუსია თუ ბუნების მიერ წარმოქმნილი?** — შეკითხვას აკონკრეტებს ყარაულოვი.

— ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. აგიხსნით: **გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო), რომლებსაც ადამიანების საკვებ პროდუქტებში იყენებენ, იმუნიტეტის შესუსტებას იწვევს, რაც ინფექციისთვის იმუნიტეტდაქვეითებული ადამიანების გაღებული კარივითაა. ეს ერთი, და მეორე — ასეთი ორგანიზმები ბუნებაში არათუ არ არსებობს, არამედ შეუძლებელია, იარსებოს, რადგან ისინი შექმნილია გენეტიკური, სიცოცხლის არსებობისთვის აუცილებელი ყველა კანონის დარღვევით. ყველაზე დიდი მონსტრი, რომელიც ბიოტექნოლოგებმა შექმნეს, არის ბაქტერია „სინტია“ — სინთეტიკური გენომი,** რომელიც ოფიციალურად არ ითვლება საბრძოლო ბაქტერიად და შექმნილი იყო (2010 წლის 20 აპრილს ტანკერის კატასტროფის შედეგად) დაღვრილი ნავთობისგან მექსიკის ყურის გასაწმენდად.

**— ვინ შექმნა ეს ბაქტერია? ამერიკელებმა?**

— დიახ, ამერიკელებმა. იგი შთანთქავს ნახშირბადს და აქრობს ნათობის აფსკს. მას შემდეგ, რაც „სინტია“ ნავთობს მოერია, მან დაიწყო ცხოველების და ადამიანების დაავადება. სიმპტომები ძალიან ჰგავდა იმას, რისი მოწმენიც დღეს ვართ: იწყება ტემპერატურის აწევით, ვითარდება პნევმონია და მთავრდება სიკვდილით.

**— ადამიანებში ვის გულისხმობთ — მენავთობეებს, ექიმებს, მესაზღვრეებს?**

— და ვინც იქ ახლოს ცხოვრობდა. ყველა უცებ ავადდებოდა...

**— და იხოცებოდნენ.**

— დიახ, იხოცებოდნენ. სიკვდილიანობა იქ ძალიან მაღალი იყო. ჩვენ დიდხანს ვაკვირდებოდით ამ ბაქტერიას...

**— იმ მეცნიერებმა, რომლებმაც, როგორც თქვენ თქვით, შექმნეს „სინტია“ ნავთობის ჩასანთქმელად, ჩაიდინეს დანაშაული და უნდა გასამართლდნენ, როგორც ბოროტმოქმედნი?**

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!

**— მაშასადამე, იმ სამხედრო ვირუსოლოგებს, რომლებმაც ეს ბაქტერია შექმნეს, უნდა ეშინოდეთ ჰააგის სასამართლოსი და ა.შ.?**

— დიახ. მე თვითონ ვმუშაობდი აშშ-ში, როგორც მკვლევარი, ლაბორატორიაში... მათ არ ჰქონდათ მიზნად დასახული, შეემოწმებინათ მისი ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე. მათი ამოცანა იყო „სინტიას“ მიერ ნავთობის ჩანთქმა. ნავთობისგან მან მართლაც გაწმინდა მექსიკის ყურე, მაგრამ სხვა თვისებაც რომ გამოავლინა, ეს აზრადაც არ მოსვლიათ.

**— განა ასეთი რამ შეიძლება მოხდეს XXI საუკუნეში?**

— ამერიკაში საქმე ისეა დაყენებული, რომ სკოლაში გინდა შეისწავლი, არ გინდა, არ შეისწავლი ბიოლოგიას... სხვა ყველაფერი გრანტებით ხორციელდება... ამიტომ რა შედეგიც მოჰყვა, გულმოდგინედ იყო დამალულ-დაფარული...

**— ხომ არ დაასახელებთ იმ ლაბორატორიებს, რომლებშიც შეიქმნა, ან, იქნებ, იცნობთ კიდეც „სინტიას“ ავტორებს?**

— ნობელის პრემიის ლაურეატმა **ჰამილტონ სმითმა** შექმნა ჯგუფი, რომელმაც ამ თემაზე იმუშავა.

**— ნობელის ლაურეატმა?**

— დიახ. შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს მიეცათ საიდუმლო მითითება, შეეზღუდათ ინფორმაციის გავრცელება ამ საიტის შესახებ.

**— ჩვენმა ქვეყანამ თუ მიიღო ასეთივე (შეზღუდვის) სიგნალი?**

— მგონი, მიიღო. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სინტია“ მოხვდა გოლფსტრიმში (დინებაში) და მოიწევს ევროპის ნაპირებისკენ.




**ყვებოდნენ, რომ სადღაც ფლორიდასთან ადამიანებმა იბანავეს ოკეანეში და დაიხოცნენ. უცებ კვდებოდნენ, დახმარებას ვერ ასწრებდნენ... ბაქტერიები, მოგეხსენებათ სიკვდილის ბიოლოგიური მანქანებია, რომლებიც შთანთქავს ნახშირბადს, მისთვის სულერთია, როგორია იმუნიტეტი, რა წამლებს იყენებენ. მთავარია, რომ ორგანიზმში არის ნახშირბადი... იტალიურ რესტორანში ვახშმობის შემდეგ ადამიანები კვდებოდნენ.**

**— მაშასადამე, ეს საზიზღრობა შეიძლება იყოს თევზშიც და ზღვის პროდუქტებშიც?**

— იგი ჩვენამდე აღწევს სწორედ თევზისა და ზღვის პროდუქტების მეშვეობით. „სინტია“ ანგრევს ადამიანის ორგანიზმის უჯრედებს. ვირუსი კი უჯრედებს არ ანგრევს.

გადავდივარ კორონავირუსზე. მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ ბაქტერიას, ვიცოდი, თუ იგი გავრცელდებოდა, დიდი უბედურება დაგვატყდებოდა თავს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მკვდარი და სასიკვდილოდ განწირული თევზის უდიდესი რაოდენობა ამოიყრებოდა ნაპირზე.

**— ეს იყო შარშან აგვისტოში.**

— დიახ. თევზის ბიზნესით დაკავებული მეწარმენი მკვდარ თევზს ყინავდნენ და ბაზრებში გაჰქონდათ გასაყიდად. იყო თუ არა თევზის ეს მასა „სინტიათი“ ინფიცირებული, ამას ვერავინ წარმოიდგენდა და არც არავის შეუსწავლია. მეწარმეებს კი, საერთოდ, ფეხებზე ეკიდათ. **ასეთი თევზით დატვირთული რამდენიმე ფურა (მანქანა-მაცივარი) ჩინეთის საზღვარზე დააკავეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეუშვეს. ერთ-ერთი უჰანის ბაზარზე შევიდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველმა დაავადებულმა და გარდაცვლილმა ჩინელმა ეს პროდუქტი სწორედ უჰანის ბაზარზე იყიდა, მაგრამ მაშინ არავის უთქვამს, რომ ეს კორონავირუსის გამო მოხდა. ჩინელებმა განაცხადეს, რომ მაშინ იქ არავითარი კორონავირუსი არ არსებობდა. არადა, იღუპებოდა უამრავი ადამიანი; ხოლო კორონავირუსი მას იმიტომ უწოდეს, რომ ადამიანები კვდებოდნენ ატიპური პნევმონიით, რომელიც 2003 წელს იყო გავრცელებული.**

მაგრამ შემდეგ მაინც გაჩნდა კორონავირუსი. საქმე ის არის, რომ ჩინელებს ორგანიზმში აქვთ კორონავირუსი არააქტიურ მდგომარეობაში, ლატენტურად.

**გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო), რომლებსაც ადამიანების საკვებ პროდუქტებში იყენებენ, იმუნიტეტის შესუსტებას იწვევს, რაც ინფექციისთვის იმუნიტეტდაქვეითებულ ადამიანებში გაღებული კარივითაა. ეს ერთი და მეორე — ასეთი ორგანიზმები ბუნებაში არათუ არ არსებობს, არამედ შეუძლებელია, იარსებოს, რადგან ისინი შექმნილია გენეტიკური, სიცოცხლის არსებობისთვის აუცილებელი ყველა კანონის დარღვევით, მაგრამ ყველაზე დიდი მონსტრი, რომელიც ბიოტექნოლოგებმა შექმნეს, არის ბაქტერია «სინტია» — სინთეტიკური გენომი**

▶

**ვირუსი აღწევს უჯრედში და დნმ-ს იყენებს, როგორც მატრიცას. ასე გაჩნდა ეს კორონავირუსი მეტად უცნაური სტრუქტურით, მაგრამ ეს ახალი კორონავირუსი მაინც ისეთი საშიში არ არის, როგორც ბაქტერია, ამიტომ, სირთულისა და სიმძიმის მიუხედავად, კოვიდ-19-ით დაავადებული ადამიანის მორჩენა შეიძლება. ბაქტერია „სინტიას“ შემთხვევაში კი თითქმის ასპროცენტიანი სიკვდილია.**

თუდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არსებობს ტიპური კორონავირუსი და კოლიტ-კორონავირუსი, რომელშიც არის უცხო ფრაგმენტები. ახალ კორონავირუსს იმიტომ უწოდეს კოვიდ-19, რომ იგი შეიცავს უცხო ფრაგმენტებს. **ვირუსი აღწევს უჯრედში და დნმ-ს გამოიყენებს, როგორც მატრიცას. ასე გაჩნდა ეს კორონავირუსი მეტად უცნაური სტრუქტურით. მაგრამ იგი მაინც ისეთი საშიში არ არის, როგორც ბაქტერია, ამიტომ, სირთულისა და სიმძიმის მიუხედავად, კოვიდ-19-ით დაავადებული ადამიანის მორჩენა შესაძლებელია. ბაქტერია „სინტიას“ შემთხვევაში კი თითქმის ასპროცენტიანი სიკვდილია, თუმცა ჩვენ მასზეც გვაქვს რეკომენდაციები.**

* * *

**ამ საუბარს შეიძლება აქ დავუსვათ წერტილი, თუმცა ყველაფერი ნათელი არ არის და პრობლემა ამოწურულად ვერ ჩაითვლება.**

კორონას ყველა თავისი სამრეკლოს გადასახედიდან უყურებს. მაგალითად, **აკადემიკოს გენადი ონიშჩენკოს მიაჩნია, რომ კორონავირუსი ჰიბრიდული შეტევის ერთგვარი ვარიანტია, იდეოლოგიური შემოტევა, რომლის მიზანია მსოფლიო ეკონომიკის ფორმატის შეცვლა. ასე ფიქრობენ ეკონომისტებიც.**

ამ თემაზე მოკლე და გასაგები პასუხი სთხოვა ყარაულოვმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ **ალექსანდრე სემენის.**

— ჩემი აზრით, **კორონავირუსის საფრთხე და ადამიანის ორგანიზმზე მისი უარყოფითი ზემოქმედება არც ისე სარისკოა, როგორც ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოგვიდგენს,** — აცხადებს რესპონდენტი.

**— ე.ი., იგი არ ანადგურებს ადამიანის იმუნურ სისტემას?**

— საქმე ის არის, იმუნურ სისტემას და ვირუსულ ინფექციას, საერთოდ, და კორონავირუსს, კერძოდ, ერთმანეთთან კონკურენტული ურთიერთობა აქვს. ვირუსული ინფექცია და მათ შორის კორონავირუსი ორგანიზმში შეაღწევს მაშინ, როცა იმუნური სისტემა სუსტდება. **მისი დაცვითი თვისებები სუსტია, განსაკუთრებით — სტრესის მომენტში, ამიტომ ის ვითარება, რომელიც მასმედიის საშუალებით ყალიბდება, არანაკლებ დამაზიანებელი ფაქტორია, ვიდრე თვით კორონავირუსი. გამორიცხული არ არის, რომ ამ ფსიქოლოგიურ, საინფორმაციო შემოტევას გარკვეული მიზანი ჰქონდეს: გაამრავლოს დაავადებული მოსახლეობის რაოდენობა.**

— სერიოზული ექიმების აზრით, რაგინდ იოლად გადაიტანოს ადამიანმა კორონავირუსით დასნებოვნება, ორი თუ სამი წლის შემდეგ იმუნური სისტემა ამ ბრძოლით ისე ექნება დასუსტებული, რომ სიცოცხლეს შეიძლება დაემშვიდობოს ნებისმიერი უმნიშვნელო დაავადების გამო.

— მთლად ასე არ არის. მიმაჩნია, რომ **ადამიანებს, რომლებმაც კორონავირუსი გადაიტანეს, უძლიერდებათ დაცვითი მექანიზმი, რადგან იმუნური სისტემის ამოცანაა, დაიხსომოს ინფექციასთან შეხვედრის ფაქტი, ამიტომ ისინი (ადამიანები) უფრო მომზადებული ხვდებიან ამგვარ ვირუსულ შემოტევას.**



**«პატივცემულო თანამოქალაქენო, გაითვალისწინეთ, რომ კორონავირუსი საკმაოდ საშიში აგენტია, რომელსაც შეუძლია საგრძნობლად შეარყიოს თქვენი მგრძნობიარე იმუნოსისტემა, ამიტომ, თუ შინ დარჩებით, მე კი გირჩევთ, რომ ასე მოიქცეთ, ყველა ხერხით უნდა გაიძლიეროთ თქვენი იმუნიტეტი და, ამასთანავე, შეინარჩუნოთ კარგი განწყობილება, პოზიტიური აზროვნება, დაიცვათ პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები, მაგრამ, უწინარესად, ფსიქოჰიგიენის წესები»**

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ვირუსი ჩვენთან გაჩნდა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე და დაკავშირებული იყო ბაქტერია „სინტიასთან“?**

— არ გამოვრიცხავ, რომ მისი აგრესიულობის გაძლიერება გამოწვეული იყო ბაქტერია „სინტიას“ გამოჩენით.

## ვირუსებო ყველა სახისა, შეერთდით!

**— რატომ მოხდა, რომ სიკვდილიანობა ასე მკვეთრად გაიზარდა იმ ვირუსის მიზეზით, რომელიც, დიდი ხანია, ცნობილი იყო, მაგალითად, იტალიაში, გერმანიაში, ირანში, იაპონიაში, კორეასა და ჩინეთში?**

— ექიმთა საზოგადოებამ შენიშნა, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ფენომენი, რომელიც მანამდე ჩვენთვის უცნობი იყო. მაგალითად, ვირუსებმა იწყეს გაერთიანება ბაქტერიებთან, ბაქტერიებმა — ბაქტერიებთან, გარკვეული ალიანსები წარმოიქმნა, რომლებიც დღემდე არსად შეგვხვედრია. ამიტომ იყო, რომ თერაპიის ადრე გამოყენებული მეთოდები ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ ეს ფენომენი ნაწილობრივ ადამიანის მიერ არის შექმნილი, იმიტომ, რომ არის ფაქტორების ორი ჯგუფი: ერთი მხრივ, ადამიანები **არასანქცირებულ თვითმკურნალობას** ეწევიან, მათ შორის, ანტიბიოტიკების მეშვეობით, უდიდესი ოდენობით, ტოტალურად, მთელ მსოფლიოში; მეორე მხრივ, არსებობს **მიკრობული ბიოცენოზის ბუნებრივი ევოლუცია, ამას გარდა — გენმოდიფიცირებული პროდუქტები, რომლებიც სულ უფრო მეტად ავსებს ჩვენს ყოველდღიურ რაციონს, ასუსტებს ჩვენი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს და აძლიერებს პათოგენური მიკროფლორის სისუსტეებს, რომელთაც მოჰყვება ასეთი სამწუხარო შედეგები.**



**«გენმოდიფიცირებული პროდუქტები შექმნეს აფრიკის შავკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი იყენებენ ამ პროდუქტებს ისე, რომ არც იციან, რა ვნებთ მათ და 3-4 თაობის შემდეგ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შავკანიანი მოსახლეობა საერთოდ აღარ დარჩება»**

გენმოდიფიცირებული პროდუქტების პრობლემის განხილვისას ყარაულოვმა გაიხსენა სამხრეთ აფრიკის ლიდერთან, ლეგენდარულ **ნელსონ მანდელასთან** საუბარი, როცა მას მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადებია: **„გენმოდიფიცირებული პროდუქტები შექმნეს აფრიკის შავკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი იყენებენ ამ პროდუქტებს ისე, რომ არც იციან, რა ვნებთ მათ და 3-4 თაობის შემდეგ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შავკანიანი მოსახლეობა საერთოდ აღარ დარჩება“,** ხოლო მას შემდეგ, რაც მექსიკის ყურეში ტანკერის ავარიის შემდეგ უამრავი ნავთობი დაიღვარა, „ბრიტიშ პეტროლეუმმა“ დიდძალი ფული დახარჯა ხელოვნურად მოდელირებული სიცოცხლე — ბაქტერია „სინტია“ რომ შეექმნა, მაგრამ შემქმნელებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს „სინტია“ მას შემდეგ, რაც სრულად შთანთქავს დაღვრილ ნავთობს, გამრავლდება და სხვა სიცოცხლეების ჭამას შეუდგება, მათ შორის ადამიანის სიცოცხლის.

**— ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისთავად წარმოიშვება შეკითხვა — რით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული „სინტია“ და კორონავირუსი?**

— მათ შეუძლიათ გააძლიერონ ერთმანეთი.

**— ერთმანეთი როგორღა იპოვეს?**

— რადგან გენმოდიფიცირებული პროდუქტები მსოფლიოს მოსახლეობის რაციონშია შესული. გენმოდიფიცირებული პროდუქტები, რომლებიც ცვლიან იმუნური სისტემის აქტიურობას, პრაქტიკულად, ყველა ადამიანის ორგანიზმშია.

არის სხვა საკითხიც — **ელექტრომაგნიტური იმუნიტეტი.** ჩვენს იმუნიტეტურ დაცვას აქვს მატერიალური კომპონენტი, რომელიც სისხლში და სისხლის უჯრედებშია. ამას გარდა, **არის ელექტრომაგნიტური იმუნიტეტი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩვენს ფიქრსა და გრძნობებს. თუ ადამიანი აზროვნებს პოზიტიურად და აღმაფრენას განიცდის, კმაყოფილია ყველაფერ იმისგან, რაც მის გარშემო არსებობს და ხდება, თუ ცხოვრება უხარია, მაშინ ის დაყოვნებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მასშია მოთავსებული, არ აფეთქდება.**

თუ ადამიანზე ძლიერად მოქმედებს სტრესი, დეპრესიული და აფორიაქებულია, იმედგაცრუებული და ა.შ., თუ იგი ხანგრძლივად იმყოფება ასეთ მდგომარეობაში, ამოქმედდება მისი სისუსტეები და ჩვენში არსებული ქიმია ორგანიზმის წინააღმდეგ იმუშავებს. საკმარისია ოდნავი ბიძგი, მაგალითად, კორონავირუსი, გრიპის ვირუსი ან სხვა ინფექცია, ჩაირთვება კასკადური რეაქცია, რომელიც, ფაქტობრივად, მართული არ არის. ამან შეიძლება მიგვიყვანოს ლეტალურ დასასრულამდე.

თუ ადამიანი კეთილგანწყობილია, სასიკეთოდ არის მომართული, ჩვენ შევძლებთ გენმოდიფიცირებულობის ნეიტრალიზებას, როგორც ინ ვიტრო (სინჯარაში), ასევე ორგანიზმშიც. ეს ნიშნავს, რომ კეთილგანწყობა დადებითად მოქმედებს სისხლის მაჩვენებელზე.

**— საფრთხე, რომელსაც კორონავირუსი გვიქმნის, პანიკა, რომელიც მან გამოიწვია, გადაჭარბებული ხომ არ არის?**

— გიპასუხებთ არა როგორც ექიმი, არამედ, როგორც ქვეყნის მოქალაქე. ვფიქრობ, რომ მოსახლეობა სრულად არ არის ინფორმირებული.

**— ჰოდა, განგვიმარტეთ.**

— **თვით ვირუსისგან მომდინარე საშიშროება ნაკლებია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ვფიქრობ, ამ კვამლის ფარდის იქით არის რაღაც ინტერესები, რომლებიც უბრალო ადამიანისთვის ჯერჯერობით გაუგებარია. აშკარაა ფსიქოლოგიური დამუშავების ელემენტი, მე მას ვუწოდებდი ფსიქობიოტერორიზმს.**

მე ასე მივმართავ ჩვენს თანამოქალაქეებს: **პატივცემულო თანამოქალაქენო, გაითვალისწინეთ, რომ კორონავირუსი საკმაოდ საშიში აგენტია, რომელსაც შეუძლია, საგრძნობლად შეარყიოს თქვენი მგრძნობიარე იმუნოსისტემა. ამიტომ, თუ შინ დარჩებით, მე კი გირჩევთ, რომ ასე მოიქცეთ, ყველა ხერხით უნდა გაიძლიეროთ თქვენი იმუნიტეტი და, ამასთანავე, შეინარჩუნოთ კარგი განწყობილება, პოზიტიური აზროვნება, დაიცვათ პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები, მაგრამ, უწინარესად, ფსიქოჰიგიენის წესები.**

**— ვაქცინა როდის გვექნება? ერთი წლის შემდეგ?**

— ვაქცინა შეიძლება უფრო ადრეც გაჩნდეს, მაგრამ მისი მაინცდამაინც დიდი იმედი არ მაქვს, როგორც ვაქცინოთერაპიისა და ვაქცინაპროფილაქტიკის საერთოდ, რადგან ხდება ამ მიკროფლორის მუტაცია და მე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მით უფრო, როგორც ექიმი, სრულად ვერ ვენდობი. ვაქცინის მწარმოებლები თავიანთ საქმეს აბსოლუტურად კეთილსინდისიერად გააკეთებენ.

**— როდის დამთავრდება ეს ვირუსი?**

— ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს.

**ა.ს.**

კაცობრიობის მტრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XVIII საუკუნეში ევროპაში გაჩნდა რამდენიმე საიდუმლო საზოგადოება (მასონური ლოჟები, ილუმინატები, როზენკრეიცერები). ისინი დაახლოებულნი არიან ე.წ. ფულის ტომრებთან (როტშილდებსა და სხვა დიდ მევახშეებთან, ბანკირებთან, კაპიტალისტებთან), რათა იბატონონ მსოფლიოზე. ისინი თანდათან მიხვდნენ, რომ ძალაუფლების მოსაპოვებლად და მის შესანარჩუნებლად მხოლოდ ძალა საკმარისი არ არის. უნდა გარდაქმნან ადამიანი, როგორც ძალაუფლების ობიექტი. მსოფლიოზე ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შეიქმნება ახალი ადამიანი.**

# სამი ანტიუტოპია — HOMO SAPIENS-ის გადაკეთების სამი მოდელი

## როგორ აპირებენ ფულის ტომრები ადამიანთა მოდგმის მართვას

**ანტიუტოპია ახალი ჟანრია მსოფლიო ლიტერატურაში. ანტიუტოპია — ეს არის სამომავლო გეგმები, სცენარები შეფუთული მხატვრულ ფორმებში. გეგმები და სცენარები შემუშავებულია მსოფლიო ელიტის მიერ და მიმართულია ახალი მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად, ანუ ამ ელიტის მუდმივი ძალაუფლების დასამყარებლად დანარჩენ კაცობრიობაზე.**

უძველესი დროიდან არსებობდნენ მეფეები, იმპერატორები, დიქტატორები, რომლებიც ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ მსოფლიოს მბრძანებლები, მაგრამ მათი გეგმები ყოველთვის იფუშებოდა. **ალექსანდრე მაკედონელმა** ნახევარი მსოფლიო დაიპყრო, დარწმუნებული იყო, მეორე ნახევარსაც დაიპყრობდა, მაგრამ 33 წლისა გარდაიცვალა, მისი იმპერია კი ერთ წელიწადში დაიშალა. მსგავსი რამ დაემართა რომის იმპერატორ **ტრაიანეს,** შემდეგ — **კარლოს დიდს, ნაპოლეონ ბონაპარტეს.** გამოჩენილი ბელადები კვდებოდნენ, მათი სამფლობელოები კი ნადგურდებოდა და ნაწილ-ნაწილ იშლებოდა.

**XVIII საუკუნეში ევროპაში გაჩნდა რამდენიმე საიდუმლო საზოგადოება (მასონური ლოჟები, ილუმინატები, როზენკრეიცერები). ისინი დაახლოებულნი არიან ე.წ. ფულის ტომრებთან (როტშილდებსა და სხვა დიდ მევახშეებთან, ბანკირებთან, კაპიტალისტებთან), რათა იბატონონ მსოფლიოზე. ისინი თანდათან მიხვდნენ, რომ ძალაუფლების მოსაპოვებლად და მის შესანარჩუნებლად მხოლოდ ძალა საკმარისი არ არის, უნდა გარდაქმნან ადამიანი, როგორც ძალაუფლების ობიექტი. მსოფლიოზე ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შეიქმნება ახალი ადამიანი.**

ამ ამოცანის გადასაწყვეტად იხარჯება კოლოსალური თანხები, ნაყიდია მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, მედიკოსები, განათლებისა და კულტურის დაწესებულებების ხელმძღვანელები. ადამიანის გარდაქმნა-გადაკეთების გეგმის დიდ ნაწილს ადევს გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“, თუმცა რაღაც-რაღაცები ცნობილი შეიქნა.

**პირველი** — ეს არის აღიარება „დისიდენტებისა“, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ტოვებენ „ვიწრო წრეს“. რაღაცის შეტყობა შეიძლება ისეთი ადამიანებისგან, როგორიც არის აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი **ედვარდ სნოუდენი.** ამას შეიძლება ვუწოდოთ ინფორმაციის დაუგეგმავი გაჟონვა.

**მეორე** — არის უამრავი დოკუმენტი, რომლებსაც ცოტა ვინმე თუ კითხულობს. ეს დოკუმენტები გასაიდუმლოებული არ არის, მაგრამ ბევრი, ვინც სენსაციას ეძებს, ყურადღებას არ აქცევს. ასეთი ღია წყაროს მაგალითია რომის კლუბის მოხსენებები.

**მესამე** — რომანები-ანტიუტოპიები. რა თქმა უნდა, ყველა არა, მხოლოდ რამდენიმე, რომლებიც ეკუთვნის მახვილი ინტუიციის, დაკვირვების უნარისა და ფართო თვალსაწიერის მქონე ავტორებს. მათ ხელი მიუწვდებოდათ საიდუმლო ინფორმაციაზე.

ანტიუტოპიის ჟანრის კლასიკად ითვლება **ევგენი ზამიატინის** (მან ჩაუყარა საფუძველი ჟანრს) რომანი „ჩვენ“ (1920 წ.), ინგლისელი მწერლის — **ოლდოს ჰაქსლის** „საოცარი ახალი სამყარო“






**2020 წელს მსოფლიო ელიტამ, კულისებს მიღმა საზოგადოებამ გადაწყვიტა კაცობრიობისთვის ეგემებინა შიშის ახალი ულუფა სახელწოდებით კოვიდ-19. არსით ესეც გლობალური ტერორისტული ოპერაციაა, ჯორჯ ორუელის რომანში «არასწორი» ადამიანების ხელახლა აღზრდა-გადაკეთებას წამების გზით ახორციელებენ სიყვარულის სამინისტროში. 2020 წელს კულისებს მიღმა საზოგადოებამ შეძლო «შინაპატიმრობაში» ემყოფებინა დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ამასთანავე, ზრდიდნენ შეშინებულ და ნიღაბაფარებულ ადამიანებს, რომლებსაც «სწორად» ქცევას ასწავლიდნენ. ახლა კარანტინს თანდათან აუქმებენ, მაგრამ «აღზრდისა» და «სწავლების» კვალი დიდხანს დარჩება ან შეიძლება დარჩეს სამუდამოდ. ფულის პატრონები ადამიანებს «საოცარი ახალი სამყაროსთვის» ამზადებენ**

(1932 წ.) და ინგლისელი მწერლის — **ჯორჯ ორუელის** „1984“ (1948 წ.). რაღაცებით ეს წიგნები ერთმანეთს ძალიან ჰგავს და რაღაცებით ძალიან განსხვავდება.

ამ წიგნებში გადმოცემულია მომავალი საზოგადოების სამი მოდელი. ეს მოდელები არ არის მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი. ისინი ასახავენ მსოფლიო ელიტის, ე.წ. კულისებს მიღმა საზოგადოების გეგმებს. ეს კულისებს მიღმა საზოგადოება არაერთგვაროვანია, ამიტომ ჩნდება „ცივილიზებული“ მომავლის სხვადასხვა ვარიანტი. მსოფლიოში ვითარება შეიძლება შეიცვალოს და მსოფლიო ელიტამაც შეიძლება შეიტანოს კორექტივები თავის გეგმებში.

მაშ ასე, **ადამიანის გადაკეთების სამი ვარიანტი:**

*** ზამიატინის რომანში („ჩვენ“) ოპერაციას აკეთებენ თავის ტვინზე, ეს ოპერაცია ჰგავს ლობოტომიას.**

*** ჰაქსლის „საოცარ ახალ სამყაროში“ არის ხელოვნური ბიოლოგიური სელექცია და ნარკოტიკები.**

*** ორუელის „1984“-ში — შიშითა და წამებით „სწორი“ ცნობიერების გამომუშავება.**

სამივე რომანში „სწორი ადამიანის“ შესაქმნელ მეთოდებს ემატება ტვინის გამორეცხვის საშუალებები. ეს ხდება სწავლისა და აღზრდის ეტაპზე, შემდეგ — სამუშაო ადგილზე და, საერთოდ, კუბოს ფიცრამდე. ამისთვის გამოყენებულია მასმედია, იაფფასიანი კულტურა (პოპკულტურა), პრიმიტიული გართობა.

რომან „საოცარ ახალ სამყაროში“ ბავშვებს გამოუმუშავებენ ახალ რეფლექსებს **ივანე პავლოვის** მეთოდების (იმ მეთოდების, რომლებსაც აკადემიკოსი ძაღლებზე იყენებდა) მიხედვით — შოკოლადისა და ელექტროშოკის გამოყენებით. რომან „1984“-ში ზომბირების ეფექტიანი საშუალება არის ტელეეკრანები — ბრტყელი მონიტორ-ტელევიზორები, რომლებიც ყველგან არის ჩამოკიდებული და 24 საათის განმავლობაში „ტვინს ბურღავენ“ ახალი ამბებითა და პარტიული პროპაგანდით.

**ზემოაღნიშნული სამი მოდელიდან არც ერთში არ არის ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტი. რომანში „ჩვენ“ მამაკაცებსა და ქალებს შორის სექსუალური ურთიერთობები თავისუფალია, მაგრამ რეგულირდება. რეგულირების მიზანია, არ დაუშვან ხანგრძლივი და მდგრადი ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. ეს სახიფათოა, შეიძლება ხელი შეუწყოს „იატაკქვეშა“ ოჯახის შექმნასა და ბავშვის არსანქცირებულ დაბადებას. რომან „საოცარ ახალ სამყაროში“ სიყვარულის სრული თავისუფლებაა, მაგრამ მკაცრად არის აკრძალული ბავშვის დაბადება დედის საშოდან. ეს დასაშვებია მხოლოდ ქარხნის კონვეიერზე“! „1984“-ში აკრძალულია ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა თანაპარტიელთა შორის (პროლეტარებისთვის კი რეგლამენტი არ არსებობს). პარტიასა და უფროს ძმას მიაჩნიათ, რომ სექსუალური ურთიერთობა ფუჭი ხარჯვაა ენერგიისა, რომელიც მიმართული უნდა იყოს პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისკენ.**

სიყვარულის სამინისტროში ქალისა და მამაკაცის სიყვარულს ეჭვის თვალით უყურებენ. ეს უფროსი ძმის ღალატის ნიშანია. რომან „1984“-ში პარტიელებს უფლება აქვთ (ნაბრძანებიც კი), უყვარდეთ მხოლოდ უფროსი ძმა. ბავშვების დაბადება მკაცრად რეგლამენტირებულია რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. რაოდენობაში იგულისხმება მოსახლეობის რაოდენობის გეგმური მაჩვენებლები („მეცნიერული“ მალთუსიანელობა), ხარისხში — განსაზღვრება, როგორი ბავშვები წარმოადგენენ პირველი ხარისხის პროდუქტს, როგორი — მეორე ხარისხის, და როგორი ბავშვი განიხილება, როგორც დაუშვებელი ქორწინების ნაყოფი (შესაბამისად, ლიკვიდაცია ელის).

რომანში „ჩვენ“ ყველა ადამიანი ერთნაირი ხარისხისაა, „საოცარ ახალ სამყაროში“ — 5 ხარისხის (5 კასტაა), რომან „1984“-ში — 3 (პარტიის მაღალჩინოსნები, რიგი- ▶

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომან „საოცარ ახალ სამყაროში“ კადრს მიღმა (მოვლენები ხდება 26-ე საუკუნეში) დარჩა საშინელი რევოლუცია, რომელმაც გაანადგურა ძველი ადამიანი და ის ადამიანის მსგავსი არსებით შეცვალა, ხოლო რომანში „ჩვენ“ მოვლენები ხდება რომანის დაწერიდან 12 საუკუნის შემდეგ, და ჩვენ შევიტყობთ, რომ „ცივილიზებულ“ საზოგადოებამდე იყო დიდი ორწლიანი ომი, რომლის შედეგადაც განადგურდა დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი და ბოლო მოეღო „ბარბაროსობას“, რომელიც XX საუკუნემდე გრძელდებოდა.**

◀ თი პარტიელები და პროლეტარები). ხელისუფლება აკვირდება, დაცულია თუ არა პროპორცია სხვადასხვა ხარისხის ადამიანების რაოდენობას შორის, ზომბირებულებიც დიფერენცირებულნი არიან.

**„1984“-ში პროლეტარებს ბევრი რამის უფლება აქვთ, რადგან ისინი გადაშენების პირას არიან, აღარ შერჩათ ინტელექტი და მათი ქცევა აგებულია რეფლექსებზე, რომლებიც ადვილი ამოსაცნობია: „რომელ თვალსაზრისს უჭერენ მხარს მასები და რომელს არა, სულერთია. მათ შეიძლება მიეცეთ ინტელექტუალური თავისუფლება, იმიტომ, რომ მათ ინტელექტი არ აქვთ“.**

რომანებში „ჩვენ“ და „1984“-ში ხელისუფლება „მართებული“ ადამიანის შექმნაზე მოღვაწეობას ამატებს ძალას, **რადგან სრული გარანტია იმისა, რომ ადამიანი ხელისუფლების მიმართ ლოიალური იქნება და დააკმაყოფილებს „ახალი მსოფლიოს“ ანთროპოლოგიურ სტანდარტებს, არ არსებობს. რომანში „ჩვენ“ ადამიანების ქცევებს აკონტროლებს დაცვის ბიურო (პოლიცია და სპეცსამსახურები), რომან „1984“-ში — სიყვარულის სამინისტრო (აგრეთვე, პოლიცია და სპეცსამსახურები).**

რაც შეეხება **ოლდოს ჰაქსლის „საოცარ ახალ სამყაროს“, იქაც არის რეპრესიული აპარატი. წიგნში აღწერილია საზოგადოება, რომელშიც ხელისუფლება ეყრდნობა მხოლოდ „რბილ ძალას“. იქ ადამიანი უკვე აღარ იბადება დედის საშოდან. ის ფაბრიკული, კონვეიერული წარმოების პროდუქტია. ის გამოჰყავთ ბოთლიდან, რომელშიც ათავსებენ ადამიანის ემბრიონებს. თვითონ ემბრიონებს ქმნიან გენეტიკის მიხედვით, კვერცხუჯრედების ხელოვნური განაყოფიერებით.**

ჰაქსლის მსოფლიო სახელმწიფოში გენეტიკა უმაღლეს დონეზეა. ის, უწინარესად, შესაძლებლობას იძლევა, დაიყოს კაცობრიობა სხვადასხვა ჯგუფად გენეტიკურ კოდში განსხვავებების მიხედვით. მსოფლიო სახელმწიფოში ხდება კაცობრიობის დახარისხება მაღალი და დაბალი ხარისხის ტიპებად. მეორე — ის შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას ისეთი ადამიანები, რომელთა მსგავსიც ბუნებაში არ არსებობს. ეს განსაკუთრებით ეხება უმაღლეს ტიპებს, მათი ხვედრია, იყვნენ ხელისუფლების სათავეებთან და უხელმძღვანელონ ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიც არის ადამიანის წარმოება. უმაღლეს ტიპს ეწოდება ალფა.

**„საოცარ ახალ სამყაროში“ დანარჩენი 4 კასტა (ბეტა, გამა, დელტა, ეფსილონი) მოწოდებულია, მოემსახუროს ალფას. რა თქმა უნდა, ჰაქსლისთანაც კი, რომლის ნაწარმოებში აწყობილია ადამიანების კონვეიერული წარმოება გენური ინჟინერიის საფუძველზე, არ არის სრული გარანტია, რომ ადამიანიც ისე იმოქმედებს, როგორც მანქანა, ამიტომ გამოიგონებენ ნარკოტიკს, რომელსაც კორექტივები შეაქვს ადამიანის საქციელში. უფრო ხშირად ადამიანი თვითონ იღებს ნარკოტიკს, ცალკეულ ეკზემპლარებს კი, რომლებსაც არ სურთ, დაემორჩილონ „საოცარი ახალი სამყაროს“ სტანდარტებს, ხელისუფლება ეპყრობა „ჰუმანურად“ და მათ შორეულ ტერიტორიაზე გადასახლებაში გზავნის. არანაირი წამება, მკვლელობა (როგორც რომან „1984“-ში) თუ საჯარო დასჯები (როგორც რომანში „ჩვენ“).**




**აღწერილი სამი მოდელიდან არც ერთში არ არის ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტი. რომანში «ჩვენ» მამაკაცებსა და ქალებს შორის სექსუალური ურთიერთობები თავისუფალია, მაგრამ რეგულირდება. რეგულირების მიზანია, არ დაუშვან ხანგრძლივი და მდგრადი ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის, ეს სახიფათოა, შეიძლება ხელი შეუწყოს «იატაკქვეშა» ოჯახის შექმნას და ბავშვის არასანქცირებულ დაბადებას. რომან «საოცარ ახალ სამყაროში» სიყვარულის სრული თავისუფლებაა, მაგრამ მკაცრად არის აკრძალული ბავშვის ჩასახვა დედის საშოში. ეს დასაშვებია მხოლოდ «ქარხნის კონვეიერზე»! «1984»-ში აკრძალულია ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა თანაპარტიელთა შორის (პროლეტარებისთვის კი რეგლამენტი არ არსებობს)**

რომან „საოცარ ახალ სამყაროში“ კადრს მიღმა (მოვლენები ხდება 26-ე საუკუნეში) დარჩა საშინელი რევოლუცია, რომელმაც გაანადგურა ძველი ადამიანი და ის ადამიანის მსგავსი არსებით შეცვალა, ხოლო რომანში „ჩვენ“ მოვლენები ხდება რომანის დაწერიდან 12 საუკუნის შემდეგ. ჩვენ შევიტყობთ, რომ „ცივილიზებულ“ საზოგადოებამდე იყო დიდი ორწლიანი ომი, რომლის შედეგადაც განადგურდა დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი და ბოლო მოეღო „ბარბაროსობას“, რომელიც XX საუკუნემდე გრძელდებოდა.

**ჰაქსლის, როგორც ჩანს, დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა იმ საზოგადოებრივ წყობასთან, რომელიც აღწერა რომანში. მისი შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ მწერლისთვის, რომელიც ტოტალიტარიზმის გულწრფელი მოწინააღმდეგე გახლდათ, ეს იყო უტოპია და არა ანტიუტოპია, თუმცა, ჰაქსლის, ალბათ, მაინც აწუხებდა რაღაც და ეს იყო ის, რომ სათქმელი ბოლომდე ვერ თქვა:**

**როგორ აღმოჩნდნენ ადამიანები 26-ე საუკუნის „საოცარ ახალ სამყაროში“.**

მათ შეეძლოთ, იქ მოხვედრილიყვნენ მხოლოდ ადამიანებზე შეუზღუდავი ძალადობის შედეგად. უწინარესად, უნდა გაენადგურებინათ ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტები; მეორე — უარი უნდა ეთქვათ ბავშვის ჩვეულ ჩასახვა-გაჩენაზე და გენური ინჟინერიის გამოყენებით გადასულიყვნენ ადამიანის ფაბრიკულ კონვეიერულ წარმოებაზე (ფაქტობრივად, ევგენიკაზე); მესამე — შეექმნათ კასტური საზოგადოება და ხაზი გადაესვათ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში შექმნილი გულუბრყვილო წარმოდგენისთვის „თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ძმობაზე“; მეოთხე — თითოეულ კასტაში დაენერგათ ერთნაირობა; მეხუთე — ხალხისათვის შეეთავაზებინათ „სარფიანი გარიგება“: მიეცათ თავისუფლება სიამოვნების, პურის ნაცვლად, აგრეთვე, ცოდვის ჩადენის თავისუფლება.

ჰაქსლის ესმოდა, რომ მსგავს გარდაქმნებს რევოლუციური ნახტომებით ვერავინ განახორციელებს. მას გამოუვიდა მიუღწეველი უტოპია. და ამ უტოპიაში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ სასტიკი ძალადობით ადამიანზე, სისხლისმღვრელი ომით ან რევოლუციით. და გადაწყვიტა ჰაქსლიმ, რომ ყველაზე მოკლე, უსისხლო გზა „საოცარ ახალ სამყაროში“ იქნება ნარკოტიკების რევოლუცია. თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი მან მიუძღვნა არა მხოლოდ ასეთი რევოლუციის ფილოსოფიურ დასაბუთებას, არამედ პირადად მონაწილეობდა მის პრაქტიკულ რეალიზაციაში. ლაპარაკია მის კავშირზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტთან MK-ULTRA, რომელიც ამერიკელ ახალგაზრდობაში ნარკოტიკების გავრცელებას ითვალისწინებდა.

**21-ე საუკუნეში ჩვენ ვხედავთ იმის ნიშნებს, რომ მსოფლიო ელიტამ, კულისებს მიღმა საზოგადოებამ კვლავ გაიხსენა მომავლის მოდელი, რომელიც ასახულია რომან „1984“-ში. ეს არის ხისტი ვარიანტი, დაფუძნებული ძალასა და შიშზე.**

**ჰაქსლის მოდელიდან ორუელის მოდელზე გადასვლის პირველი ნიშნები საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები ბევრმა შეაფასა, როგორც სახელმწიფო ტერორიზმის ამერიკული პოლიტიკა. ბინ ლადენის ეფემერული დაჯგუფებისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროშით ვაშინგტონმა გლობალური ტერორიზმის კამპანია დაიწყო და სწორედ ეს არის საყოველთაო შიშის ატმოსფეროს შექმნის მეთოდი.**

2020 წელს მსოფლიო ელიტამ, კულისებს მიღმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, კაცობრიობისთვის ეგემებინა შიშის ახალი ულუფა სახელწოდებით კოვიდ-19. არსით ესეც გლობალური ტერორისტული ოპერაციაა. ჯორჯ ორუელის რომანში „არასწორი“ ადამიანების ხელახლა აღზრდა-გადაკეთებას წამების გზით ახორციელებენ სიყვარულის სამინისტროში. 2020 წელს კულისებს მიღმა საზოგადოებამ შეძლო, „შინაპატიმრობაში“ ემყოფებინა დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ამასთანავე, ზრდიდნენ შეშინებულ და ნიღაბაფარებულ ადამიანებს, რომლებსაც „სწორად“ ქცევას ასწავლიდნენ. ახლა კარანტინს თანდათან აუქმებენ, მაგრამ „აღზრდისა“ და „სწავლების“ კვალი დიდხანს დარჩება ან შეიძლება დარჩეს სამუდამოდ. ფულის პატრონები ადამიანებს „საოცარი ახალი სამყაროსთვის“ ამზადებენ.




**როგორ აღმოჩნდნენ ადამიანები 26-ე საუკუნის „საოცარ ახალ სამყაროში“: მათ შეეძლოთ, იქ მოხვედრილიყვნენ მხოლოდ ადამიანებზე შეუზღუდავი ძალადობის შედეგად. უწინარესად, უნდა გაენადგურებინათ ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტები; მეორე — უარი უნდა ეთქვათ ბავშვის ჩვეულ ჩასახვა-გაჩენაზე და გენური ინჟინერიის გამოყენებით გადასულიყვნენ ადამიანის ფაბრიკულ კონვეიერულ წარმოებაზე (ფაქტობრივად, ევგენიკაზე); მესამე — შეექმნათ კასტური საზოგადოება და ხაზი გადაესვათ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში შექმნილი გულუბრყვილო წარმოდგენისთვის „თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ძმობაზე“; მეოთხე — თითოეულ კასტაში დაენერგათ ერთნაირობა; მეხუთე — ხალხისათვის შეეთავაზებინათ „სარფიანი გარიგება“: მიეცათ თავისუფლება სიამოვნების, პურის ნაცვლად, აგრეთვე, ცოდვის ჩადენის თავისუფლება**

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული ვალენტინ კატასონოვის მასალის მიხედვის მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარივით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# თუ თავს თვითონვე არ მივხედეთ, «ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის-გული»

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს, მისი ცხოვრების მდინარე ბევრჯერ დამშრალა და შევსებულა. ბოლოს კი უცხო ძალას „შური, მტრობა და ლალვა“ გაუღვივებია ქვეყანაში, შედეგად, მდინარის ნაპირები მორღვეულა და ზვირთნი „სხვადასხვა ტოტად გადაგდებულან“.

ბატონო ევრონაცებო და ძმანო მათნო!

„ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება“. ჰოდა, მისი წყალობით ხალხს ყველა თქვენი „საქმენი საგმირონი“ ახსოვს, აი სწორედ ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ამომრჩეველს და გზას უჩვენებს, „ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს“.

გვახსოვს, 2013 წლის ოქტომბერში ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში აღშფოთებული რომ იყო — საქართველოს თავს იგივე ხდება, რაც ნაციონალების პერიოდშიო. „იგივე სახეები, იგივე კანონი, იგივე სიები, იგივე ფული, იგივე კარუსელი, იგივე მკვდარი სულები... ერთი განსხვავებაა, სააკაშვილისა და შევარდნაძის დროს გაყალბება იყო ცენტრალიზებული, ახლა ეს მანქანა დაიშალა და ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოაწყო ახლის აწყობა. აი, შეიძლება ხალხმა ამით ისარგებლოს და ჩვენ მოვიპოვოთ გამარჯვება, თუმცა, ვიმეორებ, ეგენი სიამის ტყუპები არიან, სხეული ერთ აქვთ, თავები აბიათ სხვადასხვა“, — შალვას, როგორც ჩანს, მეხსიერება ღალატობს და არც ბურჯანაძის მიმართ ნათქვამი ეს ფრაზა ახსოვს: „ეს ის ბურჯანაძეა, რომელმაც თავის დროზე ჩემი მოკვლის მცდელობა „გააპრავაო“... არც ბურჯანაძეს უგრძვნია თავი უხერხულად შალვას ქარვასლასა თუ ფანჩატურში.

ერთი სიტყვით, ყველამ „დაივიწყა“ ძველი წყენა, მერე კი ერთ გუნდად შეიკრნენ მიშასთან და გრიშასთან ერთად და „გაერთიანებული ოპოზიცია“ დაირქვეს. თუმცა საქმე ისე წაუვიდათ, როგორც უნდა წასვლოდათ — მომავალ არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატების შერჩევაში მონაწილე ოპოზიციური პარტიების რაოდენობა დღითიდღე მცირდება. საერთო მაჟორიტარების პროექტიც ჩავარდა. ოპოზიციურ სპექტრს გამოეყო ირაკლი ოქრუაშვილის „გამარჯვებული საქართველო“ და ის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარობის კანდიდატების დამოუკიდებლად წარდგენას აპირებს. უფრო ადრე მაჟორიტარობის ერთიანი კანდიდატების შერჩევის პროცესიდან გასვლის შესახებ ღიად განაცხადა მოძრაობამ „ლელო საქართველოსთვის“. თუმცა მოგვიანებით მაჟორიტარობის ერთიანი კანდიდატების შერჩევის საკითხზე კონსულტაციები არც დანარჩენებისთვის აღმოჩნდა ხელსაყრელი.

კიდევ ბევრ რამეს ნახავს საზოგადოება არჩევნებამდე, როგორ დაბრდღვნიან ერთმანეთს ძალაუფლებისთვის, რადგან მათ, ყველას, აქვთ უაზრო პრეტენზია პირველობაზე და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერს კადრულობენ, ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვა კი ისევ განზე დარჩება.

მოდი ისევ სულმნათ ილიას მოვუსმინოთ, ამჯერად 1879 წლის მეოთხე შინაურ მიმოხილვას შემოგთავაზებთ. რატომ მაინცდამაინც 1879 წლის? იმიტომ, რომ ეს იყო მოუსავლიანი წელიწადი, რომლის გადატანა არც თუ ისე ადვილი იყო. დღეს, როდესაც მსოფლიოს პანდემიასთან ერთად უწევს თანაარსებობა, ბუნებრივია, ცხოვრება ჩვეული რიტმით ველარ მიდის. ეს დაეტყო ეკონომიკასაც, სავარაუდოდ, წლეულს ადამიანებს შიმშილიც დაემუქრება, ამიტომ ჩვენ, გვინდა თუ არა, თავს თვითონვე თუ არ მივხედეთ, „ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის-გული“, რადგან „ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“.



**«მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე — აწონილი, ერთის სიტყვით, ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა»**

„შინაურის მხილველობისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით; რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ, თქვენის საკუთარის ჭკუის შუქით გაანათოთ. ერთის სიტყვით, **ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ.** ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპან-წყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის საღერღელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთამხუთავსავით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძაფები დასძარიო და ამის პასუხი მომეციო. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს, რომ სხვათა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არას-გზით არ მიუდგებოდეს, სხვის აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს.

ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ, **მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძესიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე:**

**მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავად არ ვიქნები. ასე მოსდით ბევრს ჩვენგანს, როცა ძალაუნებურად მოახედებ ხოლმე მათს მაღალ მსვლელობას შინაურს საქმეებზედ.**

... ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან **მეხსიერება.** აი ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკითხველს მწერალსა და გზას უჩვენებს, ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს. მაშინ დაიძვრის ხოლმე მეხსიერების სიღრმიდამ ყოველივე ნაგავი, რაც გაზეპირების ქარს და წაღმა-უკუღმად წიგნის კითხვისას ოდესმე მოუბუქავს, ენაზედ მოაყოლებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს და მწერალიც მოაყოლებს რახუნსა. დაირად ხმარობს საკუთარს გოგრას, ჟღარუნებად კიდევ ამისთანა სიტყვებს: „ეკონომიური თანასწორობაო, კულტი, მისტიკა“ და სხვას ამის მსგავს შიგნითტიკურს ფრაზებსა, მითამ-და მეც ნახირნახირო. არახუნებს და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დანთხეულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო. ბატონო, ეგ ხომ ვიცით, გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის! შენც არ მამიკვდე, იმან თავისი არ დაიშალოს. ან რა ქნას, რომ მეხსიერება ყურში მარტო ამ დიაკვნურად გაზეპირებულს სიტყვებს ჩასძახის. საკვირველი ეს კი არ არის, ისაა საკვირველი, რომ ეს უჯათი და დაჟინებული ექიმბაში თავის ჭკუის ხალხსაც პოულობს დედამიწის ზურგზედ და გულის ფრიალის მოსარჩენად წყალით იჟენთებიან.

**...თითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკითხოს და შენ პასუხი აძლიო? ჩვენი ცხოვრება ზურგგადაღლეტილ და დავარდნილ სახედარივით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება**, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო.

დასაწყისში რომ ვახსენე ჩვენი შინაური საქმეები, იმ სახით ვახსენე, რომ კაცს ეგონება, ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო, მაგრამ იქ ჩვენ ვიგულისხმეთ ის დიდად იშვიათი შემთხვევა, ის ათასში ერთი მაგალითი, როცა ჩვენი ცხოვრება რაიმე ღირსშესანიშნავს საგანს მოიგდებს ხოლმე თვის ზედაპირზედ. უამისოდ არ იქნება, ზოგჯერ სასწაულიც მოხდება ხოლმე. ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავსმოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭიაჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ქმნას? ჭია-ჭუებს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს, — ეგ ერთხელ, ორჯერ კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ მუდამ კი ღმერთმა შეინახოს, მოსაბეზრებელია, მოსაწყენია, — კაცს ყოველს სურვილს კითხვისას მოუკლავს. ამ სახით, გარდა ამისა, რომ ჩვენებურს მწერალს თვითმსჯელობა არ განუვითარებია, მეორე დაბრკოლება აი რაშია: საგანი არ არის გარშემო, რომ მწერალმა მასზედ შეაჩეროს თვისი გონების თვალი და მკითხველის ყურადღება.

... ვსთქვათ, მოგივიდათ ჟინი, რომ ერთი კარგი საქმე რამ დაიწყოთ. ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებს. ვსთქვათ, მოგივიდათ ჟინი-მეთქი. ყველაზედ უწინარეს ერთი კარგი, ნათხოვარის ცეცხლით გახურებული სიტყვა უნდა გაიზეპიროთ, მერე მოიწვიოთ ერთს ადგილს მოცლილი ხალხი — ღმერთმანი, ცოტანი არიან — იმ გახურებულის სიტყვით ყური გამოუჭედოთ და როცა სიტყვა საქმეზედ მივა, — ხომ ოდესმე უნდა მივიდეს — მაშინ... ოხ, მაშინ, თუმცა მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავთ საკუთარს თავსა, რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ და აქ კი საქმის გაკეთებაც სდომებია, მაგრამ მაინც არა შიშობთ. ხაფანგი ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან...

ტაშს დაუკრავენ ორატორებსა, მერე ისეთის სისწრაფით გამოცვივიან გარეთ, თითქო სახლს ცეცხლი წაეკიდაო, და მადლობას სწირავენ ღმერთს, რომ ამით გადავრჩითო...

* * *

აი, რა-რიგად ჭკვიანურად და საქმიანად მოიქცა ერთი ჩვენებური საზოგადოება, რომელიც კარგა ხანია ჩვენში მოქმედობს. ვინ არ იცის, რომ წლევანდელი წელიწადი დიდს მუქარას გვითვლის და ამ მუქარამ ლამის დღესაც ურიცხვი ხალხი სასოწარკვეთილებას მისცეს.

**წლევანდელი წელიწადისთანა უმოსავლო წელიწადი ხშირი არ არის ხოლმე ჩვენში.** რაც მუდმივმა მიზეზებმა დააკლეს წლევანდელ წელიწადსა, ის შეამთავრა შარშანდელმა საქონლის ჭირმა, რომლისა გამო უხნავ-უთესად დარჩა მრავალი ხალხი, წლევანდელმა კალიამ, თაგვმა და ნაცარმა. თითქმის მთელს ჩვენს გუბერნიაში, და გუბერნია რა სათქმელია, თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაში, ამ მუდმივმა და ფათერაკად მოსულმა მიზეზებმა სულ ძირს დასცეს წლევანდელი ჭირნახული მიწისა თუ ვენახისა. ბალახიც კი აღარ არის, რომსაქონელი გამოიკვებოს. ჯერ რა დროა გასული და მაინც კოდმა პურმა ხუთ მანეთამდე აიწია, ფუთმა თივამ ტფილისში ათ შაურამდე და სამ აბაზამდე, ბზეც კი ადგილობრივ ურემი ერთს თუმანზედ და თორმეტ მანეთზედ სოფლადაც ძლივს იშოვება, — წინა წლებში ორი-სამი მანეთი რომ ▶

**საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს, მისი ცხოვრების მდინარე ბევრჯერ დამშრალა და შევსებულა. ბოლოს კი უცხო ძალას „შური, მტრობა და ლალვა" გაუღვივებია ქვეყანაში, შედეგად, მდინარის ნაპირები მორღვეულა და ზვირთნი „სხვადასხვა ტოტად გადაგდებულან".**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


სისხლიანი 7 ნოემბერი


ევრონაცების აქცია


სისხლიანი 26 მაისი


გაერთიანებული ოპოზიცია


ნაწამები სულხან მოლაშვილი

## ბატონო ევრონაცებო და ძმანო მათნო! «ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება». ჰოდა, მისი წყალობით ხალხს ყველა თქვენი «საქმენი საგმირონი» ახსოვს, აი სწორედ ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ამომრჩეველს და გზას უჩვენებს, «ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს»

◀ ყოფილიყო, ეგეც დიდი საქმე იყო. ერთის სიტყვით, ამისთანა მუქარით ბევრი წელიწადი არ დასდგომია ჩვენს უამისოდაც უბედურს ქვეყანასა. ეს დასაწყისია და ახლანახეთ, შუა და ბოლო რა იქნება, ნამეტნავად საწყალ ხალხისათვის. ეს უბედურება საწყალის ხალხისა წინათ-უგრძვნია ერთს გულშემატკივარს აქაურს რუსულ საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან: Общество бережливости.

და კაცმა მართალი უნდა სთქვას, კარგად და ოსტატურად ჩაუკიდნია ხელი, რომ სატკივარს რაიმე წამალი დასდოს. ერთს იმათგანს პროექტიც ხელ-დახელ გამოუცხვია და სადაც ჯერ არს წარუდგენია. რასაკვირველია, ეს ბატონი პროჟექტორი ჯერ უქებს ამ საზოგადოებას პატიოსანს მოღვაწეობას, ვაჭრობაში გამოცდილებას და გვარწმუნებს, რომ ამ საზოგადოებამ დიდი სარგებლობა მოიტანაო თავისის მოქმედებითაო ამ ცხრა წელიწადშიო. მოდი და ნუ დაიჯერებთ. მაგრამ ისევ-ისე იმათი თავისიანი ვალაპარაკოთ ამ სასაცილო პროექტზედ, თორემ ჩვენ მუხანათობას შეგვწამებენ და ეხლანდელ დროში ეგ დიდად საფრთხილოა. აი, რას ამბობს ამ პროექტზედ ჩვენი ყოველთვის წარბშეკრული რუსული გაზეთი „კავკაზი". თუ ამ პროექტს ამისთანა გაზეთისათვისაც დაცინების საღერღელი აუშლია, წარმოიდგინეთ, რა წითელი კოჭი უნდა იყოს. „პროექტიო, — ამბობს გაზეთი, — ბევრს არას გამოსდგომიაო. იგი თხოულობს მთავრობისაგან, მაგალითად, მარტო ათი-ათას თუმანს სესხად ერთის წლის ვადით უსარგებლოდ. ჭევრნი საზოგადოებისანი ამ ფულით საკუთარს, განგებ ამისათვის, ფურნეს დასდგმენ, დაიწყებენ პურის ცხობას და გამომცხვარს პურს მიჰყიდიან იმ ფასად, რაც თითონ დაუჯდებათ, არამც თუ მარტო საზოგადოების წევრთა, არამედ სხვასაც, ვინც კი მოინდომებს, რომ მათგან პური იყიდოს. პური რომ უფრო გემრიელი იყოს, დაიბარებენ მოსკოვიდან ფილიპოვისაგან ერთს, ანუ ორს კარგად გამოცდილს ხაბაზსა. რადგანაც ეს პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოცხადებულია, ჩვენც ვბედავთ, ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ამ საზოგადოებას მის პროექტის თაობაზედ. ყველამ კარგად იცის, რომ Общество бережливости, ეგ პატიოსანი და გამოცდილი საზოგადოება, რომელსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ასეთი დიდი სარგებლობა მოჰქონდა (ნეტავ ვისთვის?), — თავის საქონელსა ჰყიდდა ყოველთვის იმ ფასად, როგორც სხვა ტფილისის დუქნებში იყიდებოდა და ხანდახან უფრო მეტადაც. თუ ეს საზოგადოება თავის გამოცდილ პატიოსნების გზას დაადგება, რასაკვირველია, სახელმწიფო ფულით ნასყიდ პურის გასყიდვაშიაც იმ ფასს დასდებს, რა ფასიც სხვა დუქნებში იქნება და იტყვის, ეს დამიჯდაო. ამით მითამ რა უნდა ეშველოს ღარიბ ხალხსა? მოდით და უთხარით ამ-გვარად მოარულს პატიოსნებასა, რომ მაგ ფასად არ დაგჯდომია-თქო. ან **ვინ უნდა მოსთხოვოს ანგარიში გამოცდილ ვაჭრობის საქმეში მოჭირნახულეებს?** ისე გარეშე მუშტარს ხომ არ მიუშვებენ, და მთავრობის მხრით ამისათვის კამისიის დაწესებას ხარჯი უნდა და ეს ხარჯი გასასყიდს პურს უნდა დააწვეს და ამით უფრო ფასი მოემატოს. მერმე, ღარიბს ხალხს განა ოდესმე სურვილი გამოუცხადებიათ, რომ არა, გინდათ თუ არა, უსათუოდ ფილიპოვის, ანუ მისის ვექილის გამომცხვარი პური უნდა მაჭამოთო. ამას გარდა ვინ არ იცის, რომ ტფილისში პურის მცხობი ბევრია. სხვა რამა სთქვით, თორემ პურის-მცხობლების ნაკლეობაზედ ტფილისი ვერ იჩივლებს. მაშასადამე, ხარჯი ფილიპოვის პურის-მცხობლების მოწვევისათვის სრულებით უსაბუთო და მეტი იქნება". — კიდევ სხვას რასმე უწუნებს გაზეთი იმ პროექტს, მაგრამ ჩვენთვის ეგეც სამყოფია.

**ვაი, ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დავიბაროთ ხოლმე. ქვეყნის გაბიაბრუება და გაბრიყვება იქნება და ასეთი!.. მოდი და ამისთანა ხალხს დაუჯერე, რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელიწადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდეს, რომ აქ პურის-მცხობლები არიან, და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ სასაცილო ამბავი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნეთაგან — თუ არ დაგიშლიათ — სიკეთე და სარგებლობა მოითხოვეთ. მოდი და ამათ ეშხზედ ელაპარაკეთ!** მოსკოვიდან ხაბაზები დავიბაროთო? ჭკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა ამათ სად მოგვიანებიათ, რომ ვერ მოუსწრიათ. თუ მკითხავთ, ჭკვაზედაც თხლად არა ბრძანებულან. ათი-ათასი თუმანი კაი ლუკმაა. პირში გემო კი ჰქონიათ, თუ თქვენც იტყვით, მკითხველო! ის ხაბაზის დაბარება იქნება ამ ათი-ათასის თუმნის ეშხით წასცდათ როგორმე. ან იქნება წამომცდარი სიტყვაც არ იყოს. იქნება ცივილიზაციის გასავრცელებლად ამ მხეცს ქვეყანაში მოსკოვის ხაბაზებიც საჭირო იყოს...

ხომ გახსოვთ, რომ შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზედ არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა, რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის ერთი საერთო კასსა გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად, ან სხვა რაიმე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ — სოფლის ბანკებისათვის, სოფლის შკოლებისათვის, თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად, ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა. როგორც გვახსოვს, თითო ცხენი რომ სამ-სამ თუმნად მაინც ჩაგეგდოთ, კარგა დიდი ფული შედგებოდა. მაგრამ ცხენების ფულად ქცევა უარჰყვეს და ისევ ცხენების ცხენებად დარიგება ირჩიეს. იცით — რა საბუთიანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ასე ჰქნეს, და იქიდამ, საიდამაც კაი ზომიერი სარგებლობა შესაძლო იყო, არა გამოვიდა რა? მიზეზი ის იყო, რომ მაგ ცხენებს ერთი მძიმე ტვირთი ზურგთ აჰკიდეს: ცხენებით უნდა ჩვენში ცივილიზაცია ფეხზედ წარმომდგარიყო; ყველას იმედი ჰქონდა, რომ თუ გლეხკაცობა იმ ცხენების მიზეზით ეკიპაჟებს არ გაიმართავდა, ფურგონებს, პოვოზკებს და სხვა ამისთანა ცივილიზაციისაგან მოგონილს სატარებელთ წინ რაღა დაუდგებაო. დიახ, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ცხენების მეოხებით ის ტლანქი, ბრიყვული, ჩვენებური ჭრიჭინა ურემი უკან დადგება და გზას დაუთმობს ფურგონს და პოვოზკასა. თქმა არ უნდა, რომ ბევრგან იმ ცხენებმა — კარგია, პირუტყვები არიან, თორემ შენი მტერი — გლეხამდი არ მიაღწიეს და არც ფურგონები და პოვოზკები დაიმართა. ამ-გვარად, ამ ოთხ-ფეხმა ცივილიზაციის მოწინავე ჯარმა ჩვენში ვერ გასჭრა და ცხენმაც, ადამიანზედ უფრო მხნემ, უფრო ღონიერმა ცხენმაც კი ვერა გააწყო რა ჩვენში. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ ოთხი ორზედ უმჯობესია, — რასაკვირველია, როზგისა და სხვა ამ-გვარის გარდა — მაშ ცხენები ადამიანზედ ამით მაინც წინ არიან. ერთის სიტყვით, ამისთანა ძლიერმა ცხოველმაც, როგორც ცხენია, ცივილიზაციას ჩვენში ფეხი ვერ აადგმევინა. ეს, რასაკვირველია, ჩვენის ხალხის მეტად ტანში გამჯდარს სიბრიყვეს უნდა მიაწეროს კაცმა და სხვა არაფერს და, მგონი, ცხენების დამრიგებლებმა სწორედ ამ უჯათს სიბრიყვეს დააბრალეს ყოველიფერი და არა იმას, რომ ცხენები ვერაფერი პიონერები არიან ცივილიზაციისა.

თუ ცხენს ამისთანა იმედს ჰკიდებენ ჩვენში ზურგზედ, მაშ რაღად უნდა გვიკვირდეს, მაშ რაღად უნდა გვეოცოს, რომ ვიღაც ბატონმა ლებედიევმა — ზემოხსენებულ პროექტის შემადგენელმა — ხაბაზების დაბარება მოსკოვიდამ დააპირა. ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია. ჯერ ხომ ცხენები სინჯეს და ნახეს, — რომ ჩვენი სიბრიყვე ვერ მოტეხეს. ეხლა კიდევ მოსკოვის ხაბაზებს გამოსცდიან, იქნება ამით მაინც ეშველოს ჩვენში ცივილიზაციის გავრცელებას. უსათუოდ ბატონს ლებედიევს ეს აზრი ჰქონია, რომ დაუპირებია მოსკოვის ხაბაზებით დაამშვენოს ჩვენი ქვეყანა, თორემ როგორ გაუბედავდა, სთხოვოს მთავრობას ათი-ათასი თუმანი, ხუმრობა ფულია? ხუმრობა ფული არ არის, მაგრამ განა ცივილიზაცია კი ხუმრობა რამ არის! ბატონმა ლებედიევმა უსათუოდ ზედმიწევნით იცის, რომ ცივილიზაციის დასამყარებლად არა ხარჯი მეტი არ არის, რაც უნდა ფული დაიხარჯოს, — ბევრი არ იქნება.

**...ცუდი არ იქნება, რომ ჩვენმა ბანკებმაც ფული მიაშველონ ბატონს ლებედიევს, რომ კალიასავით მოუსიოს ჩვენს ქვეყანას მოსკოვის ხაბაზები. რაკი ცივილიზაციის საქმე ცხენებზედ და ხაბაზებზედ მივარდნილა, ეხლა ფიქრი ნურავისა გვაქვს. ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის-გული. მაგრამ ვაი თუ ხაბაზები მოსკოვისა გაგვინაზდნენ და არ წამოვიდნენ! ნუ გეშინიანთ, პირში გემო ხომ არ დაჰკარგვიათ, რომ ეგა ჰქმნან. ვაი ჩვენი ბრალი! დაბრიყვება ქვეყნისა იქნება და ასეთი!.."**

**1879 წელი,**
**ივლისი-აგვისტო, IV**
**შინაური მიმოხილვა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

## მგზავრმა ტაქსისტს მიაფურთხა და კორონავირუსი შეჰყარა



**ლონდონში ასეთი უცნაური ქცევით კოვიდ-19-ით დაავადებული ტაქსისტი გარდაიცვალა, — იუწყება გაზეთი Mirror.**

ტაქსის მძღოლმა დაკვეთა შეასრულა და მგზავრი სტრატფორდის რაიონში მიიყვანა, მაგრამ მან მომსახურების საფასური არათუ არ გადაუხადა, არამედ სახეში შეაფურთხა და მიაძახა, რომ კორონავირუსით არის დაავადებული და ტაქსისტსაც ეს ბედი ელის.

61 წლის ტაქსისტი რამდენიმე დღეში საავადმყოფოში მოათავსეს საშინელი დიაგნოზით. სამი კვირის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

მგზავრის ვინაობა ვერ დაადგინეს. გარდაცვლილის დაკრძალვის ფული მისმა ნათესავებმა და ახლობლებმა შეაგროვეს.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## პოპვარსკვლავი, რომელიც 10 წლის განმავლობაში დუმდა თავის გაუპატიურებაზე, ალაპარაკდა

**ბრიტანელმა მომღერალმა ეიმი ენ დაფმა, რომელსაც „ახალ ემი უაინჰაუსს“ ეძახდნენ, გადაწყვიტა საზოგადოებრიობისთვის ეამბნა ყველაფერი, რაც თავს გადახდა.**



35 წლის პოპვარსკვლავი, რომელიც მუსიკალური სფეროდან რამდენიმე წლის წინათ გაქრა, თავის ვებგვერდზე მოგვითხრობს ამის მიზეზს. ის ბოროტმოქმედებმა გააბრუეს აკრძალული პრეპარატებით და გაიტაცეს. ჩასვეს თვითმფრინავში და რომელილაც სასტუმროში მიიყვანეს. ნომერში მიჰყვა კაცი, რომელმაც ნამუსი აჰხადა ვარსკვლავს. მომღერალმა ის დღეც მოძალადესთან გაატარა და მასთან ერთად დაბრუნდა დიდ ბრიტანეთში. გაქცევაზე არც უფიქრია, რადგან ბოროტმოქმედი მოკვლით ემუქრებოდა. ბოლოს, როცა შეძლო ტყვეობისგან თავის დაღწევა, დაფიმ დაძლია შიში და მიმართა პოლიციას. გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო დეპრესიისა და სუიციდის განხორციელებაზე ფიქრის დაძლევა. საბოლოოდ თავის ფსიქოლოგს გაუმხილა ყველაფერი. „ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე გავხდები ისეთი, როგორიც ვიყავი“, — აღნიშნა მომღერალმა.

## გერმანიის პოლიციამ 11 ადამიანი ბავშვების გაუპატიურების ბრალდებით დააპატიმრა

**მიუნსტერის პოლიციამ 11 პირი სამი ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით დააპატიმრა, — იუწყება გერმანული გამოცემა Berliner Zeitung-ი.**

პოლიციის მონაცემებით, ეჭვმიტანილებმა იძალადეს ხუთი, ათი და თორმეტი წლის სამ ბავშვზე. დანაშაულში თანამონაწილეობისთვის დაპატიმრებული 11 ადამიანი გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდანაა, მათგან შვიდს წინასწარ პატიმრობა აქვს მისჯილი.

პოლიცია იუწყება, რომ ოთხი მამაკაცი რამდენიმე საათის განმავლობაში აუპატიურებდა ორი, ხუთი და ათი წლის ბიჭებს მთავარი ეჭვმიტანილის ფანჩატურში. ამასთანავე, ეჭვმიტანილები კამერით იღებდნენ გარყვნილების ზოგიერთ მომენტს.

გამომძიებლებმა გაუპატიურების უტყუარობა კონფისკებული დისკის მეშვეობით დაადგინეს. საოცარი ფაქტია: ყველა ბავშვი ბოროტმოქმედთა ახლო ნათესავია. პოლიცია იუწყება იმასაც, რომ მოძალადენი სექსუალური აქტის ჩადენამდე ბავშვებს წამლებით აძინებდნენ.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის პოლიცია 2018 წლიდან იძიებს ბავშვთა პორნოგრაფიის ჩანაწერების წყაროებს, რომლებიც ინტერნეტში ვრცელდება. გამოძიებამ დაადგინა, რომ არსებობს ქსელი პედოფილების, რომლებიც ძალადობდნენ ბავშვებზე და ამ ვიდეოჩანაწერებს ურთიერთშორის ავრცელებდნენ. რამდენიმე ასეთი ფაქტი დადასტურდა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ფედერალურ მიწაზე. მაშინ სამართალდამცველებმა დააკავეს რამდენიმე პედოფილი, რომლებმაც კემპინგზე რამდენიმე წლის განმავლობაში ასჯერ იძალადეს ბავშვზე.

## უკრაინაში პოლიციელებმა სცემეს და გააუპატიურეს დაკავებული ქალი

**ეს მოხდა კიევის ოლქის ქალაქ კაგარლიკში. ადგილობრივმა სამართალდამცველებმა 26 წლის ახალგაზრდა ქალზე იძალადეს.**



მას შემდეგ, რაც ეს სკანდალური სიტუაცია გამჟღავნდა, პოლიციელები დააკავეს, ქვედანაყოფი, რომელშიც ეს დანაშაული მოხდა, გააუქმეს.

უკრაინის ეროვნული პოლიციის პრესსამსახური იუწყება, რომ 24 მაისს პოლიციამ მიიღო ინფორმაცია 1994 წელს დაბადებული ქალის გაუპატიურების შესახებ, რომელიც ადგილობრივ საავადმყოფოშია მოთავსებული.

ეროვნული პოლიციის უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველადი შემოწმებით დადგინდა, რომ ეს დანაშაული ჩაიდინეს პოლიციის თანამშრომლებმა ქურდობაში ეჭვმიტანილი ქალის წინააღმდეგ.

პოლიციის განყოფილების ორი თანამშრომელი დააკავეს. ამჟამად ისინი მოთავსებულნი არიან დროებითი დაკავების იზოლატორში.

უკრაინის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელმა **იგორ კლიმენკომ** სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან გაათავისუფლა განყოფილების ხელმძღვანელობა.

## გაუკუღმართებულთა ეპოქა დადგა

## საფრანგეთში პედერასტების კრიტიკა აკრძალეს

**თავისუფლება სულ უფრო წარსულის გადმონაშთად ყალიბდება. ეს, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთზე ითქმის, სადაც ნებისმიერი განცხადება პედერასტებზე, ფემინისტებზე ან ქალისთვის კომპლიმენტის გაკეთება დაჯარიმების ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი შეიძლება გახდეს.**



მაისის შუა რიცხვებში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ინტერნეტში სიძულვილის გაღვივების დაუშვებლობის შესახებ. კანონპროექტს პრეზიდენტი მაკრონი აუცილებლად მოაწერს ხელს, რადგან მისი (კანონის) მიღების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. კანონპროექტი მიიღეს, ძირითადად, მაკრონის პარტიის დეპუტატებმა და ლიბერალებმა, სოციალისტებმა თავი შეიკავეს. წინააღმდეგი იყვნენ მხოლოდ „ეროვნული ფრონტი“ და ეული კომუნისტები. როგორც კი კანონი ძალაში შევა, ყველა, ვინც მხარს არ დაუჭერს „ევროპულ ღირებულებებს“ და ამასთანავე მაკრონს, როგორც ამ ღირებულებათა დამცველს, დაჯარიმდება 15 000 ევროთი ან ციხეში ჩაჯდება ერთი წლით, ხოლო ვებგვერდი და სოციალური ქსელი, რომელიც უარს იტყვის „გამაღიზიანებელი“ გამონათქვამების პუბლიკაციიდან ამოღებაზე, დაჯარიმდება 1,25 მილიონი ევროთი.

ამ დოკუმენტის დეტალურ განხილვას თავი რომ დავანებოთ და დასკვნით შეფასებაზე გადავიდეთ, იძულებულნი ვიქნებით, ვთქვათ, რომ **ეს დოკუმენტი არის გარყვნილთა და გაუკუღმართებულთა ტოტალური დიქტატურის დაკანონების დასტური; კანონი, რომელიც, სიმართლისა და დიალოგის ნაცვლად, არის უმცირესობის კანონად ჩამოყალიბებული აზრისა და მოთხოვნების დემონსტრაცია.**

ენის მიმტანებს „უმცირესობიდან“, თავი რომ არ შეიწუხონ არგუმენტების ძებნით, კანონი საშუალებას აძლევს, გამოიყენონ საჩივრის შეტანის „ელექტრონული ფორმა“ ან ინფორმაციის მიწოდების სხვა საშუალებანი.

„სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის მთქმელი“ მედიასაშუალებები, რომლებიც არ გასცემენ ინფორმაციას „არაკანონიერი კონტენტის“ გამომქვეყნებელი პირების შესახებ, გადაიხდიან ჯარიმას 250 ათასი ევროს ოდენობით. თუ ვებგვერდი უარს იტყვის „არაკანონიერი მასალების“ წაშლაზე დადგენილ ვადებში, ჯარიმა 1,25 მილიონ ევრომდე გაიზრდება.

დიდი ფული ტრიალებს პედერასტების დამცავ სისტემაში. ფული, როგორც ცნობილია, ხელის მოთბობის საშუალებაც არის.

ვინ მიუჯდება ამ ახალ კოცონს, მალე შევიტყობთ.

## საფრანგეთში ქალაქის მერად ტრანსგენდერი აირჩიეს



**ეს გამორჩეული ქალაქია ტილუა-ლეს-მარშიენი, — იუწყება La Voix du Nord.** ტრანსგენდერი ქალი კი **მარი კოა,** რომელსაც მუნიციპალიტეტის 14-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ზოგმა მხარდამჭერმა განაცხადა, რომ ამ 55 წლის ყოფილ ნაქალბატონარს მხარი დაუჭირა არა იმიტომ, რომ ტრანსგენდერია, არამედ იმიტომ, რომ მოეწონა მისი პროგრამა.

ლაპარაკია ჩინეთში ადგილობრივი და გერმანელი ფირმების იძულებით მოცდენებზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ბრუნვის შემცირებაზე მეზობელ აზიურ ქვეყნებთან, კრიზისზე ტურისტულ სფეროსა და საცალო ვაჭრობაში. ჩინეთისა და გერმანიის ხელისუფლებების მიერ დაწესებულმა საკარანტინო შეზღუდვებმა დაარღვია შესანიშნავად გამართული მიწოდებების ჯაჭვი. ამის გამო ძალიან იზარალეს ჩინეთში მოქმედმა გერმანულმა ფირმებმა, აგრეთვე, კომპანიებმა გერმანიაში, რომლებიც ჩინელი მიმწოდებლებისგან იღებდნენ ნედლეულსა და სათადარიგო ნაწილებს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ევროპა გაკოტრებების ტალღის მოლოდინში

## ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, მდიდრები კი გამდიდრდებიან



**იტალიურმა გამოცემა Il Giornale-მ გამოაქვეყნა სიმბოლური ფოტო: მილანის ცენტრალურ მოედანზე სოციალური დისტანციის დაცვით კუბოს მაკეტის გვერდით დგანან გაფიცული ნიღბიანი ტაქსისტები. კუბოს აწერია: „Taxi“. ასე გამოხატეს პროტესტი იტალიელმა ტაქსისტებმა კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული მასობრივი გაკოტრების წინააღმდეგ. მსგავსი ვითარებაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც.**

ფრანგული **Le Monde** რამდენიმე დღის წინათ წერდა, რომ ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო წლის მეორე ნახევარში მკვეთრად მოიმატებს გაკოტრების შემთხვევები. კრედიტების დამზღვევი **Coface**-ს კვლევის შედეგების მიხედვით, რომელზეც მიუთითებს გაზეთი, **2021 წლის ბოლოს საფრანგეთში გაკოტრებების რაოდენობა 21%-ით მოიმატებს. გაკოტრების საფრთხე დაემუქრება 60 ათასზე მეტ კომპანიას, რომლებშიც თითქმის 200 ათასი სამუშაო ადგილია.**

**ესპანეთში,** — ამტკიცებს გაზეთი, — კრახი ელის საწარმოების 22%-ს, **დიდ ბრიტანეთში** — 37%-ს, **იტალიაშიც** — 37%-ს, **ნიდერლანდებში** — 36%-ს, კრიზისი შეეხება მძლავრი ეკონომიკის მქონე **გერმანიასაც,** იქ საწარმოების 12% გაკოტრდება.

ესპანეთში ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს ძალიან დაზარალებული ტურისტული სფეროს შველას. 17 ივნისს ესპანეთის მთავრობამ დაამტკიცა ტურისტული კომპანიების 2,5 მლრდ დოლარით დახმარების გეგმა, მაგრამ იმედი, რომ ევროპაში მალე დაბრუნდებიან, მაგალითად, ჩინელი ტურისტები, რომლებიც ბოლო პერიოდში ხშირად სტუმრობდნენ ბებერ კონტინენტს, ძალიან მცირეა.

მძიმე დროება ელოდება **საბერძნეთსაც.** ამ ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს წინასწარი ანგარიშის მიხედვით, რომელიც 15 ივნისს გამოქვეყნდა, საბიუჯეტო მონაცემები მარტში 7%-ით შემცირდა, აპრილში — 17,2%-ით, შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა რამდენიმე მილიარდი დოლარით იზარალა.

სვლა შეანელა ევროპის ეკონომიკის ლოკომოტივმა — გერმანიამ. „კორონავირუსის გავრცელება მიმდინარე წელს გერმანიის ეკონომიკას მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის“, — ეპიდემიის დაწყებისთანავე აფრთხილებდა გერმანელებს სავაჭრო-სამრეწველო პალატების ფედერალური გაერთიანების საგარეო ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი **ფოლკერ ტრაიერი.**

როგორც Deutshe Wele წერს, **ლაპარაკია ჩინეთში ადგილობრივი და გერმანელი ფირმების იძულებით მოცდენებზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ბრუნვის შემცირებაზე მეზობელ აზიურ ქვეყნებთან, კრიზისზე ტურისტულ სფეროსა და საცალო ვაჭრობაში. ჩინეთისა და გერმანიის ხელისუფლებების მიერ დაწესებულმა საკარანტინო შეზღუდვებმა დაარღვია შესანიშნავად გამართული მიწოდებების ჯაჭვი. ამის გამო ძალიან იზარალეს ჩინეთში მოქმედმა გერმანულმა ფირმებმა, აგრეთვე, კომპანიებმა გერმანიაში, რომლებიც ჩინელი მიმწოდებლებისგან იღებდნენ ნედლეულსა და სათადარიგო ნაწილებს.**

აღსანიშნავია, რომ გერმანიამ, ევროპის დიდ ქვეყნებს შორის პირველმა, განაცხადა კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის დაწყების შესახებ, რომელიც შედგება გადასახადების შემცირებისა და ბიზნესისთვის დასახმარებელი ღონისძიებებისგან, რომლებზეც 130 მლრდ ევრო დაიხარჯება. **1 ივლისიდან 2020 წლის ბოლომდე გერმანიაში 19-დან 16%-მდე შემცირდება დამატებითი ღირებულების გადასახადი.**

ეკონომიკის მინისტრმა **პეტერ ალტმაიერმა** მთავრობის ღონისძიებებს „ყველა დროის უდიდესი მასტიმულირებელი პროგრამა“ უწოდა.

სხვა ქვეყნებს ისეთი შესაძლებლობები არ აქვთ, როგორიც გერმანიას და ევროკავშირის დახმარებაც კი შეიძლება საკმარისი არ იყოს.

ეკონომიკური რყევები ელის აყვავებულ შვეიცარიასაც — ამ ქვეყნის მშპ შეიძლება 2,3%-ით შემცირდეს.

ევროპის მთავარი ეკონომიკური გასაჭირი არის ის, რომ ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, ხოლო მდიდრები, რა თქმა უნდა, გამდიდრდებიან.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო წლის მეორე ნახევარში მკვეთრად მოიმატებს გაკოტრების შემთხვევები. კრედიტების დამზღვევი Coface-ს კვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის ბოლოს საფრანგეთში გაკოტრებულთა რაოდენობა 21%-ით მოიმატებს. გაკოტრების საფრთხე დაემუქრება 60 ათასზე მეტ კომპანიას, რომლებშიც თითქმის 200 ათასი სამუშაო ადგილია**



# მარინ ლე პენი იმიგრაციაზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვს

**საფრანგეთის ნაციონალური გაერთიანების ლიდერი მარინ ლე პენი ქალაქ დიჟონში (ბურგუნდია) ჩავიდა, სადაც თემებს შორის დაპირისპირება მოხდა. გაზეთი Le Figaro წერს, რომ დიჟონში ჩასულმა ლე პენმა ხელისუფლებას მოუწოდა, მორატორიუმი გამოაცხადოს იმიგრაციაზე, შექმნას მიგრანტების კვარტლები, რომლებშიც ჩანერგავენ სპეცსამსახურის აგენტებს, ხოლო ის უცხოელები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან, ქვეყნიდან გააძევონ.**

„საფრანგეთი ფიქრობდა, რომ შეძლებდა, მშვიდად დაბრუნებოდა ნორმალურ ცხოვრებას იძულებითი შინაპატიმრობის პერიოდის შემდეგ, მაგრამ ის გამოაფხიზლა სიძულვილით აღსავსე კივილმა. ლაპარაკია რასიზმთან ბრძოლის საფარველით რასობრივ სიძულვილზე. ეთნიკურ თემებს შორის სიძულვილს, რომელიც მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ, ახლავს ძალადობა ქალაქებში“, — განაცხადა **მარინ ლე პენმა.**

პოლიტიკოსის კრიტიკა თავს დაატყდა ბოლო დღეებში გამართულ საპროტესტო აქციების ორგანიზატორებს, აგრეთვე, ჩეჩნებისა და მაღრიბელთა დაჯგუფებებს, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დიჟონსა და ნიცაში.

**„გაუგებარია, სად ვიმყოფებით? ველურ დასავლეთში თუ ბაღდადში; „დასაქოქ ფორთოხალში“, თუ „შეშლილ მაქსში“,** — განაცხადა ლე პენმა და დაგმო **„სომნაბული მთავრობის სიჩუმე და უმოქმედობა“.**

**eadayli.com-ზე**
**გამოქვეყნებული მასალის**
**მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# ტრამპმა ბოლტონს «მოსაწყენი სულელი» უწოდა

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავის ყოფილ მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში — ჯონ ბოლტონს „მოსაწყენი სულელი“ უწოდა. ბოლტონი თეთრ სახლში თავისი მუშაობის შესახებ წიგნის გამოსაცემად ემზადება.**

„ამ არანორმალური ჯონ ბოლტონის წიგნი უკიდურესად მოსაწყენია და შედგება ტყუილებისა და გამოგონილი ისტორიებისგან. სანამ დავითხოვდი, მანამდე სულ კარგს ლაპარაკობდა ჩემზე. განაწყენებული, მოსაწყენი სულელი, რომელსაც სურდა მხოლოდ ერთი რამ — დაეწყო ომი. არაფერი ესმოდა და სიხარულით გავათავისუფლე, რა სულელია!“ — დაწერა ტრამპმა სოციალურ ქსელში.

იმავე დღეს გამოქვეყნდა ბოლტონის მიერ ABC News-ისთვის მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტები, რომელშიც ის ამბობდა, რომ 2018 წლის 12 ივნისს სინგაპურში ჩრდილოეთ კორეის ლიდერ **კიმ ჩენ ინთან** გამართულ შეხვედრაზე ტრამპი ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე კი არა, ფოტორეპორტიორების წინაშე პოზირებაზე ფიქრობდა.

23 ივნისს მაღაზიათა ქსელში უნდა გაჩნდეს ბოლტონის წიგნი „ოთახი, სადაც ეს მოხდა: თეთრი სახლის მემუარები“, რომლის გამოცემაც რამდენჯერმე გადაიდო ბოლტონის წინააღმდეგ აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მიერ სარჩელის შეტანის გამო. სამინისტრო ამტკიცებს, რომ წიგნში არის ცნობები, რომელთა გამომზეურების უფლება ბოლტონს არ აქვს.

წიგნში ბოლტონი წერს, რომ ტრამპმა ჩინეთის ლიდერ **სი ძინპინს** სთხოვა დახმარება საპრეზიდენტო არჩევნებში, რაც ქვეყნის ღალატში ტრამპის დადანაშაულების საბაბი შეიძლება აღმოჩნდეს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ყველაფერი ყველაფერზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 9. „ნუთუ ქალები შიშველნი უნდა იყვნენ, მეტროპოლიტერ-მუზეუმში რომ მოხვდნენ“, 1989 წ. Guerilla Girls




Guerilla Girls — ეს არის მხატვართა ანონიმური ჯგუფი, რომელიც გარკვეული მიზნებისთვის მუშაობს. ბოლო 30 წელია, ეს ჯგუფი თავისი ნაწარმოებებით იბრძვის ხელოვნების სამყაროში რასიზმისა და სექსიზმის წინააღმდეგ. ამას ფაქტების გადმოცემით აკეთებენ. ამ შემთხვევაში ფაქტია ის, რომ ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში ქალების რაოდენობა 5%-ზე ნაკლებია, ნახატებზე გამოსახული შიშველი ადამიანების 85% კი ქალია. ეს ნახატი სამხატვრო დაწესებულებებში ქალების დაწინაურების სიმბოლო გახდა.

# ნახატები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალა

**ხელოვნების ნიმუშს, ჩვეულებრივ, როგორც გასართობ საგანს განიხილავენ — ის ახარებს თვალს, შეუძლია აამაღლოს განწყობა და გაართოს ადამიანი, მაგრამ ხელოვნებას შეუძლია, რეალურად გამოიწვიოს ცვლილებები მსოფლიოში. ერთხელ პაბლო პიკასომ თქვა: „ფერწერას იყენებენ არა საცხოვრებლის მოსართავად, არამედ ის არის ომის ინსტრუმენტი შესატევად და მტერზე გასამარჯვებლად“. ხელოვნების ზოგიერთმა ნიმუშმა ცვლილებები გამოიწვია პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში და თვით ხელოვნებაშიც კი.**



## 1. ლასკოს გამოქვაბულის მხატვრობა, 17 ათასი წლის წინათ

მსოფლიოს ერთ-ერთმა ძველმა ნახატმა ნამდვილი ფურორი მოახდინა, მაგრამ ეს მოხდა მისი დახატვიდან 17 ათასი წლის შემდეგ. 1940 წელს ახალგაზრდებმა ექსკურსია მოაწყვეს ფრანგული სოფლის გამოქვაბულში და იქ იპოვეს ისტორიული ხელოვნების უცნაური ნიმუში. ეს არ არის კლდეზე შესრულებული ყველაზე ძველი ნახატი, სამაგიეროდ, ნატიფი ხელოვნების ყველაზე ადრინდელი ნიმუშია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვოდა ხელოვნებისკენ.



## 2. „ნაყოფის გამოკვლევა დედის საშოში “, 1510 წ. ლეონარდო და ვინჩი

**ლეონარდო** გენიოსად ითვლება თავისი ნაწარმოებებით, მაგრამ ახლა განვიხილავთ ერთ-ერთს, რომელსაც გალერეაში ვერ ნახავთ. „ნაყოფის გამოკვლევამ დედის საშოში“ უფრო მეტი გავლენა იქონია მსოფლიოზე, ვიდრე „მონა ლიზა ჯოკონდამ“ ან „საიდუმლო სერობამ“. გაკვეთისას შესრულებული ნახატებით ლეონარდომ შეცვალა მორალური და მხატვრული ნორმები და ის მეთოდები, რომლებითაც მხატვრები და მეცნიერები სწავლობდნენ ადამიანის სხეულს.



## 3. „მენინები“, 1656 წ. დიეგო ველასკესი

ეს არ არის სამეფო კარის წარმომადგენელთა სტანდარტული ნახატი. პრინცესა **მარგარიტა ტერეზასა** და მისი მენინების (ფრეილინების) ტილოზე გამოსახვით **დიეგო ველასკესმა** ილუზიისა და რეალობის, აგრეთვე, მაყურებელსა და პერსონაჟებს შორის გაურკვევლობის რთული საკითხები წამოჭრა.

მაგალითად, ნახატზე გამოსახულია არა მხოლოდ 5 წლის ინფანტა მარგარიტა ფრეილინებთან ერთად, არამედ ინფანტას მშობლებიც — ესპანეთის მეფე **ფილიპე IV** და დედოფალი **მარიანა ავსტრიელი.** მათი ანარეკლი ჩანს უკანა კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში. ტილოზე, აგრეთვე, გამოსახულია თვითონ მხატვარიც — მარცხნივ მოლბერტით. ხელოვნების ისტორიაზე ველასკესის შედევრის გავლენა უზარმაზარი იყო. ზემოაღნიშნულმა საკითხებმა წარმოშვა კუბიზმი 250 წლის შემდეგ, პიკასო კი ისე იყო მოხიბლული „მენინებით“, რომ ამ ნახატის 58 ვერსია შექმნა.



## 4. „მარატის სიკვდილი“, 1793 წ. ჟაკ-ლუი დავიდი

ფრანგი მხატვრის, **ჟაკ-ლუი დავიდის,** ეს ნამუშევარი შეიძლება ჩაითვალოს პირველ პოლიტიკურ ნახატად. მასზე გამოსახულია რევოლუციის მოკლული ლიდერი **ჟან პოლ მარატი,** რომელიც თავის სააბაზანო ოთახში გამოასალმეს სიცოცხლეს. დავიდმა მოკლული მეგობრისგან პოლიტიკური პროპაგანდის ხატება შექმნა. ამ ნახატისგან შემდეგ გააკეთეს გრავიურები და საზოგადოებაში გაავრცელეს.

## 8. „პრობლემა, რომელთან ერთადაც ვცხოვრობთ“, 1964 წ. ნორმან როკველი

მხატვარმა-ილუსტრატორმა ნორმან როკველმა კარიერა XX საუკუნის შუა წლების ამერიკის ჩვეულებრივი ცხოვრების კარგისა და ცუდის ასახვით გაიკეთა. 1964 წელს შექმნილ ნახატზე გამოსახულია შავკანიანი გოგონა **რუბი ბრიჯესი,** რომელიც მიდის თეთრკანიანთათვის განკუთვნილ სკოლაში. გოგონას მიაცილებენ სამართალდამცველები და იცავენ რასობრივი სიძულვილისგან, რომელიც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გოგონას თეთრკანიანთა სკოლაში სწავლის უფლება მისცეს. კედელზე წარწერები რასისტული შინაარსისაა. ნახატი სამოქალაქო უფლებების საკულტო სიმბოლოდ იქცა და ის **ბარაკ ობამამ** თეთრ სახლში ჩამოკიდა 2011 წელს, როდესაც რუბი ბრიჯესი სტუმრად მიიწვია.



## 5. „ოლიმპია“, 1863 წ. ედუარდ მანე

ამ რადიკალურ ნიუს ხელოვნებაში პატრიარქალური მოსაზრებებზე უარის თქმად მიიჩნევენ. მაგრამ **ედუარდ მანეს** ნახატი სინამდვილეში ეფუძნება აღორძინების ეპოქის მხატვრის, **ტიციანის,** ქმნილებას — „ვენერა ურბანელს“, რომელმაც თავისი სექსუალურობით გაითქვა სახელი, მაგრამ ნახატებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია: პირველი — ოლიმპია, ვენერასგან განსხვავებით, თვალებში უყურებს დამთვალიერებელს, რასაც ბევრი უკიდურესად პროვოკაციულად მიიჩნევს; მეორე — მისი ხელი ფარავს გენიტალიებს და არ გამოხატავს „მიპატიჟების“ ჟესტს.



## 6. „ქილები კემპბელის წვნიანით“, ენდი უორჰოლი

**ენდი უორჰოლმა** ეს ნახატი პროდუქტის პატივისცემის ნიშნად დახატა, თანაც ისეთის, რომლის ნახატსაც ყველაზე ნაკლებად ელოდები. უორჰოლმა გადაწყვიტა, ხელოვნების ნაწარმოებთა გალერიის ღირსი ყოფილიყო ის, რასაც ამერიკელები ყოველდღე ხედავდნენ. ამასთანავე, მხატვარმა ეჭვი შეიტანა ხელოვნებასთან დაკავშირებულ ბევრ იდეაში.



## 7. „გერნიკა“, 1937 წ. პაბლო პიკასო

**პაბლო პიკასოს** ეს ქმნილება ომის საწინააღმდეგო მოძრაობის სიმბოლოდ იქცა. ამ ნახატზე პიკასომ გამოსახა ესპანეთის ქალაქ გერნიკას დაბომბვა ღამით 1937 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდში. ესპანეთის მთავრობამ პიკასოს შეუკვეთა, პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე გასატანად შეექმნა მხატვრული ნაწარმოები ამ საშინელ მოვლენაზე. დღეს ამ ნახატის რეპლიკა ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თითქმის ყველა მწვრთნელი გვარდიოლას ბაძავს და ცდილობს, თავისი გუნდი გვარდიოლას მიერ შემუშავებული ტაქტიკით ათამაშოს. გვარდიოლამ უკვე გამოიგონა „ცრუ ცხრიანი“, „ცრუ ფლანგის მცველი“ და, ალბათ, კიდევ ბევრ რამეს მოიფიქრებს. დღეს გვარდიოლა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ტაქტიკოსი მწვრთნელია.**

# თანამედროვეობის 10 ყველაზე ძლიერი ტაქტიკოსი მწვრთნელი ევროპაში

დასასრული. დასაწყისი იხ. №22, 2020 წ.

## 5. მარსელო ბიელსა, „ლიდსი“

თავმდაბალი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთს განიხილავს, როგორც მეცნიერებას. მარსელო ბიელსა თავისი შეგირდებისა და მეტოქე ფეხბურთელების მოქმედებებში პოულობს ისეთ ელემენტებს, რომელთა გამოყენების შედეგად უპირატესობა მისი გუნდის მხარესაა.

ბიელსამ სახელი გაითქვა, როდესაც ჩილეს ეროვნულ ნაკრებში მუშაობისას გამოიყენა უჩვეულო სქემა 3-3-1-3, მაგრამ ამჟამად მწვრთნელი მხოლოდ ერთ ტაქტიკას არ მიმართავს — ყოველი მატჩის წინ ის სხვადასხვა სქემას იყენებს. მიმდინარე სეზონში მისმა „ლიდსმა“ 5 (!) სხვადასხვა სქემით ითამაშა: 4-3-3-ით თავდამსხმელებით ფლანგებზე, 4-4-2 რომბით, 4-1-4-1 ძლიერი ნახევარდაცვით, 3-4-3-ითა და 3-5-2-ით. აღსანიშნავია, რომ ბიელსამ დიდი გავლენა იქონია პეპ გვარდიოლასა და მის მიდგომებზე ფეხბურთის მიმართ. ბიელსამ მოიგო არგენტინის ჩემპიონატი, ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ ერთად გავიდა ესპანეთის თასისა და ევროპის ლიგის ფინალში, მაგრამ მეტ დიდ წარმატებას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. ახლა ბიელსა, ალბათ, დააბრუნებს „ლიდსს“ ინგლისის პრემიერლიგაში და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია.

## 4. დიეგო სიმეონე, „ატლეტიკო“

წლები გადის და „ატლეტიკოზე“ უკეთ დაცვაში თამაშს ვერავინ ახერხებს. სანამ ბევრი გულშემატკივარი აღტაცებულია „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეტევითი კონცეფციით, არგენტინელი დიეგო სიმეონე დაცვით ტაქტიკას არ ღალატობს. დიეგოს სწამს 4-4-2-ის და მასზე უარს თითქმის არასოდეს ამბობს. როცა „ატლეტიკომ“ **ჟოაუ ფელიქსი** შეიძინა, სიმეონე შეეცადა, თავდასხმაში თამაში ნიჭიერი პორტუგალიელის გარშემო აეწყო, რამაც მოითხოვა სისტემაში ფლეიმეიკერის ამპლუის დანერგვა. სიმეონემ ფელიქსი თავდამსხმელთა უკანაც ათამაშა, მაგრამ ეს ანგრევდა ყველა შემოწმებულ პრინციპს. საბოლოოდ, ფეხბურთელი მაინც შეეწყო სიმეონეს სქემას. ისე, უნდა ითქვას, რომ „ატლეტიკო“ ფელიქსის გარეშე უკეთესად გამოიყურება. სიმეონეს რიცხობრივი უპირატესობის მოპოვება სურს თამაშის ყველა ხაზზე — დაცვაში, ნახევარდაცვაში, თავდასხმაში. როცა ფლანგზე მოთამაშე მცველი მიდის წინ მოწინააღმდეგეზე წნეხის გასაძლიერებლად, მის ადგილს მყისვე იკავებს ერთ-ერთი საყრდენი ნახევარმცველი. „ატლეტიკოს“ არ ეშინია ჩაწოდების თავის საჯარიმო მოედანზე, რადგან ჰყავს ძლიერი ცენტრალური მცველები, რომლებიც წარმატებით თამაშობენ თავით. ანალოგიური ვითარებაა, როდესაც „ატლეტიკო“ მეტოქის საჯარიმოშია და კუთხურს ან საჯარიმოს ასრულებს. სიმეონეს „ატლეტიკო“, უკვე წლებია, გამუდმებით შედის სიაში იმ გუნდებისა, რომლებიც შესანიშნავად თამაშობენ სტანდარტულ მდგომარეობაში.

## 3. ჯან პიერო გასპერინი, „ატალანტა“ (ბერგამო)

ბევრი ტაქტიკური სქემა იქმნება მსოფლიოს საუკეთესო კლუბების გარეთ. რაც ნაკლებად ვარსკვლავურია გუნდის შემადგენლობა, მით ადვილია მწვრთნელისთვის მოთამაშეების ინდივიდუალური ამბიციების მოთოკვა გუნდის სასარგებლოდ და იდეების განხორციელება. გასპარინიმ ევროპაში ერთ-ერთი შესანიშნავი გუნდი შექმნა. ჯან პიეროს მოკრძალებული დონის შემსრულებლები ჰყავს, „ატალანტას“ შემადგენლობის ღირებულება მერვეა იტალიის სერია A-ში, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ ოთხეულში იყოს (შარშან ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა).

გასპერინი არის მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია ჩვეულებრივი ბიჭებისგან შექმნას გუნდი და დისციპლინის დაცვითა და გონიერი თამაშით დაამარცხოს გრანდები. გასპერინის საყვარელი სქემებია 3-5-2 და 3-4-3. სხვათა შორის, მან აღადგინა პერსონალური მეურვეობა, რომლის გამოყენებითაც შეიძლება არა მხოლოდ მჭიდრო პრესინგის განხორციელება, არამედ ბურთზე კონტროლის მოპოვებაც მოედნის შუაგულში. ამას ემატება მოთამაშეების ტოტალური ურთიერთგაგება და კომბინაციური თამაში. გასპარინიმ თავისი ტაქტიკური შესაძლებლობები გამოიყენა არა მხოლოდ იტალიის სერია A-ში, არამედ ჩემპიონთა ლიგაშიც, სადაც მეოთხედფინალში გააღწია.


ხოსეპ გვარდიოლა


დიეგო სიმეონე

## 2. მაურიციო სარი, „იუვენტუსი“

„ჩელსიში“ არცთუ წარმატებულმა სამწვრთნელო კარიერამ **მაურიციო სარი** ვერ გატეხა — ის უფრო დაბრძენდა და მეტი მოქნილობა შეიძინა. ადრე მაურიციო არასოდეს ამბობდა უარს 4-3-3 სქემაზე, მაგრამ „იუვენტუსში“ გადასვლის შემდეგ სარიმ გადახედა თავის იდეებს მისთვის სქემა უკვე აღარ არის დოგმა. თანაც, როდესაც გუნდში გყავს **კრიშტიანუ რონალდუ, პაულო დიბალა** და **გონსალო იგუაინი,** სისულელე იქნება, არ იფიქრო ამ ფეხბურთელების მოედანზე გამოყვანა და 4-3-3 სქემით თამაში ფლანგებზე რონალდუთი და იგუაინით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობს დაცვაში, ეს ტაქტიკური სქემა „იუვენტუსისთვის“ ძალიან სახიფათო იქნებოდა, ამიტომ სარიმ გაიხსენა „რომბი“ და დიბალა „ათიანად“ აქცია, რონალდუ კი თავდასხმის ცენტრში დააყენა იგუაინთან ერთად. თუმცა „იუვენტუსის“ რომბი სულაც არ არის ორთოდოქსული და დიბალა ხშირად თამაშობს თავდასხმის წინა ხაზზე, როცა მას ზონას უთავისუფლებს იგუაინი.

როცა „იუვენტუსი“ 4-3-3 სქემას მიმართავს, დიბალა ცენტრფორვარდის ამპლუაში გვევლინება, ხოლო რონალდუ მარცხენა ფლანგიდან უტევს. 4-4-2 სქემით თამაშისას მარჯვენა ჰავბეკის ადგილს **კუადრადო** იკავებს, მარცხნიდან კი **მატუიდი** თამაშობს.

დოგმატიკოსი სარი ევროპის ერთ-ერთ შესანიშნავ ტაქტიკოს მწვრთნელად იქცა.

## 1. ხოსეპ გვარდიოლა. „მანჩესტერ სიტი“

ამ სეზონში „მანჩესტერ სიტის“ არასახარბიელო გამოსვლის გამო (მეორე ადგილი პრემიერლიგაში) გვარდიოლას არავინ დაითხოვს, რადგან, მიუხედავად ჩავარდნისა, გვარდიოლას გუნდები ყოველთვის გამოირჩევიან ტაქტიკური მრავალფეროვნებით. როცა მოწინააღმდეგე ანგარიშში წინ არის და მის შესანარჩუნებლად ცდილობს, თავის საჯარიმოსთან მიუვალი თავდაცვითი ზღუდეები ააგოს, „მანჩესტერ სიტი“ ფლანგებიდან ჩაწოდებებს იყენებს. მიმდინარე წლის თებერვალში მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში, რომელშიც „სიტიმ“ გაიმარჯვა, გვარდიოლას შეგირდებმა თითქოს უარი თქვეს თავიანთ საფეხბურთო მსოფლმხედველობაზე. მოკლე გადაცემების ნაცვლად „სიტი“ შეტევაზე გრძელი პასებით გადადიოდა, რაც სიურპრიზი იყო ზიდანის შეგირდებისთვის. სიტის სათამაშო სქემაც მოულოდნელი იყო — 4-4-2, რომელშიც თავდამსხმელებად თამაშობდნენ ტექნიკური გარემარბი **ბერნარდუ სილვა** და ცენტრალური ნახევარმცველი **კევინ დე ბრეინე,** ცენტრფორვარდი **ჟეზუსი** კი განაპირა ნახევარმცველის ამპლუაში მოგვევლინა. აი ასეთია ხოსეპ გვარდიოლა, რომელსაც შეუძლია ფეხბურთელებს უჩვეულო როლი ათამაშოს. თითქმის ყველა მწვრთნელი გვარდიოლას ბაძავს და ცდილობს, თავისი გუნდი გვარდიოლას მიერ შემუშავებული ტაქტიკით ათამაშოს. გვარდიოლამ უკვე გამოიგონა „ცრუ ცხრიანი“, „ცრუ ფლანგის მცველი“ და, ალბათ, კიდევ ბევრ რამეს მოიფიქრებს.

დღეს გვარდიოლა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ტაქტიკოსი მწვრთნელია.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


მარსელო ბიელსა


ჯან პიერო გასპერინი


მაურიციო სარი



ალეკო თოდუა



ანზორ დანელია



სერგო წურწუმია

# საქართველომ სამი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა

**ძალიან მოკლე პერიოდში თითქმის ერთმანეთის მიყოლებით ამ ჟამიანობის დროს საქართველომ დაკარგა სამი ღირსეული მამულიშვილი, რომლებსაც აერთიანებდა საქართველოს საერთაშორისო აკადემია „ქალდეა“:** 86 წლისა გარდაიცვალა ბატონი **ალეკო თოდუა,** 84 წლის — **ანზორ დანელია** და 80 წლის — **სერგო წურწუმია.**

**ალეკო თოდუა** — საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეას“ ვიცეპრეზიდენტი (სამეგრელოს რეგიონის კოორდინატორი), აკადემიკოსი (აკადემია „ქალდეას“ ოქროს დიპლომის მფლობელი), პირველი საპატიო „ქალდეელი“, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საფიცარი სამშობლო და ქართველი ხალხი. იყო უაღრესად კეთილსინდისიერი, კეთილგონიერი, კეთილშობილი და პრინციპული პიროვნება. სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულთა ოჯახებს.

**ვაჟა (დოლბაია) ეგრისელი,**
**მამა ბასილი (მკალავიშვილი),**
**ორესტი (ზაური) ბედია,**
**ჯემალ დავლიანიძე,**
**ვაჟა (მელაძე) ჩორდელი,**
**დილარ ივარდავა,**
**აპოლონ გადელია,**
**ანზორ ჯაფარიძე,**
**დენიზა სუმბაძე,**
**ამირან გაფრინდაშვილი,**
**დავით ქობალია,**
**ნუგზარ კვაშილავა,**
**ომარ ჟვანია,**
**ვახტანგ გვარამია,**
**მაყვალა ბერიანიძე,**
**რობი უბილავა,**
**გიორგი შერვაშიძე,**
**გუგული ქებურია,**
**გელა ჩაჩიბაია,**
**რევაზ ადამია,**
**ვახტანგ თორდია,**
**ელგუჯა ადეიშვილი,**
**კუკური ფიფია,**
**გაიოზ მეტრეველი,**
**ხუტა პაჭკორია**



# მონათმოვაჭრის ძეგლის ჩამოგდების საპასუხოდ მონის საფლავი შეურაცხყვეს

**ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლში ვანდალებმა მას შემდეგ შეურაცხყვეს სციპიონ აფრიკელის მონის საფლავი, რაც რასიზმის მოწინააღმდეგეებმა კვარცხლბეკიდან ჩამოხსნეს და შემდეგ ზღვაში გადააგდეს მონებით მოვაჭრე ედვარდ კოლსტონის სტატუა.**

ვანდალებმა საფლავების ქვებზე დატოვეს წარწერა: **„შეხედეთ, რისი გაკეთება გვაიძულეთ“.** ისინი მოითხოვენ მონათმფლობელის სტატუის დაბრუნებას თავის ადგილზე, სხვა შემთხვევაში ვითარების დაძაბვით იმუქრებიან.

ბრიტანეთის მერმა მოქალაქეებს მოუწოდა, შეწყვიტონ თავდასხმები პრინციპით „კბილი კბილის წილ“. მონათმოვაჭრე კოლსტონის ძეგლი კი ამოიღეს ზღვის ფსკერიდან და მას, ალბათ, ქალაქის მუზეუმს გადასცემენ.

აღსანიშნავია, რომ ბრისტოლის პოლიცია იძიებს სხვა ძეგლზე თავდასხმის საქმესაც — იამაიკელი პოეტის, **ალფრედ ფაგონის,** ძეგლს ვანდალებმა საღებავი შეასხეს.

აშშ-ის ქალაქ მინეაპოლისში პოლიციელის მიერ შავკანიანი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე, აშშ-ში ისტორიული პირების ძეგლების ჩამოგდებისა და დამახინჯების ფაქტები გახშირდა.

მაგალითად, ამერიკის ქალაქ ნორტლენდში აშშ-ის ერთ-ერთი დამაარსებლის, **ჯორჯ ვაშინგტონის,** ძეგლი შეურაცხყვეს.

**ლუკა მაისურაძე**

# ქართველების მხრიდან რუსებისა და რუსეთის გინება დაბალი კულტურის მაჩვენებელია



**ბატონებო, რუსებისა და რუსეთის გინება ქართველი პოლიტიკოსებისა და რიგითი მოქალაქეების მხრიდან სულელური საქციელის გამოვლენა და დაბალი კულტურის მაჩვენებელია. რუსეთი არის უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი კაცობრიობის ისტორიაში.**

1973-1991 წლებში მქონდა ურთიერთობა რუს მეცნიერებთან და მინდა, ჩემი მოგონებები წარმოგიდგინოთ. მე ვარ მოწაფე პროფესორ **ბორის სტეფანის ძე საჟინისა,** რომელიც საბჭოთა ნაპალმის ავტორია, დიდი მეცნიერი. მისი შვილი **ვიქტორ საჟინი** პროფესორია, ძმა — ვიქტორი მუშაობდა კონსტრუქტორ **სერგეი კოროლიოვთან.** ახლო ურთიერთობა მქონდა პროფესორებთან: **პეტრე შანკინთან ვალენტინ რეუტსკისთან, ვლადიმერ გვოზდევთან, ვლადიმერ სტაროვთან, ლეონიდ გუდიმთან, მარია კოშელევასთან, გიორგი მინაევთან.** მათი მხრიდან ვგრძნობდი პატივისცემას, კოლეგიალობას, მათი კონსულტაციები და საუბრები დაუვიწყარი და დიდად სასარგებლო იყო. ერთი ეპიზოდიც კი არ მახსენდება ნეგატიური და საწყენი. მათ უყვარდათ ქართველები და საქართველო, მათთვის დღესასწაული იყო საქართველოში ჩამოსვლა. მინდა, გაგაცნოთ ამ ურთიერთობებიდან რამდენიმე ეპიზოდი:

**1.** ერთ-ერთ კონფერენციაზე იყვნენ მეცნიერები (ორი პროფესორი) ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტიდან. ჩემმა გვარმა მათ სიხარული მოჰგვარა (ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო აკადემიკოსი **ილია ვეკუა** — 1959-1965 წლებში). მთელი საღამო მასზე ლაპარაკობდნენ, გენიოსს უწოდებდნენ. აღმოჩნდა, რომ ნოვოსიბირსკის თბოფიზიკის აკადემიური ინსტიტუტის დირექტორი ქართველი იყო — **სამსონ ქუთათელაძე** (ეს ინსტიტუტი ახლა მის სახელს ატარებს). მისი შვილი — **სიმონ ქუთათელაძე** ცნობილი მათემატიკოსია, აკადემიკოსი;

**2.** ჩემმა მეგობარმა, ტამბოვის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **გიორგი მინაევმა** 1981 წელს დამპატიჟა ტამბოვში. ერთ-ერთ შეხვედრაზე ბატონმა გიორგიმ გამაცნო ტამბოვის უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის უფროსი, ავიაციის გენერალ-მაიორი **ანდრიენკო.** მან მითხრა, რომ 1951-1964 წლებში ამ სასწავლებლის უფროსი ყოფილა ქართველი, ავიაციის გენერალ-მაიორი **ნარიმან დალაქიშვილი.** გენერალმა ანდრიენკომ აქო ქართველი პილოტები — ყველა ასი იყოო. გაიხსენა პილოტები — **შალვა ქირია, ვასილ სტალინი** და სხვები;

**3.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ოთარ კვესიტაძე** საქართველოს მეცნიერებაზე ინტერვიუში: „....კატასტროფა მომხდარია. გულახდილად გეტყვით: **საქართველოში მეცნიერება დღეს თითქმის აღარ არსებობს. ყველაზე მეტად დაზარალდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია...“** პროფესორმა **პეტრე შანკინმა** (აკადემიკოს **ნიკოლოზ პავლოვსკის** მოწაფე) თავის დროზე მითხრა, როგორც კი საქართველო დასცილდება რუსეთს, მისი მეცნიერება ჩავარდება ცუდ დღეში, თქვენი მეცნიერული სკოლები, კვლევითი ინსტიტუტები 20 წელიწადში აღარ იარსებებს, დასავლეთი არაფერს გაგიკეთებთ, მხოლოდ ნიჭიერ ხალხს წაიყვანს, გრანტების დახმარებით კი ყველა კვლევას წაიღებს.

**თემურ ვეკუა,**
**საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894